

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტი

ნანა ხაზაჩაძე

აღმოსავლეთ გვიჩე აზიის
ეთნიკური და პოლიტიკური
გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის
პირველ ნახევარში



„მეცნიერება“
თბილისი
1978

ნაშრომში ძველალმოსავლური და ბერძნულ-რომაული წერილობითი წყაროებისა და ახალი არქეოლოგიური მასალების საფუძველზე შესწავლილია ერთ-ერთი გვიანხეტური ეთნო-პოლიტიკური გაერთიანების — თაბალის ისტორიის ძირითადი საკითხები. კერძოდ, განხილულია თაბალის ისტორიის წყაროები, თაბალის ლოკალიზაციის საკითხი, „თაბალ“ ტერმინისა და თაბალის მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების საკითხი, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხები. ნაშრომი თაბალის ისტორიის მონოგრაფიული შესწავლის პირველი ცდაა. ავტორი ითვალისწინებს ყველა ახალ მონაცემს საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებით.

რედაქტორი: აკად. გ. მელიქიშვილი

Нана Владимировна Хазарадзе

ЭТНИЧЕСКИЕ И ПОЛИТИЧЕСКИЕ ОБЪЕДИНЕНИЯ ВОСТОЧНОЙ
МАЛОЙ АЗИИ I ПОЛОВИНЫ I ТЫСЯЧЕЛЕТИЯ ДО Н. Э.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

მცირე აზიის ისტორიაში ძვ. წ. XII—X საუკუნეებს, ჩვეულებრივ, „ბნელ ხანას“ უწოდებენ. „ზღვის ხალხების“ შემოსევამ (ძვ. წ. XII ს.) ქარიშხალივით გადაუარა ანატოლიას. ოდესღაც დიდებული ხათუსა — ხეთების დედაქალაქი (დღევ. ბოლაზქოი) ფერფლმა და ნანგრევებმა დაფარა. იგივე ბელი ეწია წინარე ხანის სხვა მნიშვნელოვან ცენტრებსაც¹.

წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების სრული უქონლობის გამო, თითქმის არაფერი ვიცით ძვ. წ. X ს-მდე არსებული პერიოდის მცირე აზიის ცენტრალური, დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი ოლქების შესახებ. ძვ. წ. XII ს-ის შემდგომ ხანაში დასავლეთი და ცენტრალური მცირე აზია მრავალი ახალი ტომის სამშობლო ხდება. ამ ხანიდან მოყოლებული, ანატოლიაში უწყვეტ ნაკადად მოედინებიან ბალკანურ-თრაკიული მოდგმის ინდოევროპული ტომები: ფრიგიელები, თრაკიელები, პროტო-არმენები, მიზიელები, ბითვინიელები, ეოლიელი, იონელი და დორიელი ბერძნები².

დასავლეთ მცირე აზიაში თრაკიულ-ბალკანური წარმომავლობის ტომების გამოჩენა კარგად აისახა ტროას სტრატეგიაში. როგორც გაირკვა, ტროა VII B I ფენაში, რომელიც ჰომეროსისეულ ტროა VII A-ს აძევს ზემოდან, პირველად ჩნდება მანამდე უცნობი ბალკანურ-თრაკიულ სამყაროსთან დაკავშირებული კერამიკული ნაწარმი³. ბალკანურ-თრაკიულ სამყაროსა და მცირე

¹ Al. G ö t z e, Hethiter, Churriter und Assyrer, Oslo, 1936, გვ. 15; მ ი ს ი ვ ე, Kulturgeschichte des Alten Orients, Kleinasien, München, 1957; Em. T. Vermeule, The Fall of Mycenaean Empire, «Archaeology», 13, 1, 1960, გვ. 66 და შმდ.;

² I. M. Cook, Greek settlements in the Eastern Aegean and Asia Minor, Cambridge, 1964, გვ. 3.

³ CAH, I, გვ. 12 და შმდ.

აზიაში მცხოვრები ტომების ეთნოგენეტიკურ კონტაქტებზე ლაპარაკობს ცენტრალურ ანატოლიაში, მდ. სანგარიოსთან (დღევ. მდ. საკარია) მდებარე რაიონში აღმოჩენილი ყორღანული სამარხები, რომლებიც უცხოა წინარე ხანის მცირე აზიისათვის და დამახასიათებელია ბალკანურ-თრაკიული ტომების პირვანდელი სამშობლოსათვის — ბალკანეთისათვის⁴. დაბოლოს, ბალკანურ-თრაკიულ სამყაროსთან მცირე აზიაში მოსული ტომების უტყუარ კავშირზე ენობრივი მონაცემებიც ლაპარაკობენ. ამ ბოლო დროს არაერთი საყურადღებო მოსაზრება გამოითქვა ფრიგიული ენისა და პროტოსომხურის კავშირებზე ბალკანურ-თრაკიულ ფუძე ენასთან⁵.

ბალკანურ-თრაკიული მოდემის ინდოევროპული ტომების გარდა, ძვ. წ. I ათწლეულის მცირე აზიაში ცხოვრობდნენ აგრეთვე მცირე აზიის უძველეს მოსახლეობასთან (ხეთებთან, ლუვიელებთან) გენეტიკურად დაკავშირებული ისეთი ტყმები, როგორიც იყვნენ ლიდიელები, კარიელები, ლიკიელები, პისდიელები და სხვ.

სხვადასხვა მეცნიერთა გამოკვლევების შედეგად ნათელი გახდა ხეთურ-ლუვიურ ენებთან ლიკიურის, ლიდიურისა და კარიულის ნათესაობა. XX ს-ის 60—70-იან წლებში დადგინდა ხეთურ-ლუვიურ ენათა ჯგუფში „ლუვიურ-ლიკიური“ ქვეჯგუფის არსებობაც (ამ ქვეჯგუფში მკვლევრები აერთიანებენ ლურსმულ ლუვიურს, იეროგლიფურ-ლუვიურს, ლიკიურს და ე. წ. „მცირე ენებს“ — პისიდიურს, ისავრიულს, ლიკაონურს, კილიკიურს და სხვ.). ითვალისწინებენ რა ლიდიურისა და ხეთურის დიდ მსგავსებას, მკვლევარნი გამოყოფენ აგრეთვე „ხეთურ-ლიდიურ“ ქვეჯგუფსაც, რომელსაც ამ ბოლო დროს კარიულსაც აკუთვნებენ⁶.

საკმაოდ დიდი ძვრები მოხდა აღმოსავლეთ მცირე აზიაშიც,

⁴ A Körte, Gordion, 1904; ნ. ხ ა ზ ა რ ა ძ ე, გორდიონის ყორღანული სამარხები „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული“, თბ., 1962, გვ. 255—264; ი ქ ე ე, იხ. მოითება საკითხის ირგვლივ არსებულ ლიტერატურაზე.

⁵ O. Haas, «Ezиковедски изследования в чест на акад. Ст. Младенов», София, 1957, გვ. 74 და შმდ.: მისივე, Die phrygischen sprachdenkmaler, Sofia, 1966; В. В. Георгиев, Тракийский язык, София, 1957, გვ. 75 და შმდ.: მისივე, Исследования по сравнительно-историческому языкознанию, София, 1960, გვ. 124; მისივე, Передвижение смычных согласных в армянском языке и вопросы этногенеза армян, ВЯ, 5, 1960, გვ. 35; И. М. Дьяконов, Хетты, фригийцы и армяне, ПАС, М., 1961, гв. 333; მისივე, Предыстория армянского народа, Ереван, 1968, გვ. 134; Г. В. Джаукян, Армянский и фригийский языки, ИФЖ, 3(42), 1968.

⁶ В. В. Шеворошкин, Лидийский язык, М., 1967.

რაც კარგად ჩანს თიგლათფილესერ I-ის (ძვ. წ. 1115—1077 წწ.) დროინდელი ასურული წარწერებიდან⁷. ძვ. წ. XII ს-ის ასურულ ტექსტებში პირველად ვხვდებით ასურული წერილობითი წყაროებისათვის მანამდე უცნობი მუშქების სახელს. იმავე თიგლათფილესერ III-ის წარწერებიდანვე ვგებულობთ ადრეული (ხეთური) ხანის ისტორიიდან ცნობილი ტომების მოძრაობის შესახებაც. ამ მხრივ საყურადღებოა ქასქების გადაადგილება მათი ძველი ტერიტორიიდან დღევანდელი მალატიის მიმართულებით⁸.

ძვ. წ. IX—VII საუკუნეების აღმოსავლეთ მცირე აზიაში ძველ გეოგრაფიულ სახელებთან ფონეტიკურად ახლო მდგომი სახელწოდებების გვერდით (შდრ. მაგალითად, ხეთური თეგარამა და ასურული თილ-გარიმუ, ხეთური ქუმანი და ასურული ქამანუ, ხეთური ლავაიანტია და ასურული ლუსანდა, ხეთური თუ-ვანუვა და ასურული თუხანი და სხვ.) სრულიად ახალსაც ვხვდებით. ასეთებია: „ხილაქუ“, „ქუე“, „ხალიტუ“ და სხვ.⁹

ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის, ისევე როგორც ძვ. წ. III—II ათასწლეულების, აღმოსავლეთ მცირე აზია სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ტომების ადგილსაცხოვრისის წარმოადგენდა. ჩვენთვის საინტერესო ხანის აღმოსავლეთ მცირე აზიის სამხრეთ რაიონებში, ისევე როგორც წინარე ხანაშიც, საკმაოდ ძლიერი იყო ლუვიური („იეროგლიფურ-ლუვიური“), ეთნიკური ელემენტი, რაც კარგად დასტურდება აღნიშნულ მხარეში ძვ. წ. XIII—X და X—VIII საუკუნეებით დათარიღებულ იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების სიმრავლითა და გავრცელების დიდი არეალით¹⁰. ამასვე მიუთითებს ისიც, რომ

⁷ AKA, გვ. 35, სტრ. 88—89; ARAB, I, 221; АВИИУ, № 10; თიგლათფილესერ I-ის „პრიზმა“-წარწერის თანახმად, მუშქებმა, რომელთაც 50 წლის მანძილზე ალზისა (ხეთური ალშუ, ურარტული ალზი, სომხური ალზიქი) და ფურულუმზის (ალზის სამხრეთ-აღმოსავლეთით) „ქეყენებზე“ ბატონობდნენ, ამ „ქეყენების“ სამხრეთით მდებარე ქათუხიცი (ტურ-აბდინის ჩრდილოეთით) დაიმორჩილეს. თიგლათფილესერ I ქათუხის ტერიტორიაზე შეებრძოლა მუშქებს. იხ. Г. А. М е л и к и ш в и л и. Напри-Урарту, тб., 1954, გვ. 52—53; АВИИУ, № 10, შენ. 3, იქვე, № 50 (1), შენ. 2.

⁸ AKA, გვ. 112, 116; ARAB, r, №№ 276, 318; АВИИУ, №№ 12, 13.

⁹ ARAB I, 600, 674, 682, 769, 772, 801; II 16, 25, 42, 55, 99 და 163.

¹⁰ შდრ. I Garstang, O. R. Gurney, The geography of the Hittite Empire, London, 1959, გვ. 51—53; 61—65 და სხვა.

¹¹ R. D. Barnett, Karatepe, The key to the Hittite Hieroglyphs, AnSt, III; 1953, გვ. 92 და შმდ.; Em. Laroche, Les Hiéroglyphes

აღნიშნული პერიოდის აღმოსავლეთ მცირე აზიაში ფართო გავრცელება პოვა იეროგლიფურ-ლუვიური წარმომავლობის საკუთარმა სახელებმა (თარხუნაზი, თარხულარა, თარხუთინა, აზითივათა, ჰილარუდა, სანდასარა, ვასუსარმა და სხვ.)¹¹. აღმოსავლეთ მცირე აზიაში იეროგლიფურ-ლუვიური კულტურის ძლიერ პოზიციებზე ლაპარაკობს ამ რაიონში იეროგლიფურ-ლუვიური პანთეონის დიდი პოპულარობაც.

ზემოჩამოთვლილ ტომებთან ერთად ძვ. წ. XII—VII საუკუნეების აღმოსავლეთ მცირე აზიაში, როგორც ვარაუდობენ, ქართველური და ჩრდილო-კავკასიური მოდგმის ტომებსაც უნდა ეცხოვრათ. ასეთ ტომთა რიცხვს ზოგი მკვლევარი აკუთვნებს მუშქებს — მუსქებს, ქასქებს, ცუფანელებს და ჩვენთვის საინტერესო თაბალებს, რომლებსაც აიგივებენ გვიანდელ მოსხებთან — მესხებთან, ქაშაგებთან, წოვებთან და ტიბარენებთან¹².

ძვ. წ. I ათასწლეულის აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკურ და პოლიტიკურ გაერთიანებათა შორის თაბალის ქვეყანას ერთერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, რასაც კარგად ადასტურებენ ძვ. წ. IX—VII საუკუნეების ასურული წყაროების მონაცემები. მათგან ნათლად ჩანს თაბალის როლი თვით ასურეთის პოლიტი-

Hittites, Paris, 1960; P. Meriggi, Le iscrizioni in eteo geroglifico del Tabal, »Rivista degli studi orientali» XXXII, 1957, გვ. 255; მისივე, Una Prima Attestazione Epicorika Del Moschi in Frigia, «Estrato de Athenaeum Studi Periodici di Litteratura e Storia dell Antichita Nuova Serie», XLII, I—B, 1964 და სხვა.

¹¹ Em. Laroche, დასახ. ნაშრომი, № 1196; P. Meriggi, Hieroglyphisch-Helhitisches Glossar, Wiesbaden, 1962, გვ. 153; ARAB, I. 769, 772, 797, 801, II, 26, 29, 60, 71, 79, 92, 99.

¹² ივ. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 392 და შშდ.; მისივე, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, I, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950; Al. Herrmann, Moschoi, RE, XXXI r, 1933, გვ. 351; E. Savignac, Muschki et Phrygiens, «Journal Asiatique», 1953, გვ. 141—143-კ. წერეთელი, ქართული ეთნიკური ტერმინის „მესხ“-ის ისტორიისათვის, „საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოაბე“, XV, 2, 1954, გვ. 111 და შშდ.; Г. А. Мелник и Швил, Напри-Урарту, გვ. 409, შშდ.; მისივე, К истории древней Грузии, გვ. 104 და სხვ. И. М. Дьяконов, Хетты, фригийцы и армяне, ПАС, I, М., 1961, გვ. 354; მისივე, Предыстория армянского народа, Ереван, 1968, გვ. 214 შშდ.; ნ. ხაზარაძე, ფრიგიის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, «კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული», II, გვ. 45 და შშდ.

კურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაშიც. მუშეების სამეფოსთან ერთად იგი იყო ასურეთის დაუძინებელი მტერი დასავლეთში, სადაც თაბალს მცირე აზიის მთელ რიგ პოლიტიკურ ერთეულებზე ჰეგემონობა ჰქონდა მოპოვებული. ყოველივე ამის გამო გასაგებია, რომ თაბალისადმი ინტერესი საგრძნობლად გაიზარდა ჩვენს დროში, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც თაბალთან დაკავშირებით მეცნიერებამ მოიპოვა როგორც წერილობითი, ასევე არქეოლოგიური ხასიათის ახალი მასალა. ამ უკანასკნელ ხანებში თაბალისათვის სავარაუდო ტერიტორიაზე აღმოჩენილი იეროგლიფურ-ლუვიური წარწერებისა და არქეოლოგიური მასალების შექმნე დიდად გაიზარდა თაბალის მნიშვნელობა ძვ. წ. IX—VII საუკუნეების ლუვიური („იეროგლიფური“) სამყაროსათვის.

მართალია, თაბალის ისტორიის ცალკეული საკითხები — „თაბალ“ ტერმინის წარმომავლობა, თაბალის მოსახლეობის ეთნოგენეზისი, თაბალის ქვეყნის ლოკალიზაცია — დიდი ხანია იმსახურებენ მკვლევართა ყურადღებას, მაგრამ თაბალის ისტორია ჯერჯერობით მაინც არ არის შესწავლილი მონოგრაფიულად. წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამგვარი შესწავლის პირველ ცდას წარმოადგენს. მასში თავმოყრილია ყველა წყარო (ასურული, ძველებრაული, იეროგლიფურ-ლუვიური, ძველებრძნული, რომაული, ბიზანტიური), რომლებშიც მოხსენიებულია „თაბალი“, თაბალის მეფე-მთავრები და „ტიბარენები“, მაქსიმალურადაა გამოყენებული თაბალურ ცენტრებში 1967—1976 წლებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, გათვალისწინებულია საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებული ძველი და ახალი სპეციალური ლიტერატურა.

ახალი მასალებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მოშველიებით შევეცადეთ დაგვეზუსტებინა თაბალის ლოკალიზაცია, დაგვესვა საკითხი „თაბალ“ ტერმინის წარმომავლობისა და თაბალის მოსახლეობის ეთნო-კულტურული კუთვნილების შესახებ, შეგვესწავლა მისი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ზოგიერთი საკითხი. მაგრამ ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა-ძიების მიუხედავად, თაბალის ისტორიის მრავალი საკითხი კვლავ ბურუსით რჩება მოცული. მომავალმა არქეოლოგიურმა გათხრებმა და იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების შემდგომმა შესწავლამ მეტი შუქი უნდა მოჰფინოს თაბალის პრობლემას.

თაბალის ისტორიის უემსწავლელი წყაროები

§ 1. ასურული წერილობითი წყაროები

თაბალის ისტორიის შესწავლის ძირითადი წყაროა ასურული წერილობითი ძეგლები — სალმანასარ III-ის (ძვ. წ. 859—824 წწ.), თიგლათფილესერ III-ის (ძვ. წ. 745—727 წწ.), სარგონ II-ის (ძვ. წ. 722—705 წწ.), სინაქერიბის (ძვ. წ. 705—681 წწ.), ასარქადონისა (ძვ. წ. 681—668 წწ.) და ასურბანიფალის (ძვ. წ. 668—629 წწ.) წარწერები.

უძველეს ცნობებს თაბალის შესახებ სალმანასარ III-ის დროინდელ წერილობით ძეგლებში ვპოულობთ.

თაბალის შესახებ ძირითად ინფორმაციას შავ ობელისკზე ამოკვეთილი სალმანასარ III-ის წარწერა¹ გვაწოდის. ამ წყაროდან ვიგებთ, რომ თაბალი მდ. ევფრატის „გადაღმა“ (ე. ი. დასავლეთით), მელიდის მეზობლად მდებარე ქვეყანა იყო (ARAB, 1, 579, 580). ძვ. წ. 837 წ. იგი ასურეთის ქვეშევრდომობაში მოექცა.

სალმანასარ III-ის სხვა წარწერები² არა მხოლოდ ადასტურებენ შავი ობელისკის ზემომითითებულ მონაცემებს, არამედ მნიშვნელოვნად ავსებენ მათ.

ასე, მაგალითად, სამეფო ტახტზე ამოკვეთილი წარწერის იმ ნაწილში, რომელიც სალმანასარ III-ის ტიტულატურას ეძღვნება, თაბალი ასურელების მიერ დამორჩილებული ქვეყნების გრძელ სიაში ფიგურირებს (ARAB, I, 674). ეს ფაქტი კარგად ეთანხმება შავი ობელისკის ცნობებს ასურელთა მიერ თაბალის დალაშქრისა და თაბალელთაგან ხარკის მიღების შესახებ.

¹ A. A m i a u d, V. S h e i l, Les Inscriptions de Salmanasar III Roi d'Assyrie, Paris, 1890, გვ. 62, სტრ. 104—107; ARAB, 1, 579—580;

² ARAB, r, 582, 674; J o r g e n L a e s s o e, A Statue of Salmeneser III from Nimrud, Iraq, XXI, 2, 1959, გვ. 147—157.

იგივე წარწერა და 1959 წელს გამოქვეყნებული სალმანასარ III-ის დროინდელი ერთ-ერთი წერილობითი ძეგლი (წარწერა ქანდაკებაზე ნიმრუდიდან) მხარს უჭერენ შავი ობელისკის იმ ჩვენებასაც, რომ თაბალი მელიდის მეზობლად მდებარეობდა³.

როგორც აღინიშნა, სალმანასარ III-ის წარწერები შავი ობელისკის მონაცემებს სხვა ცნობებითაც ავსებენ, რაც კარგად ჩანს შემდეგიდან:

სალმანასარ III-ის ქანდაკებაზე ამოკვეთილი წარწერიდან ვიგებთ, რომ მელიდის გარდა თაბალი ქუესაც ემეზობლებოდა. ამავე დროს ისიც ირკვევა, რომ ჩვენთვის საინტერესო ქვეყანა ტერიტორიულად ახლო იყო თუნის, მულისა და თიმურის მთებთან. აღნიშნული წარწერის ჩვენებით, თაბალის „მეფეთაგან“ ერთ-ერთს Tuatti (თუათი) ერქვა.

თაბალი იხსენიება აგრეთვე თიგლათფილესერ III-ის ორ წარწერაში: „ანალების“ მოწმობით, თაბალი ასურელთა ქვეშევრდომი იყო, ხარკს უხდიდა რა ამ უკანასკნელებს. თაბალში Uasurme (უასურმე) მეფობდა. ნიმრუდში ნაპოვნ ფირფიტაში თაბალის პოლიტიკური ისტორიის ერთი საყურადღებო მომენტი ასახული: დაახლოებით ძვ. წ. 728 წელს ასურელებს თაბალის ურჩი მეფე უასურმე გადაუყენებიათ, მისი ტახტი კი ვინმე ჰულისათვის გადაუტიათ. წყარო ამ უკანასკნელს „არავის შვილს“ უწოდებს (ARAB, I, 802).

თაბალის ისტორიის შესასწავლად საგულისხმო ცნობებს ვპოულობთ თიგლათფილესერ III-ის მეგკიდრის სარგონ II-ის მრავალრიცხოვან წარწერებშიც. ისინი საგულისხმო მითითებებს გვაძლევენ თაბალის მდებარეობის წარმოსადგენად. სახელდობრ, რიგი წარწერის⁴ მოწმობით, თაბალი უშუალოდ ესაზღვრებოდა თუნა-შინუხთუს, ხილაქუს, მუშქების ქვეყანას და ადრინდელი ხანის წყაროებიდან ჩვენთვის კარგად ცნობილ ქუეს.

სარგონ II-ის დროინდელ წერილობით ტექსტებში თაბალის შესახებ სხვა ცნობებიცაა შემონახული. ასე, მაგალითად, სარგონ II-ის „ანალების, ე. წ. საგამოფენო წარწერის, ჰიშკრის კომპლე-

³ ARAB, i, 674; Jorgen Laessoe, დასახ. ნაშრ. გვ. 152 შმდ.

⁴ ARAB, I, 582; Jorgen Laessoe, გვ. 153; Houwink Ten Cate, The Luwian Population Groups of Licia and Cilicia Aspera during the Hellenistic Period, 1963, გვ. 19.

⁵ H. W i n c k l e r, Die Annalen, სტრ. 163 შმდ.; Pr. სტრ. 29 შმდ., Ann. XIV, Pp. IV, სტრ. 36 შმდ.

ქის იატაკზე ამოკვეთილი წარწერისა და სხვა წერილობითი ძეგლების⁶ თანახმად, თაბალის ერთ-ერთი სამთავროს ბით-ბურუთაშის მმართველს ამბარიდუ ჰულის ძეს სარგონ II-ის ქალიშვილი ჰყოლია ცოლად.

თაბალთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების მიზნით, სარგონ II-ს თაბალის მთავრისათვის ხილაქუ უბოძებია. მაგრამ ამბარიდუ თაბალელს დამოუკიდებლობა ურჩევია. მას მეგობრული ურთიერთობა დაუმყარებია მუშქების ქვეყნისა და ურარტუს მეფეებთან. სიძის ურჩობით განარისხებულ სარგონ II-ს თაბალი მთლად აუოხრებია. აქ მას სხვა ქვეყნებიდან აყრილი ხალხი დაუქსახლებია, თავისი მოხელეები დაუნიშნავს და თაბალის მოსახლეობისათვის ხარკი შეუწერია. ბორკილებით ხელ-ფეხშეკრული ამბარიდუ ოჯახის წევრებთან, ნათესავებთან, დიდებულებთან და 100 საბრძოლო ეტლთან ერთად ასურში წაუყვანია.

როგორც ამას ნიმრულში აღმოჩენილი ერთ-ერთი წარწერა გვამცნობს, ამბარიდუს შემდეგ თაბალის სამეფო ტახტზე შინუხთუს ქვეყნის მეფე ქიაქი მჯდარა (ARAB, II, 137 შდრ. 55).

ძვ. წ. VIII ს-ის ბოლო წლებით დათარიღებული ორი წერილობითი ძეგლი — სარგონ II-ის ცნობილი „რელაცია“ და ნინევიამი ნაპოვნი წარწერა პრიზმაზე (ეს წარწერები ურარტუს წინააღმდეგ ასურელთა ძვ. წ. 714 წლის ლაშქრობასა და მის შედეგებს აღწერენ), მუსასირში მდებარე ხალდის ტაძრიდან სარგონ II-ის მიერ გატაცებული ნივთების ჩამოთვლისას იხსენიებენ ოქროსყურებიან თაბალურ ფიალებს, ვერცხლის სასაქმევლეებს, ვერცხლის ფიალებს, ნელსაცხებლებისათვის და საცეცხლურებს (ARAB II, 172, 197, შდრ. 213), რაც „ბიბლიის“ მონაცემებთან ერთად (იხ. ქვემოთ), საგულისხმო მასალას წარმოადგენს თაბალის ეკონომიკური ცხოვრების შესასწავლად⁷.

ძვ. წ. VII ს-ის ასურულ წერილობით ძეგლებში ჩვენთვის საინტერესო ქვეყნის შესახებ რამდენიმე ცნობაა შემონახული.

სინაქეზისდროინდელი წარწერებიდან ვიგებთ, რომ თაბალის საზღვარი თილ-გარიმუსთან გადიოდა (ARAB II, 290, 329, 349). ასარქადონის წარწერებიდან A და S პრიზმებზე კი ირკვევა,

⁶ H. Winckler, Die Annalen, სტრ. 140; Pr. სტრ. 29 შდრ.; Pp IV, სტრ. 36 შდრ.; ARAB, II, 24, 25, 55, 99, 118 და სხვ. АВИИУ, № 46, 54.

⁷ H. Winckler, Pr., სტრ. 29 შდრ.; АВИИУ, № 54.

რომ თაბალის ქვეყანას ეკვროდა მთები, რომლებშიც დე'უსას ხალხი ცხოვრობდა (ARAB, II, 516, 531; АВИИУ № 65).

თაბალის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდის შამაშის ორაკულისადმი ასარქადონის კითხვები. სწორედ ისინი გვატყობინებენ, რომ ძვ. წ. VII ს-ის 70-იან წლებში თაბალში მეფობდა იშგალუ, რომელიც მელიდის მეფე მუგალესთან ერთად ასურელების საშიშ მოწინააღმდეგეს წარმოადგენდა და რომ თაბალელებს აღნიშნულ ხანაში დამოუკიდებლობა მოუპოვებიათ⁸.

ასურულ წერილობით წყაროებში „თაბალი“ და „თაბალის მცხოვრებნი“ უკანასკნელად ასურბანიფალის წარწერებში იხსენიებიან, რომელთა მოწმობით, ასურბანიფალის ძლიერებით შეშინებულ თაბალელებს ასურეთისათვის ხარკის გადახდა უკისრიათ, ხოლო თაბალის მეფე მუგალუს თავისი ქალიშვილი ასურეთის მეფის ჰარამხანაში გაუგზავნია (ARAB, II, 781, 848, 911).⁹

სხვა რაიმე ცნობას თაბალის შესახებ ასურულ წარწერებში არ ვხვდებით. მაგრამ ზემომოტანილი მასალიდან კარგად ჩანს, რომ მცირერიცხოვნობის მიუხედავად ეს წარწერები საშუალებას გვაძლევენ განვსაზღვროთ თაბალის მდებარეობა, ზოგადად წარმოვიდგინოთ ამ ქვეყნის პოლიტიკური ისტორია, განვსაზღვროთ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე.

§ 2. „ბიბლია“, როგორც თაბალის ისტორიის წყარო

„ბიბლია“ თაბალის ისტორიის შესწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

„ბიბლიის“ ებრაულ ტექსტებში ასურულ „თაბალს“ შეესატყვისება „თუბალ“, „ბიბლიის“ ბერძნულ და ლათინურ თარგმანებში გვაქვს „თობელ“, „ობელ“, „ობერ“ (Θαβήλ, Θαβέρ, Οβέρ, Thobel)⁹, ხოლო ქართულ თარგმანში — „თობელ“, „თოვილ“, „თოველ“¹⁰.

⁸ Knudtzon, Assyrische Gebete an den Sonnengot, Leipzig, 1893, 54, 56a, 57, 59, 60, 61; АВИИУ, № 68 (g).

⁹ „გეორგიკა“, I, თბ., 1961, გვ. 12, 35, 221—223, 271; „გეორგიკა“, VI; თბ., 1966, გვ. 182—184 და სხვ.

¹⁰ ბიბლია, ტფილისი, 1884, „შესაქმე“, F. Graffin, «Patrologia Orientalis», XXIX, 3; The Old Georgian Version of the Prophets, criticae (ed. with a latin translation, by R. D. Blake and C. M. Briere, Paris, 1961, გვ. 508; იქვე, XXIX, 5, გვ. 770.

ა) უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იმსახურებს ცნობები, რომლებიც ძვ. წ. VII—VI საუკუნეების თაბალის გეოგრაფიულ და ეთნო-პოლიტიკურ გარემოცვას წარმოადგენენ.

„შესაქმეს“ წიგნის (ძვ. წ. VI ს.) X თავის თანახმად, თუბალელთა ეთნარქოსი თუბალი¹¹ ნოეს ერთ-ერთი შვილის იაფეტის¹² შთამომავალი იყო. „შესაქმეს“ წიგნის X თავში ვკითხულობთ: „ძენი იაფეთისანი: ლამერ და მაგოგ და მადაიმ და იოვან და ელიოსან და თობელ და მოსოქ და თირას“ (X, 2).

თუბალის „ძმების“ სია დაახლოებით ასევეა წარმოდგენილი „ნეშტა“ წიგნის პირველ რედაქციაშიც, იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელში დამატებით იხსენიებიან მათუსალა და ლამექი. ასე, „ნეშტა“ წიგნი გვამცნობს: „ძენი იაფეთისანი. მათუსალა, გამერ, ლამექ, მაგოგ, მადაიმ, იოვან (ელისა), თობელ, მოსოქ და თირას“ (15)¹³.

ეზეკიელის (ძვ. წ. VI ს.) წინასწარმეტყველებებში თუბალის გვერდით იხსენიებიან მოსოხი, იოვანი, რუსი. ასე, მაგალითად, ტვიროსის გოდებაში ვკითხულობთ: „იონია, თობელი და მოსოხი, ვაჭრობდნენ შენ შორის სულებსა კაცთასა და ქურქელნი რვალი სანი მისცნეს სავაჭროდ შენდა“ (ეზეკიელი, 38₁₃)¹⁴.

გოგის საწინააღმდეგო სიტყვაში, რომელიც როგორც ფიქრობენ, ლიდია-მიდიის ძვ. წ. 590—585 წწ. ომის დროს დაიწერა¹⁵, იგივე ეზეკიელი ამბობს „...და ითქვა სიტყუა უფლისა ჩემდამი მეტყუელი: ძეო კაცისაო, განამტკიცე პირი შენი გოგს ზედა, და ქუეყანასა ზედა მაგოგთასა, მთავარსა როსს, მოსოხს და თობელს და წინასწარმეტყველებ მის ზედა და არქუ მას: ამათ იტყვის უფა-

¹¹ როგორც ცნობილია, „შესაქმეს“ წიგნის X თავში ცალკეული ხალხები და ქვეყნები ეთნარქოსების სახითაა წარმოდგენილი.

¹² ე. დორმის აზრით, იაფეტი ასახიერებს ყველა იმ ხალხს, რომელიც ჩრდილოეთ სირიისა და მესოპოტამიის მეზობლად ცხოვრობდა, მაგრამ განსხვავდებოდა სემიტური მოდგმის ტომებისაგან, როგორც ენით, ასევე ფიზიკური აღნაგობითა და ზნე-ჩვეულებებით. იხ. E. Dhorme, «Syria», XIII, 1932, გვ. 42 და შმდ.

¹³ „ნეშტა“ წიგნის მეორე რედაქცია გვამცნობებს: „ხოლო ძენი იაფეთისანი გერსამ და მაგოგ და მადაიმ, იოან, ელისა და აფოშალ და მოსოხ და ფირას“ („ნეშტა“, I, 5, II რედაქცია). როგორც ვხედავთ, „თობელის“ ადგილი მოტანილ ნაწყვეტში „აფოშალ“-ს უკავია.

¹⁴ A-1108, «ეელათური ბიბლია».

¹⁵ АВИИУ, № 85, შენ, 3., შდრ. № 86, შენ. 2.

ლი ღმერთი: აჰა მე შენ ზედა გოგ მთავარსა როსს, მოსოხს და თობელს“ (ეზეკიელი, 38₂₋₃). და იქვე: „და შენ ძეო კაცი საო წინასწარმეტყუელებდ გოგის ზედა და არქუ ამას იტყვს აღონა უფალი. აჰა ესე რა მე შენ ზედა გოგ, მთავარისა როსისა, მოსოქ და თობელსა“ (ეზეკიელი, 39). დაბოლოს მოვიტანთ კიდევ ერთ ადგილს ეზეკიელის წინასწარმეტყუელებიდან, სადაც თუბალის გვერდით კვლავ მოსოხი იხსენიება: „...მუნ მიეცნეს მოსოქ და თობელ და ყოველი ძირი თითოეულისა მათისა საფლავისა მისისა გარემოსთაგანისა, ყოველნი წყლულნი მათნი“ (ეზეკიელი, 32₂₆).

ესაიას წინასწარმეტყუელებებში თუბალი, მოსოხი და იოვანი ასეთ კონტექსტში არიან დამოწმებული: „და დაუტევო მათთანა სასწაული და განვაკლინე მათგან ცხოვნებულნი წარმართთა მიმართ თარშიდ და ფუდდ და ლუდდ და მოსოხდ და თოველთ და ელადად მიმართ“ (ესაია, 69₁₉). —

როგორც ვხედავთ, „ბიბლიაში“ თუბალის გვერდით უმთავრესად იოვანი და მოსოხი იხსენიებიან. ასეთსავე სურათს ვხედავთ „ბიბლიის“ გვიანდელ განმარტებებშიც, რაც კარგად ჩანს შემდეგიდან: იოსებ ფლავიოსი ამბობს: „... ხოლო იოვანოზსგან იონა და ყოველნი ელლინნი იქმნებიან. დაამკურებეს უკუშ თოვილოსცა — თოვილთასა, რომელნი აწ ივირად იწოდებიან. ხოლო მესქინნი მესხიოზს მიერ აღშენებულნი აწ კაპადუჯად იწოდებიან“¹⁶. და ა. შ.

მსგავს კონტექსტებში ვხვდებით თუბალს ეგვიპტის ანტიოქეის, თეოდორიტე კვირელის, გიორგი სინგლოზის, ლეონ გრამატიკოსის, იოანე ზონარას და სხვათა თხზულებებშიც¹⁷.

„ბიბლიის“ გვიანდელ განმარტებებში, იოვანი, როგორც წესი, იონელების ანუ ელინების ეთნარქოსადაა მიჩნეული. მოსოხის იდენტიფიკაციის საკითხთან დაკავშირებით კი აზრთა სხვადასხვაობა შეიმჩნევა. ასე, იოსებ ფლავიოსი და მასზე დამოკიდებული ზოგი გვიანდელი ავტორი თვლის, რომ მოსოხისაგან წარმოშობილი არიან მოსოხენები (ვარიანტი — მესხინები, მესქინნი), „ახლანდელი“ კაპადოკიელები¹⁸. სრულიად განსხვავებულად წარმოგვიდგნენ მოსოხის შთამომავალთა საკითხს „პასქალური ქრონიკის“ (VII ს.) ავტორი და გიორგი სინგლოზი (VIII—IX სს.):

¹⁶ „ბეორგია“, I, გვ. 271—272; „გეორგია“, VI, გვ. 182—183.

¹⁷ „გეორგია“, I, გვ. 34—35; 221—222; VI, გვ. 182—183 და სხვ.

¹⁸ „გეორგია“, I, გვ. 271—272; შდრ. იქვე, გვ. 34—35, 221—222.

თუ პირველის თანახმად, მოსოხი გეტულების ეთნარქოსი იყო, მეორე მას ილოირიელების წინაპრად თვლიდა¹⁹.

ბ) მკვლევარებმა დიდი ხანია ყურადღება მიაქციეს „შესაქმეს“ წიგნის IV თავს, სადაც ძმების ჰაბელისა და კაინის ამბავია მოთხრობილი და კაინის შთამომავალთა შორის იხსენიებიან ლამეჯის შვილები — ძმები მაბალ-აუბალი და მათი ნახევარძმა თუბალ-კაინი („შესაქმე“, IV, 1—25).

ჩერ კიდევ პ. გუნკელს აღუნიშნავს „მაბალ“, „აუბალ“, „თუბალ“ სახელთა ფონეტიკური მსგავსება და მას „თუბალ“ ფორმა უძველესად მიუჩნევია²⁰. მაგრამ რაკი სემიტური ენების საშუალებით „მაბალ“, „აუბალ“, „თუბალ“ სახელების ახსნა შეუძლებელი აღმოჩნდა, ამიტომ „მაბალ“, „აუბალ“, „თუბალ“ ტერმინების ლინგვისტური ანალიზი შემდგომი კვლევებიდან დაიწყო. ამ მხრივ საგულისხმოა ქართველი ისტორიკოსების ცდა ქართველური ენების საშუალებით აეხსნათ აღნიშნული სახელწოდებები. საკითხის ამ მხარეს ჩვენ ქვემოთ დავუბრუნდებით. ახლა კი ვნახოთ, როგორ წარმოგვიდგენს ჩვენთვის საინტერესო „მაბალ“, „აუბალ“, „თუბალ-კაინს“, „ჰაბელსა“ და „კაინს“ „შესაქმეს“ IV თავის ავტორი (თუ ავტორები).

ძმები მაბალ-აუბალი ასე არიან დახასიათებული: მაბალ — „ესე იყო მამა მკვიდრთა კარვებისათა საცხოვარისა მზრდელთა“ (IV, 20), აუბალ — „ესე იყო გამომჩინებელ საუსალმუნისა და ებნისა“ (IV, 21).

მაბალ-აუბალის ნახევარძმა თუბალ-კაინზე კი ნათქვამია, რომ იგი „იყო კვერით ხურო მკვდელი რვალისა და რკინისა“ (IV, 22). თუბალ-კაინის დახელოვნებას მელითონეობაში ეზეკიელიც ადასტურებს. ტვიროსის გოდებაში ეზეკიელი ამბობს: „იონია, თობელი და მეშეხი ვაჭრობდნენ შენ შორის სულეხსა კაცთასა და ქურქელნი რვალისანი მისცნეს სავაჭროდ შენდა“.

„შესაქმეს“ IV თავის დასაწყისშივე ძმები ჰაბელ და კაინ ამგვარად არიან წარმოდგენილი: „და იქმნა ჰაბელ მწყემსი ცხოვართა, ხოლო კაინ იყო მშრომელ ქუეყნისა“ (IV, 2). ჰაბელისა და კაინის ეს დახასიათება იქვე, მხოლოდ უკვე სხვა კონტექსტში,

¹⁹ „გეორგია“, IV, I გვ. 6; იქვე, გვ. 61—62. შდრ. „გეორგია“, VI, გვ. 183—184.

²⁰ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 400.

ასეა გამეორებული: „მოართვა კაინ ნაყოფთაგან ქუეყანისათა მსხვერპლი უფალსა“ (IV, 3) და „ჰაბელცა მოართვა პირმშობაგან ცხოვართა მისთასა“ (IV, 4).

ზემოაღნიშნულთან ერთად საყოფადღებოა შემდეგიც: ბიბლიური გადმოცემით, მას შემდეგ, რაც ძმის ჰაბელის მკვლელობისათვის ღმერთმა კაინი დასწყევლა და განდევნა, ახალ ადგილზე გადასახლებულმა კაინმა კვლავ ბინადარ ცხოვრებას მიჰყო ხელი. „და დაემკვდრა ქუეყანასა ნაიდს წინაშე ედემისა“ (IV, 16) და „აღამენა ქალაქი და უწოდა ქალაქსა სახელი ძისა თვისისა, ენოზ“ (IV, 17).

თუ შევეუდარებთ ერთიმეორეს ეთნარქოსების საქმიანობის ზემომოტიანილ დახასიათებებს, დავინახავთ, რომ ჰაბელი აბაღლივით მესაქონლეობას მისდევს, მომთაბარეა, ხოლო კაინი, თუბალი და თუბალ-კაინი ბინადარ ცხოვრებას ეწევიან, აშენებენ ქალაქებს. დახელოვნებული არიან მეღიფთობაში, მონაწილეობენ საერთაშორისო ვაჭრობაში და სხვა.

ამგვარად, ჰაბელ-აბაღლი, ერთი მხრით, და კაინ, აუბალ და თუბალ-კაინი, მეორე მხრით, ფაქტიურად იდენტური არიან. აქედან გამომდინარე, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ „შესაქმის“ წიგნის IV თავში იმ ტომის თუ ტომთა გაერთიანების ისტორიაა თავისებურად მოთხრობილი, რომელსაც განზოგადებული სახით თუბალ-კაინი წარმოგვიდგენს²¹.

იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ „ბიბლიის“ ცალკეული წიგნების (და მათ შორის „შესაქმის“ წიგნის) შედგენისას მათი ავტორები სხვადასხვა დროისა და ხასიათის წყაროებით სარგებლობდნენ, გასაგები გახდება ჩვენთვის საინტერესო „თუბალ-კაინის“ პარალელური ფორმების სიმრავლე²². ალბათ, ამავე მიზეზით აიხსნება ჰაბელ-კაინისა და აბაღლ, აუბალ, თუბალ-კაინის სხვადასხვა ადგილი ადამ და ევას იმ გენეალოგიურ ხაზში, რომელიც იგივე IV თავმა შემოგვინახა²³. ამ უკანასკნელის თანახმად,

²¹ შლრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 396 და შმდ.

²² შლრ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, „შრომები“, III, თბ., 1959, გვ. 71—72.

²³ თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი-ზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (ძვ. წ. XV—IV სს.), ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა (სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად), თბ., 1969, გვ. 295 და შმდ.

ჰაბელი და კაინი უშუალო მემკვიდრეები არიან ადამ და ევასი, ხოლო აბალ, აუბალ და თუბალ-კაინი კაინიდან მომდინარე შექცევს თაობას წარმოდგენენ²⁴.

ამგვარად, ყოველივე ზემოაღნიშნული იმაზე ლაპარაკობს, რომ თაბალის ისტორიის კვლევისას, „შესაქმეს“ წიგნის IV თავის ცნობები ჰაბელ-კაინისა და აბალ, აუბალ, თუბალ-კაინის შესახებ ერთნაირად საყურადღებო და საგულისხმო არიან.

როგორც ვხედავთ, ეს ცნობები ღირსშესანიშნავ წყაროს წარმოადგენს თაბალის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხების შესასწავლად.

§ 3. იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები, როგორც თაბალის ისტორიის წყარო

ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან ამ ბოლო დრომდე თაბალურ პუნქტებში: ტოპადა, სუვასა, ჩიფლიკი, კაისერი, სულთანხანი, კულულუ და სხვ. აღმოჩენილი იეროგლიფურ-ლუვიური, ან ადრეული ტერმინოლოგიით იეროგლიფურ-ხეთური, წარწერები თაბალის ისტორიის შესწავლისათვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

24 როგორც ცნობილია, „შესაქმეს“ წიგნი ადამ და ევას შთამომავალთა ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ნუსხა შემოგვინახა. თუ პირველი ნუსხის თანახმად („შესაქმე“, IV თავი) თუბალ-კაინს ერთი მკვიდრი და — ნოემა და ორი ნახევარძმა — აბალ, აუბალ, ჰყავს, მეორე ნუსხის მიხედვით („შესაქმე“, X თავი), თუბალს, რომელიც იაფეტის მეხუთე შვილად ითვლება, ექვსი ძმა ჰყავს (გამერ, მაგოვ, მადაიმ, იოვან, ელიოსან, მოსოქ და თირას). ნუსხების შედარებიდან ისიც ირკვევა, რომ თუბალ-კაინისა და თუბალს მამებიც სხვადასხვა ჰყოლიათ. თუბალ-კაინის მამა ლამექია, ხოლო თუბალისა — იაფეტი. ამასთან ერთად, თუბალ-კაინის დედის სახელიც ცნობილია, თუბალის დედისა კი — არა. ასევე განსხვავებულია ლამექისა და იაფეტის უშუალო წინაპართა სახელებიც. ასე, მაგ., ლამექის მამა მეთუშაელია (მათუსალა), იაფეტისა კი — ნოე (აქვე უნდა მივუთითოთ, რომ მეთუშაელი მეორე ნუსხაშიც იხსენიება, როგორც ლამექის მამა და ნოეს პაპა). ჩვენთვის საინტერესო ნუსხებს შორის სხვა განსხვავებებიც შეიმჩნევა. მაგალითად, მეორე ნუსხაში აღარ ფიგურირებს ჰაბელი. მისი ადგილი უკავია სეითს, რაც სავსებით ბუნებრივია, თუ გავიხსენებთ, რომ ჰაბელის მკვლელობის შემდეგ „ადამ იცნა ევა ცოლი თვისი და მიდგომილჰან, შვა ძე და უწოდა სახელი მისი სეით, ... ნაცულად აბელისა, რომელ მოკლა კაინ“ („შესაქმე“, IV, 24—25). ამავე დროს, პირველისაგან განსხვავებით მეორე ნუსხაში დასახელებული არიან ენოს, სემ, ჰამ, იაფეტ და ამ უკანასკნელის ვაჟები: გამერ, მაგოვ, იავან (იოვან), ელისა, მოსოხ, თირას. შდრ. ივ-ქ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ერის ისტორია, I, გვ. 397 და შდრ.

უკვე 1935—1936 წლებში ბ. ჰროზნიმ გამოაქვეყნა ამ წარწერების უმრავლესობის პირები, ტრანსკრიფციები და ფრანგული თარგმანებები²⁵, ი. გელბმა იმავე წლებში გამოსცა იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების ფოტოპირები²⁶, სადაც ჩვენთვის საინტერესო წერილობითი ძეგლების დიდი ნაწილია წარმოდგენილი, ხოლო XX საუკუნის 50-იან წლებში ყარათეფეში (კილიკიაში) აღმოჩენილმა ბილინგვამ²⁷ ახალი შუქი მოჰვინა იეროგლიფურ-ლუვიურ დამწერლობასა და ენას. მაგრამ იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების თანამედროვე დონეზე გამოცემისა და ინტერპრეტაციის საკითხი კვლავ მეცნიერთა ყურადღების ცენტრში დგას. ამ თვალსაზრისით ფასდაუდებელია პ. მერიჯის მიერ 1967—1975 წლებში გამოცემული ნაშრომი «Manuale Di Eteo Geroglifico», რომელშიც ძვ. წ. II-I ათასწლეულების 300-ზე მეტი იეროგლიფურ-ლუვიური წარწერაა თავმოყრილი. ტექსტებს თან ახლავს იტალიური თარგმანები, სათანადო ფილოლოგიური კომენტარები და წარწერების პირები²⁸.

სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული აზრის თანახმად, იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობა ლუვიური ტომებით დასახლებულ არცაევასა და ქიცუვათანში უნდა ჩამოყალიბებულიყო ძვ. წ. II ათასწლეულში. ამ დამწერლობის უძველესი ნიმუში ქიცუვათანს მეფე ისფუთახსუს (ძვ. წ. XVI ს.) საბეჭდავმა შემოგვინახა. ძვ. წ. II ათასწლეულს განეკუთვნებიან აგრეთვე იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები, რომლებიც სიპილოსში, ყარაბელსა და ჩივრიდშია აღმოჩენილი²⁹.

²⁵ ArOr VII, № 3, 1935, გვ. 488 და შმდ.; იქვე, VII, № 9, 1935, გვ. 516 და შმდ.; იქვე, VIII, № 1, 1936, გვ. 1 შმდ.

²⁶ I. Gelb, Hittite Hieroglyphic Monuments, Chicago, 1936, №№ 17, 36, 38, 50. ტაბულები: XXX, I, III, IV, VI, VIII, XXII—XXX.

²⁷ ყარათეფეში აღმოჩენილი ბილინგვა იეროგლიფურ-ლუვიურ და ფინიკიურ ენებზეა შესრულებული. И. И. В и н и к о в, Новые финикийские надписи из Киликии, ВДИ, 1950, გვ. 92; R. D. Barnett, Karatepe, The key of the Hittite Hieroglyphs, AnSt, III, 1953.

²⁸ Meriggi, Manuale Di Eteo Geroglifico, Parte I: testi-la SERIE, Roma, 1967; Parte II: Testi-2a E 3 a SERIE, Roma, 1975; Parte II; Tavole-2 a E 3 a SERIE., Roma, 1975. იტალიური ტექსტი ჩვენი თხოვნით თარგმნა ბ. გიორგაძემ, რისთვისაც მადლობას მოვასხეუნებთ.

²⁹ გრ. გიორგაძე, სავაქრო-კულტურული ურთიერთობანი კაპადოკიასა და მეზობელ ქვეყნებს შორის ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში, „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული“, II, თბ.; 1962, გვ. 25—26; И. М. Д у н а - е в с к а я, Язык хеттских иероглифов, М., 1969, გვ. 18 და შმდ.; А. А. К о -

ხეთურ (ნესიტურ). ტექსტებში ლუვიური სიტყვებისა და საერთოდ ლუვიზმების პირველ გამოჩენას ძვ. წ. XIV ს. მეორე ნახევარს მიაკუთვნებენ (მურსილი II-ის მეფობის ხანა), ხოლო პალისის აუზში იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობის გავრცელებას ძვ. წ. XIII ს. ათარიღებენ. ამ პერიოდისაა, კერძოდ, ემირგაზის, ბოლაზქოს, ქოილუთოლუს წარწერები. ძვ. წ. XIV—XIII საუკუნეებშივე ივარაუდება ხეთებით (ნესიტებით) დასახლებულ ტერიტორიაზე ლუვიელთა ინფილტრაციის პროცესის დასაწყისი, რაც კარგად აისახა ხეთურ ონომასტიკონში და ხეთური კულტურის სხვადასხვა სფეროში³⁰.

ლუვიურ-იეროგლიფური დამწერლობა ხეთურ ლურსმულ დამწერლობაზე უფრო დიდხანს არსებობდა. ხეთების სამეფოს დაცემის (ძვ. წ. XII ს.) შემდგომ ხანაში, ხათუსას განადგურებასთან ერთად, ხეთური ლურსმული წყვეტს თავის არსებობას. იეროგლიფურ-ლუვიური კი მანამდე არნახულ აყვავებას განიცდის. იგი გვიანხეთურ სამთავროთა (თაბალი, ქუე, მელიდი, ქარხემიში) სახელმწიფო დამწერლობად იქცევა და ძვ. წ. VIII ს. დასასრულამდე არსებობს. ახალი გამოკვლევების შედეგად გაირკვა, რომ იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების ენა ლუვიური ლურსმულის მონათესავე ენაა და არა დიალექტი (როგორც წინათ ფიქრობდნენ). იეროგლიფურ-ლუვიურსა და ლურსმულ ლუვიურს ლიკიურთან (A და B) და გვიანდელ სხვა ენებთან — პისიდიურთან, ლიკონურთან, კილიკიურთან, სიდეტურთან ერთად მკვლევრები ათავსებენ ინდოევროპული ენების ანატოლიურ (ხეთურ-ლუვიური) ჯგუფის ლუვიურ ქვეჯგუფში³¹.

თაბალის ტერიტორიაზე ჯერჯერობით არ არის მიკვლევული არც ქარხემიშის მეფეთა (არარასის ან კათუვას) და არც აზითივადას ანალების ტიპის წერილობითი ძეგლები, რაც, შესაძლოა, იმით აიხსნება, რომ ამ ბოლო დრომდე აღმოჩენილი თაბალური წარწერები, ძირითადად, თაბალის მეფეთა (თუვათისა და ვასუსარმა II (?)-ის) ქვეშევრდომებს ეკუთვნით და არა თვით მეფეებს. გამონაკლისს ამ მხრივ ტოპადას წარწერა წარმოადგენს. მისი ავ-

როლე, Хетто-лувийские языки, კრებულში «Языки Азии и Африки», I, М., 1976, გვ. 26 და შმდ. აქვე იხ. მითითება საკითხის ირგვლივ არსებულ ლიტერატურაზე.

³⁰ И. М. Дунаевская, დასახ. ნაშრ., გვ. 21 და შმდ.

³¹ А. А. Королев, დასახ. ნაშრ., გვ. 28. იხ. ზემოთ, შესავალი, შენ. 6.

ტორია ვასუსარმა II (?). თაბალის წარწერები უმთავრესად ამ ქვეყნის სამშენებლო საქმიანობაზე მოგვითხრობენ. წარწერებიდან უძველესია სუვასაში აღმოჩენილი ტექსტი, რომელსაც პ. მერიჯი ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით ათარიღებს³². ჩვენთვის საინტერესო წარწერების უმრავლესობა ძვ. წ. X—VIII საუკუნეებს განეკუთვნება.

საერთო სტილითა და ხასიათით თაბალური წერილობითი ძეგლები გენეტიკურ კავშირსა და მსგავსებას ავლენენ გვიანდეთური ხანის სხვა წარწერებთან.

ჩვენთვის საინტერესო ეპიგრაფიკული ძეგლები, როგორც წესი, წარწერის ავტორის მოხსენიებით იწყება. ასე, მაგალითად, კულულუ I-ის წარწერა გვამცნობს: „მე ვარ რუვა“. წარწერაში სულთანხანიდან ვკითხულობთ: „მე ვარ [X, Y-ის] შვილი“, ხოლო ტოპადას წარწერის შესავალ ნაწილში ნათქვამია: „მე ვარ მეფე დიდი, გმირი ვასურამე“³³. თხრობა პირველ პირში წარმოებს.

ზემოთ აღინიშნა, რომ თაბალური წარწერების ავტორებად, უმთავრესად, მეფეთა ქვეშევრდომები გვევლინებიან (კულულუ I—II, სულთანხანი, სუვასა, ჩიფლიკი, კაისერი)³⁴. ორ შემთხვევაში წარწერის შემდგენლის გენეალოგიასაც ვხვდებით (სუვასა და სულთანხანი)³⁵. ტოპადას წარწერაში გენეალოგიასთან ერთად მეფის ტიტულატურაცაა გადმოცემული³⁶, რაც ხანდახან ქვეშევრდომთა წარწერებშიცაა დამოწმებული.

წარწერის ძირითადი შინაარსი შესავალ ნაწილს მოსდევს, რომელიც ხშირად წყევლისა და მუქარის ფორმებით მთავრდება (სულთანხანი, კულულუ I, ტოპადა)³⁷.

ჩვენთვის საინტერესო იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების, როგორც თაბალის ისტორიის წყაროს მნიშვნელობა დღესაც განუზომლად დიდია.

თაბალის სავარაუდო ტერიტორიაზე აღმოჩენილი წარწერები

³² P. Meriggi, დასახ. ნაშრ., II, 3 სერია, № 36.

³³ P. Meriggi, დასახ. ნაშრ., II, I, №№ 18, 30; 31.

³⁴ P. Meriggi, დასახ. ნაშრ., II, I, №№ 17, 18, 30; II, II, №№ 34, 67; II, III, 36.

³⁵ P. Meriggi, დასახ. ნაშრ., II, I, № 30; II, III, 36.

³⁶ P. Meriggi, დასახ. ნაშრ., II, I, № 31.

³⁷ P. Meriggi, დასახ. ნაშრ., II, I, №№ 18, 30, 31.

საუკეთესო წყაროს წარმოადგენს ამ ქვეყნის ადგილმდებარეობის დასადგენად, კერძოდ, კი მისი დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საზღვრის ლოკალიზებისათვის. სწორედ ამ წარწერების საშუალებით ირკვევა, რომ თაბალისა და მისი მეზობელი მუშქების ქვეყნის საზღვარს უნდა გაეკლო დღევ. სულთანხან—კაისერი—სუვასა — ტოპადა — ჩიფლიკი — ბორის ხაზზე, შუა პალისიდან აღმოსავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით, რაც კარგად ჩანს შემდეგი მონაცემებიდან: სადღეისოდ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თაბალური წარწერის თანახმად, დღევ. ტოპადას მახლობლად თაბალის დიდი და გმირი მეფის ვასუსარმა II (?)-ის ქალაქი მდებარეობდა. მეორე ტექსტის მიხედვით, ვასუსარმა I (?)-ის საკურთხეველი იდგა ტოპადას ჩრდილო-დასავლეთით განლაგებულ სუვასაში. წარწერები იმასაც მიუთითებენ, რომ დღევ. ჩიფლიკის, კაისერის, კულულუსა და სულთანხანის მიდამოები თაბალის სამფლობელოებში შედიოდა.

თაბალური წარწერებიდან თაბალის მეფეების სახელებსაც ვგებულობთ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს თაბალის მეფეების ქრონოლოგიისა და თაბალური ონომასტიკონის ხასიათის დადგენისათვისაც. აღნიშნული წარწერების მოწმობით, თაბალის ორ მეფეს მაინც, თუ მეტს არა, თეოფორული სახელი ვასუსარუმა—ვასურმა ერქვა (სუვასა, ტოპადა, ჩიფლიკი, კაისერი)³⁸. Wasu-ს (შდრ. ხეთ. აწწ-), რომელიც ლუვიურ („იეროგლიფურ“) ლექსიკას განეკუთვნება, პ. მერიჯი თარგმნის როგორც „სიკეთე“ „კეთილდღეობა“ (Wohl)³⁹. ეს სიტყვა ხშირად ფიგურირებს ისეთ შედგენილ მცირეაზიურ სახელებში, როგორიცაა: Astiwasu, TRH-huwasu, Aliwasu და სხვ. ^DWasu-ღვთაების

³⁸ „დიდი მეფე“ ვასუსარმა იხსენიება თიგლათფილესერ III-ის წარწერებში Uassurme-ს ფორმით. R. D. Barnett, დასახ. ნაშრ., გვ. 92 და შმდ.; იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების ვასუსარმასთან დაკავშირებით იხ. H. Th. Bossert, Die «hethitische» Felsinschrift von Topada, OLZ, 37, № 3, 1934, გვ. 145—150; I. Gelb, Hittite Hieroglyphic Monuments, № 36; ტაბ. LIII—LIV; E. M. Laroche, Recueil D'onomastique Hittite, Paris, 1952, № 1070 შდრ. 1221; მისივე, Les Hieroglyphes Hittites, Paris, 1960, №№ 80, 81, 207, 223, 304, 316 და სხვა; P. Meriggi, Le iscrizioni in eteo geroglyphico del Tabal, გვ. 225 და შმდ.; მისივე, Hieroglyphisch-Hethitisches Glossar, Wiesbaden, 1962, გვ. 108, 153; Houwink Ten Cate, The Luwian Population Groups of Licia and Cilicia Aspera during the Hellenistic Period, 1963 გვ. 19 და შმდ.

³⁹ P. Meriggi, Hieroglyphisch-Hethitisches Glossar, გვ. 152.

სახელწოდებაც იყო (წარწერებში იხსენიებიან *D Wasu (-) Kuparmas, D Wasumman* და სხვ.). რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო სახელწოდების მეორე ნაწილს *SRM-Sarina*-ს, ემ. ლაროშის თანახმად, *D Sarma* გვიანდელი ფორმაა ღვთაების სახელწოდებისა *D Sarruma*. ცნობილია, რომ *D Sarruma* ხურიული ღვთაებაა. ხურიულ პართეონში იგი ხეფათისა და თეშუბის (თეშუფის) ვაჟად იყო წარმოდგენილი. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ იაზილიქიას, ალუპოს, გურუნის და სხვა წარწერებში *D Sarruma* -ს სახელი, როგორც წესი, ხეფათისა და თეშუბის შემდეგ იხსენიება⁴⁰. *Sarruma* ხშირადაა გამოყენებული როგორც ერთ-ერთი კომპონენტი თეოფორული სახელწოდებისა. ასე, მაგალითად, ალუპოსა და უგართში (რას-შამრაში) აღმოჩენილ წერილობით ძეგლებში, აგრეთვე წარწერებში ბოლაზქოის საბეჭდაეებზე, იხსენიებიან: ალუპოს მეფე *Talmi-Sarruma*; უფლისწული და დიდი მწერალი (ицел) *Taki-Sarruma*; უფლისწულები-*Tili-Sarruma* და *E p(a) ri-Sarruma* და სხვ. ძვ. წ. I ათასწლეულის ლუვიურ-იეროგლიფურ წარწერებში ღვთაება სარმა (*D Sarma*) ხან ხეფათთან ერთად გვხვდება, ხან კიდევ ცალკეა მოხსენიებული⁴¹. თეოფორულ სახელებში *Sarma* დამოწმებულია როგორც ლუვიური (ლუვიურ-იეროგლიფური) ღვთაებების—არმას, სანდას (სანთას), თარხუნისა და რუ (ნთ) ას სახელებთან ერთად (*Armasarma, Sandasarma, Tarhusarma, Ru (n)sarma, Rusarmia*)⁴², ასევე ლუვიურ-იეროგლიფური ლექსიკიდან მომდინარე სიტყვებთან

⁴⁰ Em. Laroche, *Les Hieroglyphs Hittites*, №№ 80, 81. ცნობილია, რომ უკვე ძვ. წ. II ათასწლეულში ხეთურ-ლუვიურმა პანთეონმა ხურიულის ძლიერი გავლენა განიცადა. სწორედ ამ მიზეზით ხეფების უზენაესი ღვთაება მზის ქალღმერთი ქ. არინადან ხურიულ ხეფათთან იქნა გაიგივებული, ამინდისა და ქვექუხილის ღვთაება — თეშუფთან და სხვ. ხურიული პანთეონის გავლენით აიხსნება ისიც, რომ იაზილიქიას კლდეში ამოკვეთილი ქალღმერთებისა და ღმერთების სახელწოდებათა უმრავლესობა ხურიული აღმოჩნდა. ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ის, რომ ბოლაზქოის ფიგურებში მოხსენიებულ სხვადასხვა მომსახურე პერსონალს შორის ხშირად „ხურიულად“ (ხურიულ ენაზე) მომღერლები იხსენიება. ძვ. წ. I ათასწლეულში სარუმას ხურიული წარმომავლობა დაერწეებული უნდა ყოფილიყო. იგი ხეთურ-ლუვიურ ღვთაებად გვევლინება. იხ. „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია“, თბ., 1971, გვ. 305—306; K. Bittel, *Boğazkoy, The excavations of 1967 and 1968*, «*Archaeology*», 22, № 4, 1969, გვ. 278 და სხვა.

⁴¹ Em. Laroche, *დასახ. ნაშრ.*, №№ 80, 81.

⁴² B. Landsberger, *Samal, Ankara*, 1948, გვ. 20, შეგ. 39; H. Wink Ten Cate, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 136; Al. Goetze, *Cilicians*, გვ. 53, შეგ. 48.

ერთად. ასე, მაგალითად, სახელწოდებაში Huḫsarma, სადაც huḫa «პაპას» აღმნიშვნელი ლუვიურ-იეროგლიფური სიტყვაა, ან Urassarma, სადაც ura ლუვიურ (იეროგლიფურ) ენაზე „დიდს“ ნიშნავს⁴³ და სხვ. საინტერესოა აღინიშნოს, ისიც, რომ ბ. ლანდსბერგერის თანახმად, Sarma, რომლის კავშირი ხურიულ Sarruma-სთან ეჭვს არ იწვევს, ლუვიურში „გმირის“ შესატყვის ცნებას წარმოადგენდა⁴⁴. ყურადღებას იმსახურებს Sarma-კომპონენტის საკუთარი სახელების არსებობა ელინისტური ხანის ლიკიურ და კილიკიურ ონომასტიკონშიც (კილკ. Ιαζαρμας, კილიკ. Ραζαρμας, კილიკ. Τροισζαρμας, ლიკ. Πυρασαρμας და სხვა)⁴⁵.

ამგვარად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ თაბალის მეფეების სახელწოდება „ვასუსარმა“ ძვ. წ. I ათასწლეულის იეროგლიფურ-ლუვიური ონომასტიკონის კუთვნილებაა. ამავე ონომასტიკონიდან მომდინარეობს ტოპადას, კულულასა და კაისერის იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში მოხსენიებული თუვათისა (Tuwa-ti)⁴⁶ და კულულას ერთ-ერთი წარწერის თარხუთინას (Tarḫutinna)⁴⁷ სახელებიც, რომელთაგან პირველი იეროგლიფურ-ლუვიურ tuwa-ს (შდრ. ლიკიური tuwa, ლუვიური tuwa) უკავშირდება, რაც ნიშნავს: „დაარსებას“, „დაწესებას“, „შეწირვას“, „დასმას“, „ვინმეს მეთაურობის ქვეშ დაყენებას“⁴⁸, ხოლო მეორე—ლუვიურ-იეროგლიფური პანთონის მთავარი ღვთაების TRH (Tarḫu(nt) -ის სახელწოდებას. ღვთაება თარხუნის მოხსენიებას ჩვენთვის საინტერესო წარწერებში არაერთგზის ვხვდებით⁴⁹. ამავე სახელწოდების შემცველი თეოფორული სახელები თაბალის მეზობელ ქვეყნებში საკმაოდ გავრცე-

⁴³ Em. L a r o c h e, Recueil D'Onomastique Hittite, N 1123; მ ი ს ი ე ე, Dictionnaire De La langue Louvite, Paris, 1959, გვ. 49; P. M e r i g g i, Hieroglyphisch-Helhtisches Glossar, გვ. 60, 139; H o u w i n k T e n C a t e, დასახ. ნაშრ., 139.

⁴⁴ B. L a n d s b e r g e r, დასახ. ნაშრ., გვ. 20, შენ. 39.

⁴⁵ H o u w i n k T e n C a t e, დასახ. ნაშრ., გვ. 136.

⁴⁶ Em. L a r o c h e, Recueil D'Onomastique Hittite, N 1196, 1198; მ ი ს ი ე ე, Les Hieroglyphs Hittites, № 207 და შდრ., P. M e r i g g i, დასახ. ნაშრ. გვ. 136.

⁴⁷ A J A 2, 1971, გვ. 170.

⁴⁸ Em. L a r o c h e, Dictionnaire De La Langue Louvite, გვ. 100; P. M e r i g g i, Hieroglyphisch-Helhitisches Glossar, გვ. 13.

⁴⁹ P. M e r i g g i, Manuele Di Eteo Gerogeifico, II, I, №№ 18, 30, 31.

ლებული ჩანს. ძვ. წ. VII ას. რულ წერილობით წყაროებში იხსენიებინ გურგუმის მეფე თარხულარა (Tarhulara)⁵⁰ და კამანუს მეფე თარხუნაზი (Tarhunazi).⁵¹ მცირე აზიის ონომასტიკონში დადასტურებულია აგრეთვე—Tarhüntaziti, TRH-huwasuwa, TRH-hupias, Tarhuna, Tarhunabe და სხვა. Tarhu-ძირიანი სახელები ელინისტური ხანის ლიკიასა და კილიკიაშიც ყოფილა გავრცელებული. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს საკუთარი სახელი Τροχιζαρμας (Τροχι ინდენტურია Tarhui-ისა, ხოლო Sarmas-ი —ζαρμας-ის)⁵².

ხეთურ-ლუვიური ონომასტიკონის კუთვნილებას წარმოადგენს თაბლურ წარწერებში მოხსენიებული Ruwa-ც (კულულუ). გიუტერბოკის ვარაუდით, Ruwa (Ru(nt) ლუვიურ ღვთაებას ერქვა. გიუტერბოკისავე ვარაუდით, Ruwa (Ru(nt) ლურსმულ დამწერლობაში შეესატყვისებდა იდეოგრამა PLAMA-ს⁵³. საკუთარი სახელი „რუვა“ არაერთგზისაა დამოწმებული მცირეაზიურ საბექდავებზე და სხვადასხვა წარწერებში. ხეთურ-ლუვიურ სამყაროში ფართოდ იყო გავრცელებული Ruwa-კომპონენტისანი სახელებიც (Astiruwa, Halparuwa, Ru(n)sar(ru)ma, Sawaskaruwa და სხვა. Ruwa (Ru(nt)პოპულარული ჩანს ანტიკური ხანის კილიკიაში, ლიკიასა და პამფილიაშიც (Ρουαα, Ρα(ν)ζρσμεριζ, Ραυῆμῆς და სხვა)⁵⁴.

თაბლურ წარწერებში საყურადღებო ცნობებს ვპოულობთ თაბალის ისტორიის სხვა საკითხების გასაშუქებლადაც, კერძოდ, თაბალის საზოგადოებრივი და სამეურნეო განვითარების დახასიათებისათვის. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს თაბალში სამეფო ინსტიტუტის ამსახველი ცნობები. არანაკლებ საინტერესოა მონაკემები მეფის ქვეშევრდომთა (miti(a)-s) მოღვაწეობის შესახებ. (იხ. ქვემოთ).

თაბალში აღმოჩენილი ლუვიურ-იეროგლიფური წარწერები საუკეთესო წყაროს წარმოადგენენ თაბალში მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის დარგების ისტორიისათვის. ამ მხრივ სულთანხანის, ტოპადასა და კულულუ I-ის წარწერები პირველხარისხოვან მასალებს გვაწვდიან. წარწერებში ნახსენებია, ერთი მხრივ,

⁵⁰ ARAB, II, 29, 61, 79, 92, 99.

⁵¹ ARAB, II, 26, 60.

⁵² Houwink Ten Cate, დასახ. ნაშრ., გვ. 125—127, 136.

⁵³ Houwink Ten Cate, დასახ. ნაშრ., გვ. 128.

⁵⁴ P. Meriggi, დასახ. ნაშრ., გვ. 102—103; Houwink Ten Cate, დასახ. ნაშრ. გვ. 128.

სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ტერმინები: „ვაზი“, „პური“ და მეორე მხრივ, „ცხვარი“, „ხარი“, „ცხენი“⁵⁵, რაც თაბალში მესაქონლეობის განვითარებაზე მიუთითებს (იხ. ქვემოთ).

თაბალის წერილობითი ძეგლები სადღეისოდ ერთადერთი წყაროა თაბალელთა რელიგიური წარმოდგენების შესწავლისათვის. ტექსტებში, როგორც წესი, ლუვიური ღვთაებების — თარხუნის, კუბაბას, არმასა და სარუმას — სახელები გვხვდება⁵⁶. წარწერებში იხსენიება აგრეთვე მზის ღვთაება, „მამრობითი და დედრობითი სქესის ღვთაებები ცისა და მიწისა“ და სხვ. საგულისხმოა, სულთან-ხანისა და კაისერის იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში „ქარხემიშელი ქუბაბასა“ და „ხარანელი არმას“ გამოჩენაც⁵⁷, რაც ვეიანხეთური ხანის ჩრდილოსირიულ პანთეონთან თაბალურის სიახლოვეზე უნდა ლაპარაკობდეს.

§ 4. თაბალი არქეოლოგიური გათხრების უშუალო

არქეოლოგიური კვლევა-ძიება თაბალისათვის სავარაუდოდ ტერიტორიაზე XX ს. 60-იანი წლების დამლევებიდან დაიწყო. წლების მანძილზე თანამედროვე კულულში, სულთანხანში, იასიდალში, ქიულთეფეში, ტოპაკლიში, ჰაკიბეკთაშში, გოლუდალში და ნილდე-თეფებალლარიში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა შეუქი მოჰფინა თაბალის ისტორიის ზოგიერთ მხარეს⁵⁸.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა გოლუდალისა და კულულუს არქეოლოგიური მონაპოვარი.

გოლუდალმა⁵⁹ ჯერ კიდევ 1933 წელს მიიქცია მკვლევართა ყურადღება, მაგრამ, მისი შესწავლა 1968 წლამდე ვერ მოხერხდა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გაირკვა, რომ ბორცვი მთლიანად ეკავა თაბალურ დასახლებას. ქალაქს გარშემო კედელი ზღუდავდა. აღმოსავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთის მხრიდან

⁵⁵ P. Meriggi, Manuale Di Eteo Geroglifico, II, I, № 30, 31.

⁵⁶ P. Meriggi, დასახ. ნაშრ., II, I, 18, 30, 31; II, II, 34, 89, 93 და სხვ. Houwink Ten Cate, დასახ. ნაშრ., გვ. 125 და შშდ.

⁵⁷ P. Meriggi, დასახ. ნაშრ., II, I, № 30.

⁵⁸ ნ. ხ ა ზ ა რ ა ძ ე, თაბალის ისტორიიდან, „ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XXII სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, ანოტაციები“, თბ., 1973, გვ. 30—31.

⁵⁹ გოლუდალი თაბალის სამხრეთ-დასავლეთ საზღვართან მდებარეობდა მდ. პალისის შუა დინების სამხრეთით.

მას სამი შესასვლელი ჰქონდა. ყოველ შესასვლელს (ჭიშკარს) ორ-
მწკრივად განლაგებული მჯდომარე სფინქსების ქვის ქანდაკებე-
ბი ამშვენებდა. საქალაქის კედლის შიგნით არქეოლოგებმა სხვადა-
სხვა დანიშნულებისა და ფართობის ნაგებობათა კომპლექსებს მია-
კვლიეს. შენობები ერთიმეორესაგან როგორც ფართო, ასევე ვიწრო
ქუჩებით იყო გამოყოფილი: ქალაქის შუაგულში, ბორცვის ყვე-
ლაზე მაღალ ადგილას, განლაგებული იყო დიდი ზომის ნაგებობა
(სიგანე—110 მ, სიგრძე—260 მ).. ამ ნაგებობის მისასვლელთან
ქვისგან გამოთლილი ლომის ქანდაკებები იდგა ორმწკრივად.
შენობის დანიშნულება ჯერჯერობით დადგენილი არ არის, რო-
გორც ფიქრობენ, იგი სასახლე ან ტაძარი უნდა ყოფილიყო. ძვ. წ.
VIII ს. ბოლოს ქალაქი ცეცხლისაგან დაღუპულა, რის შემდეგაც
ბორცვზე ცხოვრება აღარ განახლებულა⁶⁰.

გოლუდალში, ისევე როგორც სხვა თაბალურ სამოსახლოებ-
ზე, დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი სხვადასხვა ზომის, ფორ-
მისა და დანიშნულების კერამიკული ჭურჭელი, რომელიც უმთავ-
რესად მოხატულია. ამ სახის ჭურჭლის ერთ ნაწილს სხვადასხვა
ცხოველის გამოსახულებათა პანელები ამკობს, მეორეს—გეო-
მეტრიული ორნამენტი. ჭურჭელი ხან ერთი ფერითაა მოხატული,
ხან — ორით. გოლუდალის კერამიკა დიდი ოსტატობითა და მაღალ-
მხატვრული გემოვნებითაა შესრულებული⁶¹.

გოლუდალის მოხატული კერამიკა, ე. წ. „ფრიგიულ“ ანუ
ალიშარი IV-ის ტიპის კერამიკას განეკუთვნება. ეს უკანასკნელი,
როგორც ცნობილია, თავდაპირველად (ძვ. წ. IX—VIII სს.) მდ.
ჰალისის აუზში და მის აღმოსავლეთით მდებარე პუნქტებში (ბო-
ლაშქოი, ალიშარი, ტოკატი, სივასი, მალატია, ჯერაბლუსი და
სხვ.) გავრცელდა, ხოლო ძვ. წ. VII საუკუნის დასაწყისში იგი
გორდიონშიც დღევ. იასი-პუიუქში გამოჩნდა⁶². მკვლევართა აზ-

⁶⁰ AnSt, XIX, 1969; გვ. ბმდ. 11, შმდ. AJA, 73, № 2, 1969, გვ. 213; ი ქ ვ ე.
74, № 2, 1970, გვ. 168.

⁶¹ AnSt, XIX, 1969, გვ. 11; AJA, 73, № 2, 1969, გვ. 213; ი ქ ვ ე, 74, № 2,
1970, გვ. 168.

⁶² მკვლევართა უმრავლესობა თვლის, რომ ტერმინი „ფრიგიული“ პირობითია.
რიგი ავტორებისა ფიქრობს, რომ ე. წ. „ფრიგიული“ კერამიკა მდ. ჰალისის აუზში
და მის აღმოსავლეთ ტერიტორიაზე მცხოვრები ტომების კუთვნილებას წარმოად-
გენს და არა საკუთრივ ფრიგიელებისას. იხ. J. Mellaart, Iron age pottery
from Southern Anatolia, AnSt, IV, 1954, გვ. 175 და შმდ.; M. Mellink,
რეცენზია E. Akurgal-ის «Phrygische Kunst», Ankara, 1955, AJA, 61, № 4,

რით, გოლუდალი კერამიკული წარმოების უფრო მძლავრი და დაწინაურებული ცენტრი იყო, ვიდრე ალიშარი ან გორდიონი⁶³.

მოხატულ კერამიკულ ნაწარმთან ერთად გოლუდალში მონოქრომულ ნაცრისფერ ჭურჭელსაც ვხვდებით, მაგრამ ეს უკანასკნელი მოხატულ ჭურჭელთან შედარებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. მოხატული და მონოქრომული ჭურჭლის ასეთი თანაფარდობა მხოლოდ გოლუდალისათვის როდია დამახასიათებელი. ასეთივე სურათს ვხედავთ ძვ. წ. VIII ს. ბოლაზქოიში, ალიშარში, ტოკატში, სივასში, მალატიაში, ჭერაბლუსში და თაბალის ზოგიერთ პუნქტში.

ჩვენთვის საინტერესო მეორე თაბალური დასახლება დღევანდელ კულულუს⁶⁴ მიდამოებში მდებარეობდა⁶⁵. კულულუს არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა 1967 წელს დაიწყო. იმთავითვე აღმოჩნდა, რომ თაბალის ეს ქალაქიც კატასტროფის შედეგად დანგრეულა. თაბალური ქალაქი მაღალ ბორცვზე იყო განლაგებული. ქალაქის გეგმა აქ ისეთი ნათელი არ არის, როგორც გოლუდალში. მიუხედავად ამისა, ამ ორი ქალაქის დაგეგმარებასა და არქიტექტურაში ბევრი საერთო შეიმჩნევა — ქალაქის მდებარეობა, კიშკრის კომპლექსები, ქვისაგან გამოთლილი სკულპტურების სიმრავლე და სხვ.⁶⁶

კულულუსში აღმოჩენილი ქვის ქანდაკებების ერთი ნაწილი მონუმენტურია. ქანდაკებათა ამ რიგს განეკუთვნებიან — მამაკაცის უთავო ქანდაკება, ღვთაების, სფინქსებისა და ლომის თავების გამოსახულებანი და სხვა. მამაკაცის უთავო ქანდაკება, რომელიც ამჟამად რესტავირებულია და კაისერის მუზეუმშია ექსპონირებული⁶⁷ დიდი ოსტატობითა და დახვეწილი გემოვნებითაა ნაკეთები.

1957, გვ. 393—394; K. Bittel, Boğazkoy in nachhethitischer Zeit, «Ausgrabungen in Boğazkoy», Istanbul, გვ. 114 და შმდ.; R. D. Barnett, Phrygia and the peoples of Anatolia in the Iron age, CAH, II, XXX, 1967, გვ. 13 შმდ.; შდრ. თ. მ. ი. ქ ე ლ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 154 და შმდ.

⁶³ AJA 73, № 2, 1969, გვ. 213.

⁶⁴ როგორც აღინიშნა (იხ. ზემოთ), ჩვენთვის საინტერესო იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების ერთი ნაწილი სწორედ კულულუსშია აღმოჩენილი.

⁶⁵ კულულუს მდებარეობს მაღალ ბორცვზე, კაისერიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით დაახლოებით 65 კმ-ს მოშორებით. იხ. AJA, 72, № 2, 1968, გვ. 135.

⁶⁶ AJA, 72, № 2, 1968, გვ. 135; ი ქ ე ე, 73, № 2, 1969, გვ. 213; ი ქ ე ე, 74, № 2, 1970, გვ. 157; ი ქ ე ე, 75, № 2, 1971, გვ. 170; «Athenaeum», 47, 1969, გვ. 93—110.

⁶⁷ AJA, 73, № 2, 1969, გვ. 213.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა სამოსის (თუ მოსასხამის) გამომსახველობითი მხარე⁶⁸. ასევე მალალმხატვრულ დონეზეა შესრულებული წვეროსანი ღვთაების თავის მონუმენტური ქანდაკებაც, რომელსაც გვირგვინი და ვარდულებით შემკული თავსაბურავი ახურავს; სფინქსების თავები, სპირალურად დალაგებული თმებითა და მცირე ზომის ფრთებით და სხვა.

კულულუსა და გოლუდალის ჩვენთვის საინტერესო ქანდაკებები მალატიისა და ჭერაბლუსის (ძველი კარკემიშის) სინქრონულ ქანდაკებებში პოულობენ პარალელებს⁶⁹. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აზრის თანახმად, თბალური ქანდაკება წინაბერძნული, ადგილობრივი მცირეაზიური ხელოვნების კუთვნილებას წარმოადგენს⁷⁰.

სახვითი ხელოვნების ძეგლებთან ერთად, კულულუსში დიდი როდენობითაა მოპოვებული მოხატული, ე. წ. „ფრიგიული“ კერამიკაც⁷¹.

დანარჩენი თბალური დასახლებები, როგორც თავისი ტოპოგრაფიით, ასევე აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალით, რომელიც, ძირითადად, კერამიკული ნაწარმითაა წარმოდგენილი, მსგავსი არიან გოლუდალისა და კულულუსი. როგორც წესი, ყველა დღემდე ცნობილი თბალური სამოსახლო მალალ ბორცვზე (გორაზე) მდებარეობს, ხოლო ამ სამოსახლოებზე მოპოვებული: ჭურჭლის უმთავრესი ნაწილი მოხატულია. ასე, მაგალითად, ჰაკიბექტაშში⁷² „ფრიგიული“ კულტურის განვითარების სამივე (აღრეული, შუა და გვიანდელი) ფაზისათვის დამახასიათებელი მოხატული ჭურჭელი აღმოჩნდა. ტოპაკლიში⁷³, სულთანხანში⁷⁴ და ნილ-

⁶⁸ AJA, 73, № 2, 1969, გვ. 213; ი ქ ვ ე, 74, № 2, 1970, გვ. 157; ი ქ ვ ე, იხ. მითითება დამატებით ლიტერატურაზე.

⁶⁹ AJA, 72, № 2, 1968, გვ. 135.

⁷⁰ AJA, 73, № 2, 1969, გვ. 213.

⁷¹ AJA, 72, № 2, 1968, გვ. 135.

⁷² ჰაკიბექტაში მდ. ჰალისის შუა დინების მახლობლად მდებარე პუნქტია, ნეე-შეხირის მახლობლად. იხ. AJA, 72, № 2, 1968, გვ. 131; ი ქ ვ ე, 73, № 2, 1969, გვ. 208; ი ქ ვ ე, 74, № 2, 1970, გვ. 162; ი ქ ვ ე, 75, № 2, 1971, გვ. 166; ი ქ ვ ე, 77, № 2, გვ. 173.

⁷³ ტოპაკლი მდებარეობს კაისერიდან დასავლეთით, დაახლოებით 80 კმ-ის მშორებით, მდ. ჰალისის შუა დინების მახლობლად. AJA, 74, № 2, 1970, გვ. 162 (ი ქ ვ ე, იხ. მითითება სპეციალურ ლიტერატურაზე); ი ქ ვ ე, 75, № 2, 1971, გვ. 161; ი ქ ვ ე, 77, № 2, 1973, გვ. 173.

⁷⁴ სულთან-ხანი მდებარეობს დღევ. კაისერიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 45

დე-თეფებალლარიში⁷⁵ მოპოვებულ კერამიკულ ნაწარმში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი მონუმენტური კრატერები, რომელთა ერთი ნაწილი სამკუთხედებით, ტალღისებური და სხივისებური ორნამენტით, კონცენტრირებული წრეებითა და ზაზებითაა მოხატული, ხოლო მეორე ცხოველთა, უმთავრესად კი ირმების გამოსახულებებითაა შემკული. დიდი ფორმის მოხატულ ჭურჭელთან ერთად ვხვდებით აგრეთვე წითელპირილა სამტუჩა თასებს, თეთრი პანელით ფსკერთან, დიდ სამტუჩა ღოჭებს, ფიალებს და სხვ. ამავე პუნქტებში აღმოჩნდა მონოქრომული და შავპირილა ჭურჭელიც.

როგორც ვხედავთ, თბალის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების პირველივე შედეგები მნიშვნელოვნად აფართოებენ ჩვენს ცოდნას თბალის წარსულის შესახებ.

§ 5. ტიბარენები და ანტიკური ხანის წერილობითი წყაროები

Tabalu სახელწოდების შემცველი ასურული წერილობითი ძეგლებს გამოქვეყნებისთანავე, უცხოურ და, უფრო გვიან, ქართულ ისტორიოგრაფიაში ფართოდ გავრცელდა მოსაზრება ძველებრძნულ, რომაულ და ბიზანტიურ წერილობით წყაროებში მოხსენიებული ტიბარენებისა და თბალელების იგივეობის შესახებ⁷⁶.

XX ს. სამეცნიერო ლიტერატურაშიც თბალ-ტიბარენის იდენტურობაზე არაერთგზის მიუთითებენ⁷⁷.

კმ-ის მოშორებით, ხოლო იასი-დადი 5 კმ-ითაა დაშორებული სულთანხანს; AJA, 77, № 2, 1973, გვ. 179; იქვე, 78, № 2, 1974, გვ. 116.

⁷⁵ ნილდე-თეფებალლარი მდებარეობს ნილდედან სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 4 კმ-ის მოშორებით. აღნიშნულ პუნქტში არქეოლოგიური გათხრები 1972 წელს დაიწყო. იხ. AJA, 77, № 2, 1973, გვ. 179; იქვე, 78, № 2, 1974, გვ. 116.

⁷⁶ J. Soury, «Revue Deux Mondes», 1873, CVIII, გვ. 909 და შმდ. H. Gelzer, Kappadokien und seine Bewohner, 1873, გვ. შ 19. და შმდ. E. Schrader, Keilinschriften und Geschichtsforschung, 1878, გვ. 155; H. Kiepert Manuel de Geographie ancienne, Paris, 1887, გვ. 56. აღნიშნულ საკითხზე არსებული XIX ს. ქართული ისტორიოგრაფიის შესახებ იხ. არჩ. ბარამიძე, საქართველოს ძველი ისტორიის (პირველყოფილი თემური, ანტიკური) საკითხები, XIX ს. ქართულ ისტორიოგრაფიაში (ხელნაწერის უფლებით), თბ., 1971.

⁷⁷ E. Dhorme, «Syria», XIII, 1932, გვ. 37 — 39; ს. ჯანაშია,

ა) მკვლევრებმა დიდი ხანია ყურადღება მიაქციეს ტიბარე-
ნების სახელწოდების პარალელური ფორმების არსებობას⁷⁸. ტი-
ბარელების ისტორიის უძველესი წყაროს ჰეკატე მილეტელის (ძვ.
წ. VI ს.) „დედამიწის აღწერილობის“ ერთ-ერთმა ხელნაწერმა
ამ სახელწოდების უძველესი ფორმა „ტიბარები“ (Τίβαροι)⁷⁹
შემოგვინახა. ბერძენ, რომელ და ბიზანტიელ ავტორთა უმრავლესობა —
ჰეროდოტე, ქსენოფონტი, ფსევდოსკილაქს კარიანდელი,
სკიმნოს ქიოსელი, აპოლონიოს როდოსელი, პლინიუს სეკუნდი,
პლუტარქე, გაიუს ფლავუსი, დიონისიოს პერიეგეტი, ფსევდო არიან-
ე, ევსევი, იერონიმი, ეპიფანე თეოდორიტე კვირელი, ამიანე
მარცელინი, პრისციანე, სტეფანე ბიზანტიონელი და სხვები ჩვენ-
თვის საინტერესო ტომებს „ტიბარენებს“ (Τιβάρησι) უწოდებენ⁸⁰.

სტრაბონი (ძვ. წ. I-ახ. წ. I სს.) ტიბარენებს ხან „ტიბარა-
ნებს“ (Τίβαρασι) უწოდებს, ხან — „ტიბარენებს“⁸¹, პომპონიუს
მელა(ახ. წ. I ს.) — „ტაბერენებს“ (Tabereni) და „ტიბარენებს“ (Tiba-

თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი; P. Meriggi, Le iscrizioni in eteo
geroglifico del Tabal; »Rivista degli studi orientali« XXXII, 1957, გვ. 225;
Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 76 და შმდ.;
R. D. Barnett, Phrygia and the Peoples of Anatolia in the Iron Age;
C A H, II, თავი XXV, Cambridge, 1967.

⁷⁸ ივ. ჯანაშია, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 394 და შმდ.;
ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრ., გვ. 75 და შმდ.

⁷⁹ ВДИ, № 1, 1947, გვ. 309; 6. ლომოური, ბერძენი ლოგოგრაფოსების
ცნობები ქართველი ტომების შესახებ, „მასალები საქართველოს და კავკასიის ის-
ტორიისათვის“, ნაკვ. 35, თბ., 1963, გვ. 30, შენ. 6; Τίβαροι ფორმა დადასტუ-
რებულია აგრეთვე ევსევი კესარიელის ერთ თხზულებაშიც. იხ. „გეორგია“, I,
გვ. 26. შენ. 2.

⁸⁰ Her. III, 94; VII, 78; Xen., Anab. V, 5, 1—3, VIII, 8, 25; Ps. Scyl.,
87; Ps. Scymn., 915; Ap. Rhod., II, 378; Plin. Sec., VI, II; Plut. Luc., 14,
19; Dion. Per., 767; Ps. Ar., 33; St. Byz., sv. Τίβαροι იხ. აგრეთვე, ВДИ
3, 1947, გვ. 280, 288, 290, 313; იქვე 4, 1947, გვ. 289; იქვე 1, 1948,
გვ. 241; 255; იქვე 2, 1948, გვ. 331; იქვე 3, 1948, გვ. 218, 244, 300;
• იქვე 4, 1948, გვ. 227; 290; იქვე 2, 1949, გვ. 287, 343; იქვე 3, 1949,
გვ. 286; იქვე 4, 1949, გვ. 229; თ. ყაუხჩიოშვილი, პეროდოტეს ცნო-
ბები საქართველოს შესახებ, თბ., 1960, გვ. 75, 113; მისივე, ბერძენი მწერლე-
ბის ცნობები საქართველოს შესახებ, I, თბ., 1967, გვ. 50, 97, 159; თ. შიქე-
ლაძე, ქსენოფონტის „ანაბასისი“, თბ., 1967, გვ. 106—107 და სხვ.

⁸¹ Strabo, XI, 14, 1; XII, 1, 3; 3, 1; 3, 18; 3, 28; თ. ყაუხჩიოშვილი,
სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957, გვ. 186, 199,
200, 203, 212.

rani)⁸², ხოლო „Liber generationis“ ავტორი (ახ. წ. IV ს.) — „ტიბარენსებს“ (Tibarenses)⁸³. ევსტათი (XII ს.) დიონისიოს პერიეგეტის (ახ. წ. II ს.) „დედამიწის აღწერილობის“ კომენტარებში ამბობს, რომ ტიბარებს ამჟამად „ტიბარენებს“ (Τιβάρηεις!) ვუწოდებთ⁸⁴. სტრაბონი და ფსევდო-ორფეოსი (ახ. წ. IV ს.) რამდენიმეჯერ ხმარობენ ტერმინებს „ტიბარანული ტომები“, „ტიბარენული ტომები“ (Τιβάρωνες ἔθνη, Τιβάρηες ἔθνη)⁸⁵, რომელსაც კრებითი მნიშვნელობა აქვს⁸⁶. წყაროებში ვხვდებით აგრეთვე გეოგრაფიულ სახელწოდებას — „ტიბარენების მიწა“, „ტიბარენების ქვეყანა (მხარე)“, Τιβάρηϊνα γᾶς, Τιβάρηϊνα, Τιβάρηνη, Τιβάρηϊα, Τιβάρωνία⁸⁷.

როგორც ვხედავთ, ბერძნულ-რომაული წყაროები საგულისხმო ცნობებს შეიცავენ ტიბარენების სახელწოდებასთან დაკავშირებით.

ბ) იმავე წყაროებში არაერთ საყურადღებო მითითებას ვპოულობთ ტიბარენების ქვეყნის ადგილმდებარეობის შესახებაც.

ბერძენ-რომაელი და ბიზანტიელი ავტორები ტიბარენებს, როგორც წესი, მოსინიკებსა და ხალიბებს შორის ათავსებენ. ცნობას მოსინიკებთან ტიბარენების მეზობლობის შესახებ პირველად ჰეკატე მილეტელის „დედამიწის აღწერილობის“ ფრაგმენტებში ვხვდებით. სტეფანე ბიზანტიონელი წერს: „ჰეკატე ემპროპაში“ (?)⁸⁸ (ამბობს): „ტიბარებს (ვარიანტი — ტიბარენებს) აღ-

⁸² Pomp. Mel., 1, 13, 106; აღ. გა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, პომპონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, კრებული, I, თბ., 1965, გვ. 24, 25, 28, 29.

⁸³ „გეორგია“, თბ., 1961, გვ. 13.

⁸⁴ Eust., 767; ВДИ, I, 1948, გვ. 255; თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 158 და შენ. 767.

⁸⁵ Strabo, II, 1, 31; Ps. Orph., 744; ВДИ 4, 1947, გვ. 189; ი ქ ვ ე, № 3, 1948, გვ. 268.

⁸⁶ Г. А. М е л и к и ш в и л и, К истории древней Грузии, გვ. 76.

⁸⁷ Ap. Rhod., II, 1010; Schol. Ap. Rhod. II, 1010; Diod. Sic., I, 130; Ps. Arr., XLII, 14; Strabo, VII, 4, 3;

გვ. 290; ი ქ ვ ე, 2, 1948, გვ. 259; 327; ი ქ ვ ე, 4, 1948, გვ. 231; თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 100; ფ ლ ა ვ ი უ ს ა რ ი ა ნ ე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი ნ. კეკელიძისა, თბ., 1961, გვ. 91.

⁸⁸ ნ. ლომოურის აზრით, ტიბარენების შესახებ ჰეკატესეული ცნობა Ἀστῆ-დან უნდა იყოს ამოღებული და არა Ἐπιδάμην-დან, რაც სავსებით სწორია, იხ. ნ. ლომოური, დასახ. ნაშრ., გვ. 30 და შენ. 5.

მოსავლეთით ესაზღვრებიან მოსინიკები; ამათ ქვეყანაში არის ქალაქი ქოძარადესი⁸⁸. რიგი ავტორებისა ტიბარენების ქვეყანას ტერიტორიულად უკავშირებს ხალიბებისა და მოსინიკების კუთვნილ მიწა-წყალს. ასე, მაგალითად, ფსევდო-სკილაქს კარიანდელი სამხრეთ შავიზღვისპირეთის აღწერისას ჯერ მოსინიკებს მოიხსენიებს („...მაკროკეფალების შემდეგ არის ტომი — მოსუნოაკები. ნავსადგური ძეფიროსი, ელინური ქალაქი ქოძარადესი, არესის კუნძული. ესენი ცხოვრობენ მთებში“), შემდეგ ტიბარენებსა და ხალიბებს („... მოსუნების შემდეგ არის ტომი — ტიბარენები... ტიბარენების შემდეგ არის ტომი — ხალიბები, დახურული ნავსადგური — გენეტისი, ელინური ქალაქი სტამენეა და ელინური აკროპოლისი — იასონია“)⁸⁹. ტიბარენების ამგვარ ლოკალიზაციას იმეორებენ ქსენოფონტი, აპოლონიოს როდოსელი, პომპონიუს მედა, პლინიუს სეკუნდი, ფსევდოსკიმნოს ქიოსელი, დიონისიოს პერიეგეტი, გაიუს ფლავუსი, ამიანე მარცელინი, სტეფანე ბიზანტიონელი, ევსტათი⁹¹ და სხვები. დასახელებულ ავტორთაგან ზოგიერთი სხვა საგულისხმო ცნობასაც გვაწვდის ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით. მაგ., ქსენოფონტის „ანაბასისის“ მონაცემების შუქზე, ტიბარენების მიწა-წყალი შავი ზღვის სანაპიროზე კოტიორას (დღევ. ორდუს) სანახებს მოიცავდა. იგი დღევანდელი მესუდიესა და თერმეჩაის სათავეების შემკველ ოქამდე ვრცელდებოდა⁹². აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ თანახმად კი, ხალიბების მეზობელი ტიბარენები სტუმართმოყვარე (ეგქსინის) ზევსის კუთვნილი გენეტეს კონცხის „ზემოთ“

⁸⁸ St. Byz., S. v. *χοιράδες*, ВДИ, I, 1947, გვ. 309; ნ. ლომოჯორი დასახ. ნაშრ., გვ. 30.

⁸⁹ Ps. Scyl., 86, 87, 88; ВДИ, 3, 1947, გვ. 243; თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები, I, გვ. 50.

⁹¹ Xerqo, Anab., V, 5, I შმდ.; Ap. Rhod., Arg., II, 1000 შმდ.; Ps. Scymn., 911—916; Pomp. Mel., I, 106; Plin. Sec., VI II; Dion Per., 761—777; St. Byz. s. v. *Τιβάρηναι*; Eust., 767; თ. მიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბასისი“, გვ. 106 და შმდ.; ВДИ, 3, 1947, 280, 281, 288; თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები, I, გვ. 97—98; ალ. გამყრელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 28—29; ВДИ, 3, 1947, გვ. 313; იქვე, I, 1949, გვ. 273; იქვე, 2, 1949, გვ. 287; თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 157—159; ВДИ, I, 1948, 241, იქვე, 2, 1949, გვ. 343; იქვე, 3, 1949, გვ. 286.

⁹² თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 52.

(ბნაჰ) ბინადრობდნენ⁹³. ფსევდოსკიმნოს ქაოსელს მოსინაკე-
ბის მეზობელი ტიბარენები კერასუნტის დასავლეთით ეგულება.
იგი წერს: „კერასუნტი, სინოპელთა კოლონია; აქამდე ვრცელდე-
ბა უდაბური კუნძული, რომელსაც არესისა ეწოდება. მეზობლად
ცხოვრობდა ტომი—ტიბარენები“⁹⁴. სტეფანე ბიზანტიონელის
მოწმობით, ეფორე (ძვ. წ. IV ს.) ტიბარენების მეზობლებად ხა-
ლიბებსა და ლევკოსირიელებს თვლიდა⁹⁵. ქსერქსეს ლაშქრის
შეიარაღების დახასიათების შემცველი ნაწყვეტი კი გვამცნობს,
რომ ზემოდასახელებული ტომებიდან ტიბარენების უახლოესი
მეზობლები მოსხები იყვნენ („მოსხებს თავზე ხის მუზარაღებს“
ჰქონდათ. ლაშქრობდნენ ტიბარენები, მაკრონები და მოსინიკები,
რომლებიც მოსხებივით იყვნენ შეჭურვილი. მათ საომარ რიგზე
მართავდნენ შემდეგი მეთაურები: მოსხებსა და ტიბარენებს—
არიომარდე, რომელიც დარიოსისა და პარმისის შვილი იყო, ეს
უკანასკნელი კი სმერდისის შვილი იყო, კიროსის შვილისა. მაკ-
რონებსა და მოსინიკებს (წინამძღოლობდა) არტაიკტე ხერასმის
ძე, რომელიც ჰელესპონტის სესტოსს განაგებდა“⁹⁶).

ტიბარენების ქვეყნის ლოკალიზაციისათვის საგულისხმო
ცნობები შემოგვინახა სტრაბონმაც. ბერძენი გეოგრაფოსის წარ-
მოდგენით ტიბარენები (ვარიანტი ტიბარანები), ქალდეები და სა-
ნები ფარნაკიისა (დღევ. გირესუნისა) და ტრაპეზუნტის „ზემოთ“
ცხოვრობდნენ ვიდრე მცირე არმენიამდე. სტრაბონი ამბობს:
„ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის ზემოთ ცხოვრობენ ტიბარენები,
ქალდეები და სანები, რომელთაც უწინ უწოდებდნენ მაკრონებს.
(აქავეა) მცირე არმენია“⁹⁷. ამის შემდეგ ვკითხულობთ: „ფარნა-
კიისა და ტრაპეზუნტის მახლობლად მდებარე ადგილებს ზემოთ
არიან ტიბარენები და ქალდეები ვიდრე მცირე არმენიამდე“⁹⁸.
სტრაბონისეულ ცნობას მცირე არმენიასთან ტიბარენების ქვეყ-

⁹³ ВДИ, 1947, გვ. 280; Апполоний Родосский, Аргонавтика, II, перевод Г. Ф. Церетели, Тб., 1964, გვ. 92—93.

⁹⁴ P. Scyth., 911—915; თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 96—97.

⁹⁵ St. Byz., s. v. Τιβάρησις, ВДИ, 3, 1948, გვ. 327.

⁹⁶ თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, პეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 113.

⁹⁷ თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 203.

⁹⁸ იქვე, გვ. 212.

ნის ტერიტორიული სიახლოვის შესახებ დიონისიოსის თხზულების („მსოფლიოს აღწერილობა“) გვიანდელი კომენტატორი ევსტათიე იმეორებს⁹⁹.

ჩვენთვის საინტერესო წყაროებში საგულისხმო მითითებებს ვპოულობთ აგრეთვე ტიბარენების ქვეყნის ზედაპირის დახასიათებასთან დაკავშირებით: ქსენოფონტის „ანაბასის“ მოწმობით, „ტიბარენების ქვეყანა უფრო ვაკიანი იყო“, ვიდრე მოსინიკები-სა¹⁰⁰. იგივე ქსენოფონტისა და სხვა ავტორების თანახმად, ტიბარენების ქვეყანა შავი ზღვის პირას მდებარეობდა¹⁰¹. გაიუს ფლავიუსის „არგონავტიკაში“ ნახსენებია „ტიბარენების მწვანე ტბები“¹⁰².

გ) ცნობები ტიბარენების ეთნიკური წარმომავლობის შესახებ ძალზე მცირერიცხოვანია. აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ სქოლიოების ავტორები ტიბარენებს, ისევე როგორც ხალიბებს, ბეზირებსა და საპირებს (იგივე სასპეირებს, ჰესპერიტებს, სასპერებს) სკვითური წარმომავლობის ტომებად წარმოგიდგენენ¹⁰³. „ბიბლიის“ გვიანდელი თარგმანების ავტორებისა და კომენტატორების („Liber generationis“-ის ავტორის, ეპიფანეს და სხვების) აზრით კი, ტიბარენები, ხალიბები, მოსინიკები, კოლხები, სკვითები და რიგი სხვა ტომები იაფეტის შთამომავალი იყვნენ¹⁰⁴.

დ) ბერძენ-რომაელი და ბიზანტიელი მწერლები არაერთ საყურადღებო ცნობას გვაწვდიან ტიბარენების ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებათა წარმოსადგენადაც.

ჰეროდოტეს ცნობით, ჩვენთვის საინტერესო ტიბარენები აქემენიანთა სპარსეთის ქვეშევრდომობაში მყოფი ტომები იყვნენ: მოსხებთან, მაკრონებთან, მოსინიკებთან და მარებთან ერთად, ტიბარენებიც ერთ საგადასახადო ოლქში — მეცხრამეტე სატრაპიაში შედიოდნენ. ჩამოთვლილ ტომებსა და მათ შორის ტიბარენებსაც 300 ტალანტის გადახდა ჰქონდათ შეწერილი¹⁰⁵.

⁹⁹ Eust., 767: ВДИ, I, 1948, გვ. 255.

¹⁰⁰ თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 51, 106.

¹⁰¹ იხ. მაგალითად, Ps. Scyl., 87; Ap. Rhod., II, 375 — 380; Ps. Scymn., 911—916 და სხვ.

¹⁰² ВДИ, 2, 1949, გვ. 343.

¹⁰³ ВДИ, 3, 1947, გვ. 288; შდრ. იქვე, გვ. 290.

¹⁰⁴ „გეორგია“, I, გვ. 13—14; 39—41; ВДИ, 3, 1948, გვ. 244; იქვე, 3, 1949; გვ. 249.

¹⁰⁵ თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 75.

პეროდოტესავე მოწმობით, ტიბარენები სხვა ტომებთან ერთად ქსერქსეს ლაშქრობაშიც იღებდნენ მონაწილეობას. ისინი მოსხებივით აღჭურვილი ლაშქრობდნენ. ამ უკანასკნელებსა და ტიბარენებს დარიოსისა და პერმისის შვილი არიომარდე წინამძღოლობდა¹⁰⁶.

ქსენოფონტის თანახმად, რომელიც როგორც ცნობილია, თვითმხილველია ტიბარენებისა და მათი ქვეყნისა, ძვ. წ. V ს. დასასრულისათვის ტიბარენებს დამოუკიდებლობა მოუპოვებიათ. ქსენოფონტი წერს: „კარდუხები, ხალიბები, ხალდები, მაკრონები, კოლხები, მოსინიკები, ჭკოიტები და ტიბარენები დამოუკიდებელი (ἀστυομοί) არიან“¹⁰⁷.

ქსენოფონტის „ანაბასისის“ მოწმობით, ტიბარენებს „ზღვის სანაპიროზე კცირედ გამაგრებული დასახლებები (χάριξ) ჰქონდათ“¹⁰⁸. იგივე ავტორი იხსენიებს ტიბარენების ქვეყანაში მდებარე ელინურ ქალაქს Πόλις Ἐλληνική კოტიორას, რომელიც სინოპელთა მიერ დაარსებულ ახალშენს წარმოადგენდა. კოტიორა კედლით იყო შემოზღუდული. საცხოვრებელი სახლები კედლის შიგნით იყო განლაგებული. კოტიორელები შიდა ქალაქში ცხოვრობდნენ. ისინი ისევე, როგორც ტრაპეზუნტელები და კერასუნტელები, ხარკს უხდიდნენ სინოპეს¹⁰⁹. როგორც ირკვევა, სინოპე ფხიზლად ადევნებდა თვალყურს თავის ახალშენსაც—კოტიორას და ტიბარენთა ქვეყანას. ქსენოფონტი ამბობს: „ამ დროს სინოპედან მოვიდნენ ელჩები, რომელნიც შიშობდნენ კოტიორელთა ქალაქის გამო, რადგან (კოტიორა) მათი იყო და ხარკსაც უხდიდა მათ და აგრეთვე—ქვეყნის გამო, რომელიც გაგონილი ჰქონდათ, რომ ნადგურდებოდა“¹¹⁰.

¹⁰⁶ თ. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი, პეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 113.

¹⁰⁷ თ. შ ი ქ ე ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 114.

¹⁰⁸ თ. შ ი ქ ე ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 106.

¹⁰⁹ თ. შ ი ქ ე ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 107—109.

¹¹⁰ თ. შ ი ქ ე ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 108. ტიბარენების ქვეყნისა და კოტიორას ბედ-იბღლით სინოპელებს დაინტერესება სინოპელი ელჩის — ჰეკატონიმეს სიტყვებდნადაც ჩანს. იგი ამბობს: „ეს კოტიორელები კი ჩვენი კოლონიტები არიან. ჩვენ მათ გადავეცით ეს ქვეყნა, რომელც ბარბაროსებს წავართვით და ამის გამო ისინი (ისე როგორც) კერასუნტელები და ტრაპეზუნტელები დაწესებულ ბეგრას გვიხდიან. ამიტომ მათდამი ცუდის ჩადენას სინოპელთა ქალაქი განიხილავს რწე, თითქოს ამ ზიანს თვით განიცდიდეს. ახლაზან ვავიგეთ ისიც, რომ თქვენ ძალით შეხვედით ქალაქში და ზოგიერთი თქვენთაგანი სახლებშიც კი დასახლდა, რომ“

ქსენოფონტის „ანაბასისმა“ საყურადღებო ცნობა შემოგვინახა ტიბარენებისა და სინოპელების ურთიერთობის ისტორიისათვისაც. როგორც ჩანს, კოტიორაში ბერძნული ახალშენის დაარსებას ტიბარენები მტრულად შეხედნენ. სინოპელი ელჩი ჰეკატონიმე ბერძენ მოქარავენებს შემდეგს ეუბნება: „ეს კოტიორელები კი ჩვენი (ე. ი. სინოპელების — ნ. ხ.) კოლონისტები არიან. ჩვენ მათ გადავვაციეთ ეს ქვეყანა, რომელიც ბარბაროსებს (ე. ი. ადგილობრივ ტომებს — ტიბარენებს — ნ. ხ.) წავართვით“¹¹¹.

ტიბარენების მეურნეობაში მესაქონლეობას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ აპოლონიოს როდოსელი, დიონისიოს პერიეგეტი, პრისციანე და ნიკოფორი ბლემიდი (ამ უკანასკნელის თხზულება დიონისიოსის „მსოფლიოს აღწერილობის“ დამახინჯებულ პარაფრაზას წარმოადგენს¹¹²) ჩვენთვის საინტერესო ტომებს საქონლით, ცხვრით მდიდარ (πολύργυες) ტომებად მიიჩნევენ¹¹³.

ტიბარენების ზნე-ჩვეულებათა შესახებ წერილობით წყაროებში არაერთ მითითებას ვხვდებით. ზოგი ამ ჩვეულებათაგანი საზოგადოების განვითარების ადრეული საფეხურისათვისაა დამახასიათებელი, კერძოდ, ტიბარენებში დადასტურებული ე. წ. „კუვალა“ („გამოჩეკა“), რომელიც მკვლევრების აზრით, მატრიარქატიდან პატრიარქატიზმამდე გარდამავალი პერიოდის ამსახველ ჩვეულებას წარმოადგენს¹¹⁴. ნიფოდორის (ძვ. წ. III ს.), აპოლონიოს როდოსელის, გაიუს ფლავუსის, პლუტარქესა და ზენობიოსის თანახმად, ტიბარენებში გავრცელებულ „კუვალას“ ასეთი სახე ჰქონდა: მას შემდეგ, რაც ფეხმძიმე ქალი მოილოგინებდა, მისი

სიმაგრეებიდან ძალით მიგქონდათ ის, რაც გჭირდებოდათ, და არა დაყვავებით. ეოველივე ეს, რა თქმა უნდა, არასაკადრისად მიგვაჩნია და თუ თქვენ (ეკლავაც) ასე იმოქმედებთ იძულებული გავხდებით შევეუკავშირდეთ კორიუტას, პათლაგონიას და კიდევ სხვას ვინც კი შეიძლება ჩვენი მეგობარი გახდეს“ (იხ. თ. შიქელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 108—109.).

¹¹¹ თ. შიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 108.

¹¹² ВДИ, 4, 1948, გვ. 241.

¹¹³ Ap. Rhond., II, 378; Dion. Per., 768; ВДИ, 3, 1947, გვ. 280, იქვე I, 1948, გვ. 241; იქვე, 4, 1948, გვ. 241; 1949, გვ. 303.

¹¹⁴ ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი, 1941, გვ. 271 და შენ. 1; ВДИ, 3, 1947, გვ. 281; გ. ჩიტაია, თედო სახოკიას სამეცნიერო მოღვაწეობა, კრებულში — „თედო სახოკია“, თბ., 1969, გვ. 11—12.

ქმარი ლოგინში ჩაწვებოდა, თავს შეიხვევდა და მოჰყვებოდა კენესას. მელოგინე ქალი კი ყუათიანი საკმლით უმასპინძლდებოდა მას და სხეულის გასაბან წყალს უმზადებდა¹¹⁵.

ეფორეს (ძვ. წ. IV ს.), ფსევდოსკიმნოს ქიოსელის, პომპონიუს მელასა და ანონიმის (ფსევდო არიანეს) თანახმად, ტიბარენები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სიცილს, მხიარულებას და თამაშობებს. ასე, მაგალითად, სტეფანე ბიზანტიონელის მოწმობით, ეფორე თავისი თხზულების მეხუთე წიგნში ამბობდა, რომ ტიბარენებისათვის თამაშობანი და სიცილი უდიდეს ნეტარებას წარმოადგენს¹¹⁶. ფსევდოსკიმნოს ქიოსელს ჩვენთვის საინტერესო ცნობაში ახალი ნიუანსი შეაქვს. იგი წერს: „ისინი (ტიბარენები — ნ. ხ.) ძალიან ცდილობენ, ყოველნაირად რომ იცინონ, რადგან ეს უდიდესი კეთილდღეობის მომასწავებლად მიაჩნიათ“¹¹⁷. ზუსტად იგივეს იმეორებს ანონიმური ავტორიც, ხოლო პომპონიოს მელა მხოლოდ შემდეგს აღნიშნავს: „ხალიბებს ტიბარენები ესაზღვრებიან, რომლებსთვისაც უდიდესი ბედნიერება თამაშობა და სიცილია“¹¹⁸. როგორც ჩანს, მოტანილ ცნობებში ასახულია რომელიღაც სადღესასწაულო რიტუალი, რომლის დროსაც ტიბარენები განსაკუთრებულ მხიარულებას და დროსტარებას ეძლეოდნენ.

პორფირიოსი (233—304 წწ.), ევსევი კესარიელი (260—340 წწ.) და თეოდორიტე კვირელი (303—457 წწ.) ტიბარენებში გავრცელებულ კიდევ ერთ ჩვეულებაზე მოგვითხრობენ. ამ ავტორე-

¹¹⁵ Shol. Ap. Rhod., II, 1010; Ap. Rhod., II, 1010; ВДИ, 3, 1947, გვ. 281, 290; იქვე, 4, 1947, გვ. 289; იქვე, 4, 1948, გვ. 290; იქვე, 3, 1949, გვ. 343; სტრაბონის თანახმად, ანალოგიური ჩვეულებები ჰქონიათ კელტიბერებს, თრაკიულ და სკვითურ ტომებსაც. იხ. Strabo, III; 4, 17; ქართული მკვლევარების აზრით, სამეგრელოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დადასტურებული ჩვეულება — „მითორგინაფა“, „მითოდგუმა“ („შეგორება“) „კუვადას“ „ერთგვარ ნაშთს“ წარმოადგენს. იხ. Ф. Сахокия, По Мингрелии, Брачные обычаи, «Петроградские ведомости», 1916, № 176; ს. მაკალათია, დასახ. ნაშრ., გვ. 290—271 და შენ. 1; გ. ჩიტია, დასახ. ნაშრ., გვ. 9—12.

¹¹⁶ St. Byz., s. v., Τιβαρηνία; ВДИ, 3, 1948, გვ. 327.

¹¹⁷ P. S. Scymn., 915—917; თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, 96—97.

¹¹⁸ ВДИ, 4, 1948, გვ. 227; Romp. Mel., I, 106; აღ. გამყრელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 28—29; ВДИ, I, 1949, გვ. 273.

ბის გადმოცემით, ტიბარენები უახლოეს მოხუც ნათესავეებს ცოცხლებს გადაისროდნენ ხოლმე მაღალი კლდეებიდან¹¹⁹.

დაბოლოს, ზემოთ მოხსენიებული ნიფოდორის (ძვ. წ. III ს.) თანახმად, რომელმაც სპეციალური თხზულება მიუძღვნა ბარბაროსების ზნე-ჩვეულებებს, ტიბარენები ძალზე სამართლიანები იყვნენ. ისინი საომარ მოქმედებას არ იწყებდნენ მანამ, სანამ მოწინააღმდეგეს არ შეატყობინებდნენ ბრძოლის დაწყების ადგილს, დღესა და დროს¹²⁰.

¹¹⁹ ВДИ, 2, 1948, გვ. 311; „გეორგია“, I, გვ. 26, 227—228; ВДИ, 3, 1948, გვ. 218, 300; იქვე, 4, 1949, გვ. 229.

¹²⁰ ВДИ, 3, 1947, გვ. 290.

თაბალის ჰმეყნის ალბილმდებარეობისათვის

ასურული წყაროების თაბალის ქვეყანა მკვლევართა ერთი ნაწილის¹ თანახმად, ანტიკური ხანის დიდ კაპადოკიაში² მოსათავსებელი.

თაბალის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში უფრო კონკრეტული მოსაზრებებიც გამოითქვა. ასე, მაგალითად, ბ. ლანდსბერგერის ვარაუდით, თაბალი მდებარეობდა სამხრეთ-დასავლეთ კაპადოკიაში, დღევ. კაისერის (ანტიკური მაზაკას) რაიონში, ასურული წყაროების კამანუსა და ხილაქუს მეზობლად³. ი. დიაკონოვი თაბალს ეძებს სამხრეთ კაპადოკიაში. მისი ადრე გამოთქმული⁴ მოსაზრების⁵ მიხედვით თაბალი მოსათავსებელია მცირე; აზიის ტავროსში (კილიკიის ტავროსში)⁶, 1968 წელს გა-

¹ H. Gelzer, Kappadokien und seine Bewohner, 1875, გვ. 15; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 405; Em. Follger, Die Provinzeinteilung des assyrischen Reiches, Leipzig, 1920; Г. А. Мелник и ш в и л и, К истории древней Грузии, გვ. 72.

² ტერმინი „კაპადოკია“ Katpatuka-ს ფორმით პარველად დარიოს I-ის „ბექსისტუნის წარწერაში“ იხსენიება. ძველსპარსული ტექსტების მიხედვით, აღმოსავლეთიდან კაპადოკიას ემეზობლებოდა ურარტუ (არმინა), ხოლო დასავლეთიდან — ლილია (სპარდა), იხ. R. G. Kent, Old Persian, New Haven, 1953, DB. I, 15; DPe. 12; DNa. 28; DSe. 27; DSm. 8; ანტიკური წერილობითი წყაროების მონაცემებით, კაპადოკიას აღმოსავლეთიდან (მდ. ეფრატის გაყოლებით) ესაზღვრებოდა არმენია, სამხრეთიდან — კილიკია, დასავლეთიდან, მდ. ქალისის შუა დინების რაიონში — ფრიგია, ჩრდილოეთიდან კი — XIX სატრაპიაში შემავალი ტომები (მოსხები, ტიბარენები, მოსინიკები და მარები). იხ. Herodotus, I, 72, 73, 76; V, 49, 52.

³ B. Landsberger, Sam'a', Ankara, 1948, გვ. 19, შენ. 39.

⁴ И. М. Дьяконов, ВВИИУ, № 46, прим. 53; იხ. აგრეთვე, მისივე, История Мидии, М., 1956, გვ. 284, 321.

მოქვეყნებული მონოგრაფიის თანახმად კი იგივე ქვეყანა საძებნია დღევ. სეი-ჰანისა და ენიჯე-ირმაკის ზემო დინების მიდამოებში.

თაბალის ადგილმდებარეობის საკითხს მიეძღვნა აღმოსავლეთმცოდნეთა III საკავშირო კონფერენციაზე წაკითხული ჩვენი მოხსენებაც („К вопросу о локализации Табала»), რომელიც 1970 წ. გამოუქვეყნეთ⁸.

როგორც აღინიშნა (იხ. ზემოთ), სახელწოდება „თაბალი“ პირველად ძვ. წ. IX ს-ის ასურულ წყაროში — „შავ ობელისკზე“ სალმანასარ III-ის (ძვ. წ. 859—824 წწ.) წარწერაში იხსენიება. ამ წყაროს მონაცემებით, თაბალი მოსათავსებელია მდ. ევფრატის დასავლეთით, ქ. მელიდის (ხეთ. მალდიას, ურარტ. მელიტეას, ანტიკ. მელიტენეს, დღევ. მალატიას)⁹ მეზობლად, რაც კარგად ჩანს შემდეგიდან.

ძვ. წ. 837 წ. სალმანასარ III-ის 22-ედ გადაულახავს მდ. ევფრატი და წასულა თაბალის ქვეყნისაკენ, სადაც მას თაბალის 24 მეფისაგან ძღვენი მიუღია⁸. შემდგომ წელს ასურეთის მეფე კვლავ გაბრუნებულა მდ. ევფრატისაკენ და მელიდის მეფის ლალას სამეფო ქალაქ უეთაში⁹ დაბანაკებულა. ამჯერად, ხარკით ხელდამშვენებული თაბალის მეფეები თვით მოსულან სალმანასარ III-სთან¹⁰. იმავე სალმანასარ III-ის სხვა წარწერაში, ასურეთისადმი დაქვემდებარებული ქვეყნების ჩამოთვლისას, თაბალს მოსდევს მელიდი.

⁸ И. М. Дьяконов, Предыстория армянского народа, Ереван 1968, გვ. 134.

⁹ ინფორმაცია ჩვენი მოხსენების შესახებ იხ. ВДИ, № 4, 1966, გვ. 227; ნ. ზაზარაძე, თაბალის ქვეყნის ადგილმდებარეობისათვის, „ქველი ისტორიის, საკითხები“, თბ., 1970, გვ. 64—84; ნ. ზაზარაძე, სამხრეთ-აღმოსავლეთ მცირე აზიის ისტორიულ გეოგრაფიიდან, „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, თბ., 1966, გვ. 34 და შმდ.

⁷ ასურული წყაროების მელიდი მდებარეობდა ევფრატთან მდ. თოხმასუს შეერთების ადგილას, დღევ. მალატიის მიდამოებში; J. Delaporte, Malatia, Paris, 1940, გვ. 5—7 შმდ.; Г. А. Меликишвили, Наирн-Урарту, გვ. 53—54 და სხვ.

⁸ A. Amiaud, V. Sheil, დასახ. ნაშრ. გვ. 62, სტრ. 104 — 107; ARAB, I, 579.

⁹ ასურული წყაროს უეთაშს (Uetaš) გ. მელიქიშვილი აიგივებს ერთი ურარტული წარწერის Uita-სთან. ეს უკანასკნელი სარდური II-ის წარწერის თანახმად, ქუმუზის (ანტიკური ხანის კომაგენეს) სამეფო ქალაქი იყო.

¹⁰ A. Amiaud, V. Sheil, დასახ. ნაშრ., გვ. 62, სტრ. 108; ARAB, I, 579, 580.

მელიდთან თაბალის ახლო გეოგრაფიულ მდებარეობაზე საინტერესო ცნობებია დაცული აგრეთვე უფრო გვიანდელი ხანის წერილობით ძეგლებშიც. ასარქადონის შეკითხვებიდან ორაკულისადმი ირკვევა, რომ მუგალუ მელიდელი ასურეთის დაუძინებელი მტერი ყოფილა, იშგალუ თაბალელი კი — მუგალუს მოკავშირე და მეგობარი. ერთ-ერთ შეკითხვაში ასარქადონი თხოვს ღვთაება შამაშს აუწყოს მას იშგალუ თაბალელისა და მუგალუ მელიდელის გეგმების შესახებ¹¹. იმავე მეფის მეორე შეკითხვის მიზანია გაარკვიოს, ხომ არ დაესხმიან თავს იშგალუ და მუგალუ ასურელ სარდალს. აღსანიშნავია, რომ ასარქადონის მეგვიდრის ასურბანიფალის მეფობის დროს იგივე მუგალუ წყაროებში ნახსენებია როგორც თაბალელი¹².

ამგვარად, მოტანილი ცნობები თითქოს იმაზე მიუთითებს, რომ თაბალის აღმოსავლეთი საზღვარი მდ. ევფრატთან და ქ. მელიდთან ახლოსაა საძიებელი. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, თაბალის ასეთ ლოკალიზაციას დაბრკოლებებიც ზედება. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იმსახურებს ის, რომ ძვ. წ. VIII ს-ის მეორე ნახევრის ასურული ტექსტების (სარგონ II-ის „ანალები“ და „საგამოფენო წარწერა“) თანახმად, მელიდი კამანუს „ვრცელი ქვეყნის“ ერთ-ერთი „სამეფო ქალაქთაგანი“ ყოფილა.

¹¹ J. A. Knudtson, დასახ. ნაშრ. АВИИУ NN 54, 56a 57, 68, 74; ARAB, II, 781, 848, 911.

¹² ARAB, II II, 781, 848, 911; АВИИУ № 74. სახელთა დამთხვევის გარდა, თაბალელი და მელიდელი მუგალუს იგივეობაზე ლაპარაკობს შემდეგც: ასურბანიფალისდროინდელი წყაროების მოწმობით, მუგალუ თაბალელი წინათ ასურეთის დაუძინებელი მტერი ყოფილა. მას „იარაღისაჲს სქერია თვალი“ და „მტრობის სიტყვები“ შეუთვლია ასურბანიფალის წინაპარი მეფეებრსათვის (ARAB, II, 781, 848, 911). როგორც ეს ზემოთ დავინახეთ, ასურეთის მიმართ ასევე მტრულად იყო განწყობილი ასურბანიფალის მამის, ასარქადონის თანამედროვე მუგალუ მელიდელიც. ასურულ წერილობით წყაროებში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ასურბანიფალის ძლიერებით შეშინებულ მუგალუ თაბალელს ასურეთისადმი თავისი დამოკიდებულება შეუცვლია, მორჩილება აღუთქვამს, ხარკის გადახდა უკისრია და თავისი ქალიშვილი ასურეთის მეფის ჰარამხანაში გაუგზავნია (ARAB, II, 781, 848). ანალოგიური ვითარებაა ასახული შამაშის ორაკულისადმი დასმულ ერთ-ერთ შეკითხვაშიც, რომლის მიხედვით მუგალუ მულიდელს ასურში შიკრიკი გაუგზავნია და დაზავება უთხოვია. მეფეს, რომლის სახელი, სამწუხაროდ, არ იკითხება, სურს გაიგოს დასაქვრებელია თუ არა მუგალუ მელიდელის დაპირება (Knudtson, 54, АВИИУ, № 68g).

როგორც წყაროებიდან ვგებულობთ, ძვ. წ. 712 წ. კამანუს ზეფე თარხუნაზი მელიდელს ასურელებისათვის უღალატნია, რის გამოც სარგონ II-ს თარხუნაზის „სამეფო ქალაქი“ მელიდი, გარშემო მდებარე სოფლებითურთ, „ქოთნებივით დაუმსხვრევია“. შეშინებულ თარხუნაზის თავი შეუფარებია (ARAB II, 26) კამანუს ქვეყნის განაპირას მდებარე მეორე „სამეფო ქალაქ“ თილ-გარიმუსათვის¹³. სარგონ II-ს „ღრუბელივით დაუფარავს“ თილ-გარიმუ, დატყვევებული თარხუნაზი კი ოჯახის წევრებთან და 5000 (ვარიანტი 500) მეომართან ერთად ასურში წაუყვანია (ARAB, II, 60). ასურული წყაროების მოწმობით, სარგონ II-ს თილ-გარიმუნანგრევებიდან აღუდგენია, კამანუს ქვეყანაში თავისი მოხელე დაუნიშნავს, ხოლო ჩვენთვის საინტერესო ქვეყნის გარშემო ათი ციხე-სიმაგრე აუგია.

კამანუსთან დაკავშირებით ქ. მელიდი იხსენიება სარგონ II-ის უფრო გვიანდელ წარწერებშიც (ARAB, II, 79, 92, 99).

ტერმინოლოგიურად ასურული წყაროების „კამანუ“ უკავშირდება ხეთური ტექსტების „კუმანის“, იეროგლიფურ-ლუვიური წერილობითი ძეგლების „კამანას“ და ანტიკური ხანის „კომანას“ (მდ. სეი-ჰანის ზემო დინების რაიონი, დღევ. გურუნ-შაპრისთან)¹⁴, რაც ზემოაღნიშნულთან ერთად საშუალებას გვაძლევს კამანუს დასავლეთი საზღვარი დღევ. გურუნ-შაპრის მახლობლად ვეძიოთ.

ამგვარად, რაკი მელიდი მოსათავსებელია კამანუს ქვეყნის ფარგლებში, ხოლო ეს უკანასკნელი დასავლეთის მიმართულებით დღევანდელი გურუნ-შაპრის მიდამოებამდე ვრცელდებოდა, ამიტომ თბალის აღმოსავლეთი საზღვარი გაივლიდა არა მელიდთან (resp., ეფრატთან), არმედ გურუნ-შაპრისთან.

ზემოაღნიშნულის გარდა, ამგვარ ვარაუდს მხარს უჭერს სარგონ II-ის შემკვიდრის სინაქერიზის მონათხრობიც, რომელშიც ნათქვამია, რომ თილ-გარიმუ თბალის ქვეყნის საზღვართან მდებარე ქალაქიაო (ARAB, II, 290, 329, 349).

¹³ J. Garstang, O. R. Gurney, The Geography of the Hittite Empire, London, 1959, გვ. 46 და შმდ.

¹⁴ Г. А. Меликишвили, К истории..., გვ. 75, იხ. აგრეთვე, Al. Goetze, Kizzuwatna and the Problem of the Hittite Geography, New Haven, 1940, გვ. 5, შენ. 21, გვ. 17; P. Meriggi, Manuale Di Eteo geroglifico, Parte II, Testi-2a E3a Serie, № 98.

დღევ. გურუნ-შაჰრის ახლოს თაბალის აღმოსავლეთი საზღვრის ძიებას მხარს უჭერს შემდეგიც.

სალმანასარ III-ისდროინდელი წერილობითი ტექსტების მოწმობით, ძვ. წ. IX ს-ში კამანუს სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზე (დღევ. შაჰრისა და მდ. ევფრატს შორის) მოსათავსებელია ქუეს ქალაქები.

ასე, სალმანასარ III ქუეს ქალაქების რიცხვში ასახელებს Lusanda-ს (კაპადოკიური ფიზიკების Luḫuzatia, ხეთური წყაროების Lawazantiya), რომლის ლოკალიზაცია ხეთური ტექსტებით კუმანის მეზობლად, ამ უკანასკნელისა და მდ. ევფრატს შორის მდებარე ოლქში სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი¹⁵.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია შემდეგიც. 1959 წ. გამოქვეყნებული ერთ-ერთი ასურული წარწერა მოგვითხრობს, რომ სალმანასარ III-ს მელიდისაგან ხარკი მიუღია, შემდეგ Timuri-ს მთა გადაულახავს და თაბალში მისულა¹⁶. გეოგრაფიული სახელი Timuri კი იმავე სალმანასარ III-ის სხვა, ადრე ცნობილ წარწერაში ქუესთან დაკავშირებით ფიგურირებს (ARAB, II, 582). ზემოაღნიშნულის გარდა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ თაბალის მეფეების ყველა დღემდე ცნობილი იეროგლიფურ-ლუვიური წარწერა გურუნ-შაჰრის დასავლეთით მდებარე ტერიტორიაზეა აღმოჩენილი (იხ. ქვემოთ).

დაბოლოს, თაბალის აღმოსავლეთი საზღვრის ჩვენი ლოკალიზაციის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გარემოებაც, რომ ურარტულ წერილობით წყაროებში, რომლებშიც არაერთგზის ვხვდებით მდ. ევფრატთან და მელიდთან ტერიტორიულად ახლომდებარე ქვეყნების სახელებს (ქუმუხს, ხათეს, ცუფანის, ალზინის და სხვ.), სრულიად არ იხსენიება თაბალი¹⁷.

ამგვარად, ზემომოტანილი ცნობების შუქზე, თაბალის აღმოსავლეთი საზღვარი კამანუ-ქუეს დასავლეთით (დღევ. გურუნ-შაჰრისა და სეი-ჰანის ზემო დინების დასავლეთით) უნდა გასულიყო.

თაბალის დანარჩენი საზღვრების წარმოსადგენად კი საჭიროა შევჩერდეთ იმ გეოგრაფიულ ერთეულებზე, რომლებთანაც თა-

¹⁵ ARAB, I, 582, 583; A. Goetze, Kizzuwatna, გვ. 71—72; J. Garstang, O. R. Gurney, დასახ. ნაშრ., გვ. 52—53.

¹⁶ Jorgen Laessoe, დასახ. ნაშრ., გვ. 147—157.

¹⁷ შდრ. გ. მელიქიშვილი, აღმოსავლეთ მცირე აზიის უძველესი ეთნონამიკის შესწავლისათვის, „საზ. მეცნ. განყ. მოამბე“, 3, 1961, გვ. 100.

ბალი იჩენდა ტერიტორიალურ სიახლოვეს. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იმსახურებს თუნა-შინუხთუ, რომელთა შესახებ წყაროებში შემდეგი ცნობებია დაცული.

თიგლათფილესერ III-ისდროინდელ წარწერებში — „ანალებში“ და ფირფიტაში ნიმრუდიდან, თუნას ქვეყანა თაბალის გვერდითაა მოხსენიებული (ARAB, I, 772, 801). სარგონ II-ის პრიზმაზე შესრულებული წარწერის მიხედვით, ათუნელ (თუნელ) მათის იმედი ჰქონია მუშქების მეფე მითასი, მაგრამ „თაბალის დასჯის ამბავი“ რომ გაუგია, შეშინებია და ასურელებისათვის ხარკის გაგზავნა გადაუწყვეტია (ARAB, II, 214). თუნასთან თაბალის მეზობლობაზე ლაპარაკობს ისიც, რომ ზოგჯერ ასურულ წარწერებში, იქ, სადაც თაბალია დასახელებული, იხსენიება ქ. შინუხთუც (ARAB, II, 55, 118, 137), რომელიც სარგონ II-ის წარწერების მონაცემებითვე თუნას (ათუნას) უახლოესი მეზობელი იყო.

თაბალი-თუნა-შინუხთუს ურთიერთმეზობლობის დამადასტურებელი ცნობებიდან მივუთითებთ რამდენიმეზე. სარგონ II-ის „ანალებისა“ და „საგამოფენო წარწერის“ თანახმად, შინუხთუს მეფე ქიაქის ასურელებისათვის ურჩობა გაუწევია, რისთვისაც მკაცრად დასჯილა. ასურელებს შინუხთუელი მეომრები დაუტყვევებიათ, 50 საბრძოლო ეტლი ხელთ უგდიათ, ხოლო შინუხთუ შეუერთებიათ ათუნელი მათის ქვეყნისათვის (ARAB, II, 7, 55; АВИИУ, № 54). სარგონ II-ის ერთი სხვა წარწერის მოწმობით, იგივე ქიაქი შინუხთუელი ერთ დროს თაბალის მეფე ყოფილა (ARAB, II, 137).

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული აზრის თანახმად, ასურული წყაროების შინუხთუ მდებარეობდა თუნას გვერდით. თუნას კი ზოგიერთი სპეციალისტი ანტიკური ტიანას (დღევ. ბორი-კილისე-ჰისარის) ადგილზე ეძებს¹⁸, ხოლო ზოგიერთი მკვლევარი, რომელიც ტიანას მიდამოებში ათავსებს თიგლათფილესერ III-ის წარწერებში თუნას გვერდით მოხსენიებულ თუნანის (ARAB, I, 772, 801), ჩვენთვის საინტერესო თუნას ეძებს ტიანადან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ანტიკური თინას¹⁹ (დღევ. ზეივის)²⁰ ადგილზე.

¹⁸ ARAB II, გვ. 488; АВИИУ, № 44, შენ. 9—10; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 74 და სხვ.

¹⁹ Ptolem., V, 77.

²⁰ Em. Forger, დასახ. ნაშრ., გვ. 62, შმდ.

ბორში და მის მახლობლად მდებარე პუნქტებში (ივრიზში, ბულ-
ღარ-მადენში, ნილდეში, ანდავალში) აღმოჩენილი იეროგლიფურ-ლუ-
ვიური წარწერების შესწავლა ცხადყოფს, რომ თუნას ადგილმდებარე-
ობასთან დაკავშირებით გამოთქმულ ამ ორი მოსაზრებიდან უპი-
რატესობა მეორეს ეკუთვნის. საქმე ისაა, რომ აღნიშნულ იეროგლიფურ-
ლუვიურ წარწერებში იხსენიება Tuwanuwana -ს (ხეთ. Tuwanuwa,
ანტიკური ტიანა, დღევ. ბორი) მეფე Warpalawa²¹, ხოლო, როგორც
თიგლათფილესერ III-ის წარწერებიდან დიდი ხანია ცნობილია, იგი-
ვე Warpalawa (ასურულად Urbala) თუნას მეზობელი თუხანის მეფე
იყო (ARAB, I, 772, 801).

ბორიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, დღევ. ზეივესთან თუნა-
შინუხთუს ლოკალიზაციას ზემოაღნიშნულის გარდა, მხარს უჭერს
ისიც, რომ სარგონ II-ის წარწერებში შინუხთუს გვერდით ხშირად
იხსენიებიან „ზღვაში თევზით დაჭერილი იამანი“ (იონელს,
კვიპროსელი)²² და ქუეს ქვეყანა (ARAB, II, 92, 118, 137). ეს
უკანასკნელი კი, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, სამხრეთ-აღ-
მოსავლეთიდან უშუალოდ ესაზღვრებოდა თუნა-შინუხთუსათვის
ნავარაუდევ ტერიტორიას.

თაბალის სამხრეთი რაიონების ლოკალიზაციისათვის დიდი
მნიშვნელობა აქვს ხილაქუ-თაბალის მეზობლობის ამსახველ ცნო-
ბებსაც.

სარგონ II-ის „საგამოფენო წარწერაში“ საუბარია ქაშქუს, თა-
ბალისა და ხილაქუს ხალხების გადასახლების შესახებ (ARAB, II, 80;
№47 (10). ასეთივე თანმიმდევრობითაა ჩამოთვლილი აღნიშნული ქვეყ-
ნები სარგონ II-ის სასახლის კიშკრის იატაკის წარწერაშიც (ARAB,
II, 99). ხილაქუს და თაბალის მეზობლობაზე გარკვევით მიუთითებს
სარგონ II-ის მონათხრობიც, რომლის თანახმად, ასურეთის მეფეს
თაბალის სამფლობელოები გაუფართოებია და ამ უკანასკნელისათვის
ხილაქუ შეუერთებია (ARAB, II, 25, 55; АВИИУ, №46, 165).

ხილაქუსთან თაბალის ტერიტორიულ სიახლოვეზე მოგვიანო ხანის
ასურული წარწერებიც მიუთითებენ. ასარქადონის ცნობილ შეკითხვებ-

²¹ Houwink Ten Cate, დასახ. ნაშრ., გვ. 23; Em. Laroche, Les Hieroglyphes Hittites, №№ 35, 89, 225, 430; P. Meriggi, Hieroglyphisch-Hethitisches Glossar, გვ. 136, 150; R. D. Barnett, M. Falkner, The Sculptures of Assurnasi-Apli II, Tiglath-Pileser III, Esarhaddon from the central and south-west Palaces of Nimrud, London, 1962, გვ. XX.

²² ARAB, II, 99, 118.

ში ღვთაებქორაკულისადმი ჩვენთვის საინტერსო ქვეყნები, როგორც წესი, ერთმანეთის გვერდით არიან დასახლებული (АВИИУ, № 68). იმავე მეფის პრიზმაზე შესრულებულ წარწერიდან კი ვგებულობთ, რომ ხილაქუსა და დუ'უას ხალხი თაბალთან მდებარე მთებში ცხოვრობდა (ARAB, II, 531 შღრ. 516; АВИИУ, №65).

თაბალის მეზობელი ქვეყნის — ხილაქუს ლოკალიზებისათვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სინაქერიბის წარწერა, რომელიც პრიზმაზეა ამოკვეთილი.

ამ ტექსტის თანახმად, ილუბრუს²³ მმართველ კირუას ასურელებისათვის უღალატია და ხილაქუს მოსახლეობა აუმხედრებია. ინგირას (ანტიკური ანხილას, ტარსის ნავსადგურის)²⁴ და ტარზუს მცხოვრებთ აჯანყებულთათვის მხარი დაუჭერიათ, ხელთ უგდიათ რა ქუეში მიმავალი გზა, რომელიც მათ ჩაუყეტათ (ARAB II, 286; АВИИУ, №59). ასურეთის მეფეს ამბობების ჩასაქრობად დამსჯელი ექსპედიცია გაუგზავნია. ასურელებს ხილაქუს ხალხი მიუფალ მთებში დაუმარცხებიათ. იგივე ბედი სწვევიათ ინგირასა და ტარზუს, ხოლო ილუბრუსათვის ასურელებს ალყა შემოურტყამთ (ARAB II, 287; АВИИУ № 59). აჯანყებულების მეთაური კირუა, ხილაქულებთან ერთად, ნინე-ვიაში წაუყვანიათ (ARAB II, 288, АВИИУ, № 59).

როგორც ვხედავთ, სინაქერიბის წარწერის მიხედვით ხილაქუ მდებარეობდა ილუბრუს მახლობლად. აქედან გამომდინარე, ილუბრუს ადგილმდებარეობის დადგენას არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს.

ე. ფორერი ამ ქალაქს ათავსებს ქუეს ჩრდილო-დასავლეთით, კილიკიის კარის სამხრეთ-დასავლეთით, დღევანდელი ნემრუნის (ბიზანტიური ლამპრონის) ახლოს²⁵. ილუბრუს ფორერისეულ ლოკალიზებას ა. გოეტცეც იზიარებს²⁶, აიგივებს რა ასურულ ილუბრუს შუნაშურას «ხელშეკრულების» ელიფრასთან²⁷. ამ „ხელშეკრულების“

²³ სინაქერიბის აღნიშნული წარწერა ერთდერთი დღემდე ცნობილი ასურული წერილობითი წყაროა, რომელშიც ეს სახელია დამოწმებული.

²⁴ Em. Forrer., დასახ. ნაშრ., გვ. 79.

²⁵ მერსინიდან ნემრუნი 43 კმ-ითაა დამორკებული ჩრდილოეთით, ხოლო კილიკიის კარიდან — 16 კმ-ით. იხ. Em. Forrer, დასახ. ნაშრ., გვ. 79.

²⁶ A. Goetze, Cilicians, გვ. 51, შენ. 19. გარსტანგი და გერნი ასურულ ილუბრუს აიგივებენ ხეთურ Allubrata-სთან (დღევანდელ კონიასთან), რაც სწორი არ არის. J. Garstang, O. R. Gurney, დასახ. ნაშრ. გვ. 73.

²⁷ ამ გეოგრაფიულ სახელს წინათ კითხულობდნენ, როგორც Kikk(..)ipra. იხ.

ჩვენთვის საინტერესო ნაწყვეტში საუბარია ქარიშხლის ღეთაების მანუ-
ზიასადმი მიძღვნილ დღესასწაულზე. ხეთური წყარო ასახელებს ქი-
ცუვათნაში მდებარე იმ ქალაქებს, რომელთა თავკაცებს დღესასწაულის
დროს შესაწირი უნდა გამოეტანათ. ესენია: Kumianna (ანტიკური კო-
მანა), Zunnahara (ანტიკური ანაზარბუსი) და Elipra. დასახელებული
პუნქტების თანმიმდევრობა იმაზე ლაპარაკობს, რომ ხეთური წყა-
როს ელიფრა საძიებელია ქიცუვათნას (ასურული ქუეს) დასავლეთ
საზღვართან. როგორც იმავე უენაშურას „ხელშეკრულებიდან“
ვიგებთ, ქიცუვათნას დასავლეთი საზღვარი კილიკიის ტავროსზე
(resp., ბულლარ-დალზე) გადიოდა²⁸.

ამგვარად, ნემრუნის ადგილზე ილუბრუს ლოკალიზაციას ხე-
თური წყაროებიც უჭერენ მხარს. მაგრამ რაკი, როგორც ამას
ქვემოთ დავინახავთ, ასურული ილუბრუს სამხრეთ-აღმოსავლეთ-
ით (კილიკია პედიადაში) ქუეს ქუეყანაა მოსათავსებელი, ხოლო
სამხრეთ-დასავლეთით, კილიკია ტრაქეაში — პირინდუ, ამიტომ
ჩვენთვის საინტერესო ხილაქუ ილუბრუს ჩრდილოეთით, დღევან-
დელ ბულლარ-დალთან მდებარე პოზანდისთან უნდა ვეძიოთ.

ასეთ ვარაუდს შემდეგი ცნობებიც უჭერენ მხარს. როგორც ზე-
მოთ აღვნიშნეთ, სინაქერიბი მიუთითებს, რომ მისმა ლაშქარმა
ხილაქუს მოსახლეობა მიუვალ მთებში დაამარცხა (ARAB, II, 287;
№59). იმავე მეფის სხვა წარწერის ჩვენებით, ასურელებს ხილაქუს
მცხოვრებნი მაღალ მთებში „ცხვრებივით“ გაუწყვეტათ (ARAB,
II, 329; АВИИУ, № 61). გასათვალისწინებელია აგრეთვე ასარ-
ქადონის მონათხრობიც: „ხილაქუს ხალხი, რომელიც „თაბალთან
მდებარე მთებში“ ცხოვრობს, „თავის მთებს“ მიენდო და დიდი ხა-
ნია აღარ ემორჩილება ასურეთსო“ (ARAB II, 531; АВИИУ №
65).

ამის გარდა, საყურადღებოა, რომ ასარქადონის წარწერებში
(ARAB II, 516, 530—531) ხილაქუს გვერდით მოხსენიებულია ხუ-
ბუშნა (ანტიკური ხანის კიბისტრა, დღევ. ერელლისთან)²⁹.

A. Goetze, Kizzuwatna, გვ. 55—56; J. Garstang, O. R.
Gurney, დასახ. ნაშრ., გვ. 61, 124.

²⁸ უენაშურას „ხელშეკრულების“ მონაცემებით, ქიცუვათნას მხრიდან სასა-
ზღვრო პუნქტები იყო: Pitura (ანტიკურ ლამოსთან), Zinziluwa Erimma. Zaba-
rašna-ის მთები (ბულლარ-დალი) და მდ. Samri-ის (ანტიკური საროსის, დღევანდელი
სეი-ჰანის) ზემო დინების რაიონი იხ. A. Goetze, Kizzuwatna, გვ. 48
და შმდ.

²⁹ მკვლევრები ასურულ ხუბუშნას აიგივებენ ხეთური წყაროების Hupisna-

ხილაქუს ლოკალიზაციის ჩვენ მიერ შემოთავაზებული ვარიანტის სისწორეს ადასტურებს შემდეგიც:

ძვ. წ. VIII—VII სს-ის ასურული წერილობითი წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ ხილაქუს თაბალის სამხრეთით მდებარე ქვეყანა იყო. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ სარგონ II-ის წარწერებში, თაბალისა და ხილაქუს მოხსენიების შემდეგ აღწერილია ამბავი, რომელიც ქუეში გადახდა მუშქების მეფე მოთას, ხოლო შემდეგ ჩამოთვლილია ქუედან სამხრეთით მდებარე ქვეყნები (ეგვიპტე, გაზა, იათნანა, კვიპროსი)³⁰.

ხილაქუს გარდა, როგორც უკვე დავინახეთ, თაბალს ემეზობლებოდნენ თუნა (ანტიკური თინა, დღევ. ზეივე) და ამ უკანასკნელთან ახლო მდებარე შინუხთუ. ჩვენს ყურადღებას ის გარემოება იქცევს, რომ თუნა-შინუხთუ უშუალოდ ემეზობლება ხილაქუსათვის ჩვენ მიერ ნავარაუდევ ტერიტორიას (ბულლარ-დალის სექტორს, პოზანდისთან).

ბულლარ-დალთან ხილაქუს ლოკალიზაციისათვის ასურულ წარწერებში კიდევ ერთ საყურადღებო მითითებას ვპოულობთ.

სალმანასარ III-ისდროინდელი წყაროების მონაცემებით, თაბალის საზღვართან თუნისა და მულის მთებია (დღევ. ბულლარ-დალი)³¹, ხოლო ასარქადონის ცნობის თანახმად, ხილაქუს ხალხი „თაბალთან მდებარე მთებში“ ცხოვრობს (ARAB, II, 531; АВИИУ, № 65).

სამეცნიერო ლიტერატურაში ხილაქუს ლოკალიზაციასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. ფონეტიკურად უკავშირებენ რა ასურული წყაროების ხილაქუს ძველბერძნულ ლიტერატურის „კილიკიას“ (Κιλικία)³², მკვლევრები ხილაქუს ეძებენ ანტიკური ხანის კილიკიაში (კილიკია-პედიადაში, კისთან. ჯ. მელარტი ხეთურ ოფისიზ-ს, ანტიკური კიბისტრადან აღმოსავლეთ მდებარე დიდ ბორცვზე — ყარა-პულუქუე ათავსებს. იხ. A. Goetze, Kizzuwatna, გვ. 53 და შენ. 200; J. Garstang, O. R. Gurnay, დასახ. ნაშრომი, გვ. 63—64; 72 და იქვე შენ. 1; P. Hulin, The Inscriptions on the Carved Throne Base of Salmaneser III, «Iraq» XXV, 1963, გვ. 66.

³⁰ ARAB, II, 90, 99; АВИИУ, № 47, 107; Knudtzon, 60, 61; АВИИУ, № 68 (გ); იხ. აგრეთვე, ARAB II, 25, 55, 780, 782; АВИИУ, № 46, 54.

³¹ ARAB, I, 579, 680; «Reallexikon der Vorgeschichte», Bd., 12, 1928, სტატია: «Silber»; გ. მელიქიშვილი, აღმოსავლეთ მცირე აზიის უძველესი ეთნომორფის წესწავლასთვის, „საზ. მეცნ. განხ-ბის მოაზებ“, № 3, 1961, გვ. 101 და შემდ. შტრ. P. Hulin, დასახ. ნაშრ. გვ. 66—67.

³² ძველბერძენი ავტორების მონაცემებით, კილიკია ეწოდება ტერიტორიას, რომელიც აღმოსავლეთიდან შემოსაზღვრულია ამანის მთებით, ჩრდილოეთიდან, ჩრდი-

ლიკია ტრაქეაში)³³, ან კაპადოკიის სამხრეთ სექტორში, ქ. მაზაკას (დღევ. კაისერის) მიდამოებში³⁴ (ძველბერძნული ტრადიციით, კილიკია ეწოდებოდა აგრეთვე კაპადოკიის აღნიშნულ რაიონსაც)³⁵.

მაგრამ, სამეცნიერო ლიტერატურაში ხილაქუს ადგილმდებარეობის შესახებ გამოთქმული ეს ვარაუდები არ ეთანხმება წყაროების მონაცემებს. უპირველეს ყოვლისა, გამართლებული არ არის ხილაქუს მოთავსება კილიკიაში (პელიადასა და ტრაქეაში), რადგანაც ძვ. წ. IX—VI სს-ის ძველალმოსავლური წყაროების მონაცემებით, სამხრეთ-აღმოსავლეთ მცირე აზიის ეს რაიონი ქუესა და პირინდუს ქვეყნებს ეკავათ, რაც კარგად ჩანს შემდეგიდან.

სალმანასარ III-ისდროინდელი წარწერების ჩვენებით, ქუესს ქვეყანა მდებარეობდა ამანის მთების დასავლეთით (ARAB I, 577, 582 583, 600, 674, 682). მისი ქალაქები იყო: Lamena (ხეთური წყაროების Luwana)³⁶, Tanakuni³⁷, Pahru (ანტიკური ხანის Mopsuestia დღევ. მისისი)³⁸, Lusanda (ხეთური ტექსტების Lawazantiya)³⁹, Kizulo-დასავლეთიდან და დასავლეთიდან — ანტიტავროსითა და კილიკიის ტავროსით, ხოლო სამხრეთიდან — ხმელთაშუა ზღვით. იხ. Herodotus, I, 28; II, 34, 90; V, 49, 52, 108; Xenophon, IV, V, 56; VII, IV, 2; VIII, VI, 8; მისივე, Anab. I, II, 12, 20; I, IV, 1, 4. სტრაბონის თანახმად, კილიკია ორ ნაწილად იყოფა. ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან მთებით შემოფარგულულ ვიწრო ზღვისპირა ზოლს (ქ. კორკეზიდან ვიდრე ქ. სოლამდე); ბერძენი გეოგრაფოსი „კილიკია ტრაქეას“ სახელით იცნობს. იხ. Strabo, XII, 6, I; XIV, 3, I; XIV, 5, 1—7. იგივე სტრაბონი კილიკიის აღმოსავლეთ ნაწილს ქ. სოლიდან ისამდე, ჩრდილო-დასავლეთიდან, დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან ანტიტავროსით, კილიკიის ტავროსითა და ამანის მთებით შემოხაზულ „კილიკია პელიადას“ უწოდებს. იხ. XIV, 5, 1, 8—20, იხ. RE, სტატია, „კილიკია“, XI, 1926, გვ. 385. შმდ.

³³ А. С. Х а х а н о в, Древнейшие пределы расселения грузин по Малой Азии, ЗКОИРГО, ნაკვ. 6, გვ. 8; ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, გვ. 405; И. М. Дьяконов, История Мидии, გვ. 320; მისივე, Предыстория армянского народа, გვ. 166, 194, შენ. 14; Г. А. Мелик-Ишвили, К истории древней Грузии, გვ. 74 და სხვ.

³⁴ Н. Winckler, დასახ. ნაშრ., გვ. 123 და შმდ.: E. Forger, დასახ. ნაშრ., გვ. 76.

³⁵ Herodotus, I, 72, Strabo, XIII, 2, 7.

³⁶ ARAB I, 582—583; ასურული Lamena აღმოსავლეთ კილიკიაში მდებარეობდა. J. Garstang, O. R. Gurney, დასახ. ნაშრ. გვ. 60 და შენ. 4.

³⁷ ARAB I, 583. Tanakun-ის ადგილმდებარეობა უცნობია, სხვა წყაროებში იგი არ იხსენიება.

³⁸ «Welt des Orients», I, 1947, გვ. 577 და შმდ.

³⁹ ARAB, I, 582, 583; Fuad Safar, A Further text of Shalmaneser III From Assur, «Sumer», VII, № 1, 1951.

atni (ხეთ. Kizzuwatna)⁴⁰, Abarnani⁴¹, Tarzu (ხეთ. Tarša, დღევ. ტარსუსი) და Timuri⁴².

პამათის მეფე ზაქირის (ძვ. წ. VIII ს-ის დასაწყისი) არამეული წარწერის მონაცემებზე დაყრდნობით, ქუეს ქვეყანა არპადიდან (დღევ. ტელ-ერფადიდან) დასავლეთით არის საძებნი⁴³.

თივალთფილესერ III-ის წარწერებში ქუეს სახელს ვხვდებით ჩრდილოეთ სირიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ მცირე აზიაში მდებარე ისეთი ქალაქებისა და ქვეყნების გვერდით, როგორც იყვენენ: კარკემიში, გურგუმი, სამალი, მელიდი და თაბალი (ARAB, I, 769, 772, 801).

სარგონ II-ის წარწერები უფრო აღრეული ხანის წყაროებში დაცულ ცნობებს ახალი საგულისხმო მითითებებით ავსებენ. ამ ტექსტებში ლაპარაკია ხმელთაშუა ზღვის სანაპიროსთან ქუეს სიახლოვეზე (ARAB, II, 16, 92).

ძვ. წ. IX—VII სს-ის ასურული წყაროების თანახმად, ქუეს უახლოესი მეზობლები იყვნენ ხილაქუსა და თაბალის ქვეყნები. ამ უკანასკნელი რაიონების მეზობლობისათვის გასათვალისწინებელია შემდეგი ცნობები. მონოლითზე შესრულებულ წარწერაში სალმანასარ III ქუეს მეფე ქათეს შემდეგ ასახელებს ფიპირის (ARAB I, 600). იმავე მეფის სხვა ტექსტში დამორჩილებული ქვეყნების ჩამოთვლისას ქუეს გვერდით მოხსენიებულია თაბალი (ARAB, I, 674). ქუე-თაბალის ახლო გეოგრაფიულ მდებარეობაზე ლაპარაკობს ქანდაკებაზე შესრულებული სალმანასარ III-ის წარწერაც. (დღევ. ბულლარ-დადიდან წამოსულ მეფეს ქუესა და თაბალის ქვეყნები დაულაშქრავს (ARAB I, 682).

სარგონ II-ის წარწერებში ხშირად ხილაქუს დასახელების შემდეგ საუბარია ქუედან მუშქების მეფის განდევნაზე (ARAB II, 80, 99), ხოლო სინაქერიბის სამშენებლო საქმიანობისადმი მიძღვნილ ტექსტებში, უცხო ქვეყნებიდან ნინევიამი ჩამოყვანილ ტყვეთა შორის ერთიმეორის გვერდითაა ჩამოთვლილი ქუესა და ხილაქუს მცხოვრებთა სახელები (ARAB II, 364, 383). ჩვენთვის

⁴⁰ Fuad Safar, დასახ. ნაშრ., გვ. 19.

⁴¹ Fuad Safar, დასახ. ნაშრ. გვ. 19. Abarnani-ს მდებარეობა უცნობია.

⁴² ARAB I, 582, 583; შდრ.

⁴³ И. Н. Вятников, Новые финикийские надписи, ..., ВДИ, 3, 1950, გვ. 92.

საინტერესო ტერმინები (ქუე, ხილაქუ, თაბალი) ერთ კონტექსტშია დასახელებული შამშის ორაკულისადმი ასარქადონის მიერ დასმულ ერთ-ერთ შეკითხვაშიც: ასარქადონს აინტერესებს, ხომ არ დაესხმის თავს თაბალისა და ხილაქუს ლაშქარი ქუეს ქვეყანას (ARAB, II, 60; АВИИУ, № 68).

ქუეს მოხსენიებას უკანასკნელად ბაბილონის ახალი სამეფოსდროინდელ წყაროებში — ნაბუქოდონოსორ II-ის (ძვ. წ. 604—562 წწ.), ნერიგლისარისა (ძვ. წ. 559 წ. — 555 წ.) და ნაბონიდეს (ძვ. წ. 555—538 წწ.) წარწერებში ვხვდებით⁴⁴. მაგალითად, ნაბუქოდონოსორ II ქუეს იხსენიებს, ე. წ. „სასურსათო სიებში“, ხოლო ნაბონიდეს სტელაში საუბარია ქუეს ქვეყნიდან წამოყვანილ 2850 ტყვე-მეომარზე. იმავე ნაბონიდეს „ქრონიკებიდან“ ვგებულობთ, რომ მას ქუეს წინააღმდეგ ულაშქრია⁴⁵.

ქუეს საზღვრების წარმოსადგენად განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნერიგლისარის წარწერა, რომელიც პირინდუს ქვეყანაში ლაშქრობაზე⁴⁶ მოგვითხრობს. ამ წყაროს ჩვენებით, ქუედან დასავლეთით პირინდუს ქვეყანა მდებარეობდა. ამ ქვეყნებს შორის საზღვარი მდინარეზე (ლამოსზე?)⁴⁷ გადიოდა. ნერიგლისარის აღნიშნული წარწერის მონაცემების საფუძველზე, დ. ვისმანი პირინდუს ათავსებს გვიანდელი ხანის კილიკია ტრაქეას ადგილზე⁴⁸.

წყაროების მონაცემებით, ქუეს ემეზობლებოდნენ ხილაქუ,

⁴⁴ ბაბილონის ახალი სამეფოსდროინდელ ტექსტებში ასურულ ქუეს შეესატყვისება Hume იხ. K. F. Albright, *Cilicia and Babylonia under the Chaldean Kings*, BASOR, № 120, 1950, გვ. 22 შმდ.

⁴⁵ W. F. Albright, დასახ. ნაშრ., გვ. 22 შმდ.

⁴⁶ D. S. Wiseman, *Chronicles of Chaldean kings (626—555 B. C.) in British Museum*, London, 1956, გვ. 75 შმდ.

⁴⁷ ხეთური წერილობითი ტექსტების მოწმობით, ქიკუვათნას, სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი მდ. Lamiya-ზე გადიოდა. იხ. A. Goetze, *Kizzuwatna*, გვ. 58—59; J. Garstang, O. R. Gurney, დასახ. ნაშრ., გვ. 59—70. სტრაბონის თანახმად, იგივე მდინარე (λάμοδος) კილიკია პელიდას საზღვრავდა კილიკია ტრაქეასაგან. იხ. Strabo, XIV, V, 5, 8. აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ ნერიგლისარის წარწერაშიც მდ. ლამოსი იგულისხმებოდა.

⁴⁸ ნერიგლისარის წარწერის თანახმად, აღმოსავლეთიდან პირინდუს ესაზღვრებოდა ქუე, ხოლო დასავლეთიდან — ლიღია. პირინდუს ქალაქები იყო: Ura (ანტიკური Olba), Kirsi (ანტიკური Claudiopolis-ი), Pitusa (ანტიკური Pitusa, დღევ. Karginçik) და Sallune (ანტიკური Scilinus, დღევ. Selindi). იხ. Wiseman, დასახ. ნაშრ., გვ. 86, შმდ., Houwink Ten Cate, დასახ. ნაშრ., გვ. 17 შმდ.

თბალი და პირინდუ. მისი აღმოსავლეთი საზღვარი ამანის მთამდე (დღევ. ნურ-დალამდე) აღწევდა, სამხრეთიდან მას ხმელთაშუა ზღვა ეკრა, ხოლო დასავლეთიდან — მდინარე (ლამოსი?) და კილიკიის ტავროსი. ჩრდილოეთის მიმართულებით ქუე, ისევე, როგორც ხეთური ხანის ქიცუვათნა, კილიკიის კარის ჩრდილოეთით, დღევანდელი სეი-ჰანის ზემო დინების მიდამოებამდე ვრცელდებოდა⁴⁹.

ზემოთ ითქვა, რომ მკვლევართა ერთი ჯგუფი ხილაქუს ქვეყანას სამხრეთ-დასავლეთ კაპადოკიაში, ქ. მაზაკას (დღევ. კაისერის) მიდამოებში ეძებს. ზემოაღნიშნულის გარდა, ამ მოსაზრების წინააღმდეგ ლაპარაკობს შემდეგიც.

როგორც ასურულ წყაროებშია აღნიშნული, ხილაქუს ხალხი მიუვალ მთებში ცხოვრობდა. ქ. მაზაკა კი, სადაც ათავსებენ ხილაქუს, სტრაბონის აღწერით, განლაგებული იყო „ბუნებისაგან გაუმაგრებელ“ (ἀνώχυρος), უწყლო (ἀσυδρός) და უნაყოფო დაბლობში (Strabo, XII, II, 7). ხილაქუ — მაზაკას ურთიერთდაკავშირებას ხელს უშლის ისიც, რომ მაზაკა ილუბრუდან საკმაოდ დიდი მანძილით იყო დაშორებული. იმავე სტრაბონის გადმოცემით კიროსისი ბანაკიდან⁵⁰ და კილიკიის კარიდან მაზაკამდე 6 დღის სავალი გზა იყო (Strabo, II, II, 9), ხოლო სინაქერიბის წარწერის მოწმობით (იხ. ზემოთ), ხილაქუ უშუალო მეზობელი იყო ილუბრუსი (ARAB, II, 286-288) და ბოლოს, როგორც ქვემოთ დავინახავთ, იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების მონაცემები საშუალებას გვაძლევს მაზაკას მიდამოებში მოვათავსოთ არა ხილაქუ, არამედ თბალის დასავლეთი ოლქები.

ამგვარად, ხილაქუს ლოკალიზაცია ბულლარ-დაღის ჩრდილოეთ კალთებთან, კილიკიის კართან (დღევ. პოზანდისტან), აკმაყოფილებს ასურული წყაროების იმ ძირითად მოთხოვნებს, რომელთა თანახმადაც ჩვენთვის საინტერესო ქვეყანა მდებარეობდა მიუვალ მთებში და ტერიტორიულად დაკავშირებული იყო, ერთი მხრივ, ილუბრუ-ქუესთან, ხოლო მეორე მხრივ — თბალთან.

⁴⁹ ქუეს ჩრდილოეთი ოლქების ამგვარი ლოკალიზაცია აკმაყოფილებს ასურული წყაროების იმ მოთხოვნას, რომლის თანახმადაც ქუეში მოსათესებელია Lusanda და Timuri და ქუე ტერიტორიულად დასაკავშირებელია თბალთან. იხ. Houwink Ten Cate, დასახ. ნაშრ., გვ. 19.

⁵⁰ ქსენოფონტის „ანაბასისის“ მიხედვით, კიროსის ბანაკი ქ. დანთან (დღევ. კილისე-პისართან) იყო განლაგებული. კილიკიის კარი მდებარეობდა ქ. დანიდან სამხრეთით, მიახლოებით 25 კმ-ის მოშორებით, იხ. Xenon., Anab., I, II, 19 და შმდ.

ყოველივე ზემოაღნიშნული იმასაც მიუთითებს, რომ მართალია, ტერმინები „ხილაქუ“ და „კილიკია“ ფონეტიკურად ახლოს დგანან ერთმანეთთან, მაგრამ ისინი უდავოდ წარმოადგენენ სხვადასხვა, თუმცა მეზობელი ოლქების აღმნიშვნელ სახელწოდებებს.

შესაძლებელია, რომ სწორედ ამ მეზობლობის გამო ტერმინი „ხილაქუ“ („კილიკია“) ძველბერძნულ ლიტერატურაში ეხმარათ აგრეთვე ხილაქუს აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიის (ასურული ქუეს) აღსანიშნავად. დასაშვებია, რომ ტერმინ „ხილაქუს“ შინაარსის შეცვლას (resp., გაფართოებას) ხელი შეუწყო იმ პოლიტიკურ ურთიერთობათა განვითარებამ, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონოდა ძვ. წ. VI ს-ის ბოლო მეოთხედში, როცა ხილაქუს პოლიტიკური ბატონობის სფეროში უნდა მოქცეულიყო მის აღმოსავლეთით მდებარე მეზობელი ტერიტორიაც (ასურული ქუე).

ქუეს სახელწოდების შეცვლა „ხილაქუდან“ მომდინარე ტერმინით („კილიკიით“), მართლაც რომ მოგვიანო ხანებში (ძვ. წ. VI ს-ის ბოლო მეოთხედში) უნდა მომხდარიყო. ამაზე შესაძლოა ისიც ლაპარაკობს, რომ „ბიბლიაში“ კილიკიის აღმნიშვნელ ტერმინად კვლავ *qayē-qayā იხმარება.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ძვ. წ. V ს-ის ავტორის ჰეროდოტეს მონათხრობიც, სადაც აღნიშნულია რომ კილიკიის სახელი მათი ეთნარქის—კილიქსის სახელიდან მომდინარეობს, ხოლო წინათ მათ ჰიპაკეელები ერქვათო (Herodotus VII, 91).

ამგვარად, ზემომოტანილი ასურული წერილობითი წყარობიდან ირკვევა, რომ თაბალის სამხრეთი საზღვარი კილიკიის კართან იწყებოდა და დღევ. პოზანდი — ზეივე — ბორთან გადიოდა.

თაბალის ლოკალიზაციისათვის ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ასურული და ძველბერძნული ტექსტების ის მითითებები, რომლებიც ლაპარაკობენ მუშქების ქვეყანასთან თაბალის მეზობლობაზე. აი, ეს ცნობებიც.

ცილინდრზე შესრულებულ წარწერაში სარგონ II მოგვითხრობს თაბალის ტერიტორიის დაპყრობაზე მუშქების ქვეყნის საზღვრამდე (ARAB II. 118; АВИИУ № 53). „ანალებისა“ და „სავამოღენო წარწერის“ მოწმობით კი, მუშქების მეფე მითა მოკავშირე და მეგობარი იყო თაბალის მეფე ამბარიდუსისა⁶¹ და თაბალისა და მუშქების ქვეყნების ახლო გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ

⁶¹ ARAB II, 118; АВИИУ, № 53.

ზოგიერთი არაპირდაპირი მონაცემიც ლაპარაკობს. ამ მხრივ საგულისხმოა სარგონ II-ის წარწერების ცნობები, რომელთა თანახმადაც, მუშქებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ თაბალის მეზობელ ისეთ ქვეყნებთან, როგორც იყო ქუე (კილიკია პედიადა) და თუნა (დღევ. ზეივესთან). ასე, სარგონ II-ის რამდენიმე წარწერიდან ვიგებთ, რომ მუშქების მეფე მითას მიუტაცნია ქუეს (კილიკია პედიადას) სამი ქალაქი: ხაარუა, უშნანისი და ქუმესი⁵². ასურელებს ქუეს დაცვის მიზნით ძვ. წ. 712 წ. მუშქების ქვეყნის საზღვართან ციხე-ქალაქები დაუარსებიათ. სარგონ II გვიამბობს: „ქალაქები უსი, უსიანი და უარგინი დავაარსე მუშქების ქვეყნის საზღვართან. მათი კარი სამუდამოდ დავხურე“⁵³. ძვ. წ. 709 წ. ქუეში დანიშნულ ასურულ მოხელეს სამგზის ულაშქრია მუშქების ქვეყანაში, მითას შეშინებია და ასურელებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება განუზრახავს⁵⁴.

ქუესა და მუშქების ქვეყნების მეზობლობაზე ლაპარაკობს 1958 წ. H. W. Saggs-ის მიერ გამოქვეყნებული ნიმრუდის წერილებიც, რომელთაგან ერთ-ერთი ასურეთის მეფის ბრძანებულებაა⁵⁵. ამ უკანასკნელი დოკუმენტის თანახმად, მითამ, მუშქების მეფემ, დააკავა და ასურეთის წარმომადგენელს ქუეში გადასცა ურიქის მიერ ურარტუში წარგზავნილი დელეგაცია 14 კაცის შემადგენლობით⁵⁶.

სარგონ II-ის წარწერების მიხედვით, მუშქებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ თაბალის მეორე ქვეყანა თუნასთანაც (ARAB II, 214).

თაბალისა და მუშქების მეზობლობაზე აშკარად მიუთითებენ აგრეთვე ძველებრაული ტექსტებიც. როგორც ზემოთაც დავინახეთ, ეზეკიელის ტვიროსის გოდებაში ნათქვამია: „ივანი, თო-

⁵² H. Winckler, Ann. სტრ. 93 შმდ.; ARAB, II, 18, 80, 82, 92, 118.

⁵³ H. Winckler, Ann. სტრ. 192 შმდ. ARAB, II, 27; იხ. აგრეთვე, ნ. ხ ა ზ ა რ ა ძ ე, „მუშქების ქვეყნის“ სახელწოდების ადგენისათვის, თუქულთი-ნინურთა II-ის „ანალებში“, „აღმოსავლური კრებული“, I, თბ., 1960, გვ. 85.

⁵⁴ H. Winckler, სტრ. 372, შმდ. Pr. სტრ. 150 შმდ.; ARAB II, 42, 43, 71.

⁵⁵ H. W. Saggs, The Nimrud Letter, The Uralian Frontier, 1952, IV, «Iraq», XX, 2, 1958, გვ. 205.

⁵⁶ ნ. ხ ა ზ ა რ ა ძ ე, ფრიგიის სავაქრო-კულტურულ ურთიერთობათა ისტორიიდან (ძვ. წ. VIII ს-ის დასასრული), „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზ. მეცნ. განყოფილების მოამბე“ № 3, 1963, გვ. 142—143.

ბელი და მოსოხი (ე. ი. მუშქი — ნ. ხ.) ვაპრობდნენ შენ შორის სულებსა კაცთასა და ჭურჭელნი რვალისანი მისცნეს სავაჭროდ შენდა“⁵⁷. იგივე ეზეკიელი იხსენიებს როსის, მოსოხისა და თობელის მთავარს („ძეო კაცისაო განამტკიცე პირი შენი გოგსა ზედა და ქუეყანა(სა) ზედა მაგოგთასა მთავარსა როსს, მოსოხს და თობელს“)⁵⁸. ერთიმეორის გვერდითაა მოხსენიებული ჩვენთვის საინტერესო სახელები „შესაქმეს“ წიგნში, „ნეშტთა“-ს წიგნში და ესაიასთანაც⁵⁹ (იხ. ზემოთ).

ძვ. წ. VIII ს-ის ასურული წყაროების მუშქების ქვეყნის ლოკალიზაციისათვის მასალები ძალზე მცირერიცხოვანია.

როგორც ეს ზემოთ დავინახეთ, სარგონ II-ის წარწერების მონაცემებით, ეს ქვეყანა ასურეთის უკიდურესი დასავლეთი პროვინციების (თაბალის, ქუეს, ათუნას) მეზობლად მდებარეობდა. მოტანილი ცნობების გარდა, ამ მხრივ საყურადღებოა სარგონ II-ის ტიტულატურებიც, რომლებშიც მუშქების ქვეყნის სახელი ხშირად კვიპროსისა და ეგვიპტის სახელთა გვერდით დგას. რიგ წარწერებში (ხორსაბადის სასახლის კიშკრის იატაკის წარწერა, „საგამოფენო წარწერა“) მეორდება შემდეგი: „...იათნანას კუნძულიდან (კვიპროსი) მოყოლებული, რომელიც იმ ზღვის შუა გულში დევს, მზე რომ ჩადის, მუტურისა (ეგვიპტე) და მუშქების ქვეყნის საზღვრამდე (აქ ჩამოთვლილია დამორჩილებული ქვეყნებისა და ხალხების სახელები—ნ. ხ.), რომელმაც (ეს ქვეყნები) ერთი ხელისუფლების ქვეშ მოაქცია, (რომელმაც ამ ქვეყნებში) თავისი მოხელეები მმართველებად დასვა და (ამ ქვეყნებს) თავისი ულელი დაადგა“⁶⁰. „კვიპროსის სტელა“ კი გვამცნობს, რომ სარგონ II-ს დაუმორჩილებია ხალხები „ზემო მწარე ზღვიდან“ (ურმიის ტბიდან?) „ქვემო მწარე ზღვამდე“ (სპარსეთის ყურემდე) და მუტურიდან (ეგვიპტიდან)—მუშქების ქვეყნამდე (ARAB II, 183).

ასურეთის დასავლეთ პროვინციებთან მუშქების ქვეყნის ტერიტორიალურ სიახლოვეზე ლაპარაკობს სარგონ II-ის „ანალეზის“ ერთი ადგილიც. ქარხემიშის (დღევ. ჯერაბლუსი) მეფე პისი-

⁵⁷ A-1108 „გელათური ბიბლია“, ეზეკიელი, 38₁₃.

⁵⁸ A-1108, „გელათური ბიბლია“, 38₂, 32₂₀, 36₁; F. Graffin, დასახ. ნაშრ., გვ. 508.

⁵⁹ A-1108, „გელათური ბიბლია“, ესაია, 66₂₀; F. Graffin, დასახ. ნაშრ. გვ. 508.

⁶⁰ H. Winckler, Pr., გვ. 136—163; Pr., გვ. 98, სტრ. 16—17; ARAB, II, 54, 96—102.

რომ „ულალატა ასურეთის ღმერთებს“ და მეგობრული ურთიერთობა დაამყარა მუშქების მეფე მითასთანო (ARAB II, 8).

სხვა მითითება მუშქების ქვეყნის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით ძვ. წ. VIII ს-ის ასურულ ტექსტებში აღარ გვხვდება. ზემომოტანილი მასალიდან კი, ჩვენი აზრით, კარგად ჩანს, რომ აღნიშნული ხანის წყაროების მუშქების ქვეყანა საძიებელია ასურეთის დასავლეთი ოლქების (ქუეს, ათუნას, თაბალის) მეზობლად.

მუშქების ქვეყნის ლოკალიზაციისათვის გასათვალისწინებელია ისიც, რომ მუშქების ქვეყნის მეფის მითას, ბერძნული წყაროებით ფრიგიელთა მიდასის⁸¹, ძველფრიგიული წარწერა, ძვ. წ. VIII ს-ის ბოლო მეოთხედით დათარიღებულ⁸², ნაპოვნია თაბალის მეზობელი ქვეყნის თუხანის (დღევ. ბორის, ანტიკური ხანის ტიანას) მახლობლად. ყურადსაღებია ისიც, რომ ქუედან (ცილიკია პედიადან) ჩრდილო-დასავლეთით მდებარე დღევ. ყიზილ-დაღში არის (დღევ. ჩუმ-რასთან, კონიადან სამხრეთ-აღმოსავლეთით) აღმოჩენილი მუშქების ქვეყნის სახელწოდების შემცველი იეროგლიფურ-ლუვიური წარწერა⁸³.

საგულისხმოა ისიც, რომ მუშქების ქვეყნის საზღვარზე ასურელთა მიერ აგებული სამი ციხე-სიმაგრედან (უსი, უსიანი და

⁸¹ მითა-მიდასის იგივეობაზე პირველად პ. ვინკლერმა მიუთითა. იხ. H. Winkler, Die Reiche von Cilicien und Phrygien im Lichte der altorientalischen Inschriften, AF, I, Leipzig, 1898, გვ. 132 და შმდ. მითა-მიდასის იგივეობის პ. ვინკლერისეულმა თეორიამ საერთო აღიარება მოიპოვა. იხ. მაგალითად, A. Körte, Gordion, Berlin, 1904; Em. Forrer, დასახ. ნაშრ., გვ. 77; G. Bonfante, Armenians and Phrygians, «Armenian Quarterly», 1946, I, № 1, გვ. 84—88; U. R. Hall, The Ancient History of Near East, London, 1950, გვ. 475 და შმდ.; Г. А. Мелникшвили, Наирн-Урарту გვ. 305, 315—316 და სხვ.

⁸² J. Garstang, Notes on a journey through Asia Minor, AAAn I, 1908 10—11; J. J. Myres, Midas beyond the Halys, AAAn, I, 1908, 13—16; J. Friedrich, Kleinasiatiscche Sprachdenkmäler, 1932, გვ. 127—137, წარწერა № 19. საგულისხმოა, რომ სწორედ თაბალის სამხრეთ საზღვართან დღევ. ულუქიშლა-ზეივეს მახლობლად, 1970 წლის არქეოლოგიური გათხრების დროს, აღმოაჩინეს საბეჭდავი, რომელზედაც სამი ძველი ფრიგიული ანბანური ნიშანი იკითხება. იხ. AJA, 74, № 2, 1970, გვ. 162—163.

⁸³ P. Meriggi, Una Prima Attestazione Epicorica Del Moschi in Frigia, «Estrato da Athenaeum Studi Periodici di Letteratura e Storia dell'Anti-Ichita Nuova serie» I—V, 1964; შდრ. მისივე, Manuale Di Eteo Gerografico, № 17. ამ უკანასკნელ ნაშრომში ჩვენთვის საინტერესო ტექსტი ძვ. წ. II ათასწლეულითაა დათარიღებული.

უარგინი) ორი, სახელდობრ, უსი და უსიანი, შუა ჰალისის (დღევ. ყიზილ-ირმაკის) მიდამოებში თავსდება⁶⁴.

მუშქების ქვეყნის ადგილმდებარეობის დადგენისას, გარკვეული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ძველბერძენ ავტორთა ცნობებს დიდი ფრიგიის აღმოსავლეთი ოლქების შესახებაც, რადგან სამეცნიერო ლიტერატურაში ძვ. წ. VIII ს-ის ასურული წყაროების „მუშქების ქვეყანას“ ჩვეულებრივ აიგივებენ „დიდ ფრიგიასთან“⁶⁵.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს ჰეროდოტესა და მისი უმცროსი თანამედროვე ქსენოფონტის თხზულებებში დაცული მითითებები. ჰეროდოტეს ცნობით, დიდი ფრიგიის უშუალო მეზობელი აღმოსავლეთიდან კაპადოკია იყო (Herodotus, III, 90, V, 49, 52), ხოლო საზღვარი ამ ორ ქვეყანას შორის მდ. ჰალისზე გადიოდა (Herodotus I, 72). ქსენოფონტის „ანაბასის“ მიხედვით, იკონიონი (დღევ. კონია) დიდი ფრიგიის აღმოსავლეთ საზღვარზე მდებარე ქალაქია (Xenophon, Anab., I, 11, 19), სტრაბონის „გეოგრაფიაში“ შემონახული ერთი ძველი ცნობით კი, თათას ტბა (დღევ. ტუზ-გიოლი) დიდი ფრიგიის მეზობლადაა საძიებელი (Strabo XII, 5, 4).

ქუეს დასავლეთით, ხოლო თაბალიდან დასავლეთითა და სამხრეთ-დასავლეთით მუშქების ქვეყნის ლოკალიზაციას კარგად ეთანხმება ძვ. წ. VIII—VII სს-ის თაბალის მეფე-მთავრების იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების გავრცელების არეალიც.

როგორც აღინიშნა, შუა ჰალისთან მდებარე ტოპადას⁶⁶ მახლობლად მდებარეობდა თუვათის (სალმანასარ III-ის წარწერის თაბალის

⁶⁴ E. Forrer, დასახ. ნაშრ., გვ. 76—77.

⁶⁵ H. Winckler, Die Reiche... გვ. 132 და შმდ.; Em. Forrer, დასახ. ნაშრ. გვ. 77 და შმდ.; G. Bonfante, დასახ. ნაშრ. გვ. 84 და შმდ.; Г. А. Меликишвили, Наирн-Урарту, გვ. 305, 315; მისივე, К истории древней Грузии, გვ. 75; И. М. Дьяконов, Заметки по урартской эпиграфике, II, ЭВ, IV, 1962, გვ. 112; მისივე, Хетты, фригийцы и армяне, ПАС, 1961, გვ. 356—357 და შენ. 40; ნ. ხაზარაძე, ფრიგიის უძველესი ისტორიის ზოგიერთი საკითხი, „კავკასიურ ახლოაღმოსავლური კრებული“, II, თბ., 1962, გვ. 45 და შმდ. და სხვ. დიდი ფრიგიის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით, იხ. ნ. ხაზარაძე, ჰეროდოტე და მატეინების ლოკალიზაციის საკითხი, „მაცნე“ (ისტორიის სერია), № 2, 1971, გვ. 128—130.

⁶⁶ H. Th. Bossert, Die «hethitische» Felsinschrift von Topada, გვ. 145—150; ArOr, VII, № 3, 1935, გვ. 488; შმდ.: I. Gelb, Hittite Hieroglyphic Monuments, № 36, ტაბ. LIII—LIV; P. Meriggi, Manuale Di Eteo Geroglifico, II, I, № 31.

მეფე Tuatt-ის) ⁶⁷ შვილის „დიდი მეფე“ ვასუსარმას (თიგლათფილესერ III-ის წარწერების Uassurme თაბაღელის) ⁶⁸ ქალაქი Perwita (ვარიანტი Barwatas-ი) ⁶⁹. იმავე მეფის საკურთხეველი იდგა ტოპადას ჩრდილო-დასავლეთით. დღევ. სუეასაში ⁷⁰, დღევ. ჩიფლიქის, კაისერისა და სულთანხანის მიდამოებში მდებარე პუნქტები ეკუთვნოდა ვასუსარმას ⁷¹, ხოლო დღევ. კულულუს ადგილას მდებარე ქალაქს თაბალის მეფის ქვეშევრდომები — რღვა და თარხუთინა განაგებდნენ ⁷². ყოველივე ზემოთქმულიდან საშუალება გვეძლევა დავასკვნათ, რომ თაბალი-მუშქების ქვეყნის საზღვარს უნდა გაევიღო დღევ. სულთან-ხან-კაისერი-სუეასა-ტოპადა-ჩიფლიქ-ბორის ხაზზე (შუა ჰალსიდან აღმოსავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით).

თაბალის ჩრდილოეთი საზღვრის ლოკალიზაციისათვის ძველ-აღმოსავლურ წერილებით წყაროებში არავითარ პირდაპირ მითითებას არ ვხვდებით. გ. მელიქიშვილის ვარაუდით, თაბალის სამფ-

⁶⁷ Jorgen Laessoe, დასახ. ნაშრ., გვ. 152 შმდ.; Houwink Ten Cate, დასახ. ნაშრ., გვ. 19 შმდ.; Em. Laroche, Les Hieroglyphs Hittites, № 207.

⁶⁸ R. D. Barnertt, Karatepe, The Key to the Hittite Hieroglyphs, გვ. 92, შმდ.; P. Meriggi Le iscrizioni in eteo geroglyfico del Tabal, გვ. 255; მისივე, Hieroglyphisch Hethitisches Glossar, გვ. 153; შდრ. ArOr, VII, № 3, 1935, გვ. 489. მისივე, Manuale Di Eteo Geroglyfico, P. II. Testi-la SERIE, № 31.

⁶⁹ ამ გეოგრაფიული სახელწოდების წაკითხვასთან დაკავშირებით სხვადასხვა აზრია გამოქმული. ერთნი ამ ტერმინს კითხულობენ როგორც Parmeta (იხ. Ar Or, VII, № 3, 1935, გვ. 491 და შენ. 5), მეორენი როგორც Para—Witx (იხ. I. Gelb, Hittite Hieroglyphs II, გვ. 35), მესამენი — როგორც Parzutawana-ს (იხ. Em. Laroche, დასახ. ნაშრ., გვ. 260; J. Garstang, O. R. Gurney, დასახ. ნაშრ., გვ. 64), სხვები როგორც Barwaita ან Parwata-ს (იხ. R. D. Barnett, დასახ. ნაშრ., გვ. 92; P. Meriggi, Le iscrizioni... გვ. 225, შენიშვ. 2; მისივე, Hieroglyphisch-Hethitisches Glossar, გვ. 96). ზოგიერთი მკვლევარი Barw/ita-Parwa-ს აიგივებს ასურული წყაროების Bit-Buruta-სთან. იხ. R. D. Barnett, დასახ. ნაშრ., გვ. 92; B. Landsberger, Sam'al, გვ. 19 და სხვ.

⁷⁰ ArOr, VII, 9, 1935, გვ. 516 შმდ.; I. Gelb, Hittite Hieroglyphic Monuments, გვ. 19 და სხვ.

⁷¹ ArOr, VII, № 1, 1936, გვ. 1 შმდ.; I. Gelb., დასახ. ნაშრ., № 17, 38, ტაბ. XXXVI—XXXVIII; Houwink Ten Cate, დასახ. ნაშრ., გვ. 20.

⁷² იხ. ზემოთ, თავი I, § 3 და შენ. 47.

ლობელოები კაისერის ჩრდილოეთითაც ვრცელდებოდა⁷³, რაც საეხსებით დასაშვებია.

ამგვარად, მოტანილი მასალების შუქზე, თაბალის ქვეყანა მოსათავსებელია დიდი კაპადოკიის დასავლეთ სექტორში, დღევ. გერუნ-შაპრი-პოზანდიდან (მდ. სეი-ჰანის ზემო დინების) დასავლეთით, დღევ. პოზანდი-ზეივე-ბორი-ჩიფლიკის ხაზიდან ჩრდილოეთითა და ჩრდილო-დასავლეთით. დღევ. სულთანხან-კაისერი-სუვასა-ტოპადადან აღმოსავლეთით (შუა ჰალისიდან აღმოსავლეთით). თუ თაბალის ამგვარ ლოკალიზაციას მივიღებთ, მაშინ მის ირგვლივ მდებარე ქვეყნები ასე იქნება რუკაზე წარმოსადგენი: თაბალის აღმოსავლეთით კამანუ იქნება მოსათავსებელი, სამხრეთ-აღმოსავლეთით — ქუე, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით — ხილაქუ, თუნა, შინუხთუ და თუხანი, ხოლო დასავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან — მუშქების ქვეყანა (ფრიგია)⁴⁴.

როგორც ვხედავთ, ჩვენ მიერ შემოთავაზებული ლოკალიზაცია თაბალისა ეთანხმება ბ. ლანდსბერგერისეულს (იხ. ზემოთ) და მნიშვნელოვნად აზუსტებს მას. ზემოაღნიშნულის შემდეგ საკმაოდ ზოგადად გამოიყენება ლოკალიზაცია, რომლის თანახმადაც თაბალი საძიებელია დიდ კაპადოკიაში. როგორც დავინახეთ, ჩვენთვის საინტერესო ხანაში დიდი კაპადოკიის ტერიტორიაზე თაბალის გარდა მოსათავსებელია კამანუ, ჩრდილოეთი ქუე და სხვ. მთლად ზუსტი არ უნდა იყოს არც ი. დიაკონოვისეული ვარიანტი (იხ. ზემოთ), რადგან იგი არ პასუხობს ძველდამოსავლური წყაროების ყველა იმ მოთხოვნას, რომლებიც გასათვალისწინებელია თაბალის ქვეყნის ადგილმდებარეობის განსაზღვრისას.

⁷³ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 75.

⁷⁴ თაბალის საზღვრების დადგენისას გასათვალისწინებელია აგრეთვე ისიც, რომ ასურულ წყაროებში ეს ქვეყანა საკმაოდ დიდ პოლიტიკურ გავრთიანებადაა წარმოდგენილი. სალმანასარ III-ის ერთ წარწერაში საუბარია „თაბალის 24 მეფეზე“ (ARAB, I, 579 შდრ. 580), ხოლო მეორეში ნახსენებია „თაბალის 20 მეფე“ (ARAB I, 579; Jorgen Laessoe, დასახ. ნაშრ., გვ. 147 და შმდ.) სარგონ II-ის „ანალების“ მონაცემებითაც თაბალი დიდი ქვეყანა იყო (იხ. ARAB, II, 25; АВИИУ, № 46 და სხვ.). იხ. ARAB, II, 25; АВИИУ, № 46 და სხვ.

Tabal ტერმინი და თაბალის მოსახლეობის
ეთნიკური ვინაობის საკითხი

§ 1. Tabal ტერმინისათვის

Tabal (ასურ. *mīṭ Ta-ba-lu*) ტერმინი დიდი ხანია დგას მკვლევართა ყურადღების ცენტრში. სამეცნიერო-ლიტერატურაში ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ფართოდ გავრცელდა მოსაზრება „თუბალ“, „აბალ“, „აუბალ“, „ტიბარენ“ სახელებთან Tabal-ის გაიგივების შე-
სახებ¹. ამასთანავე, რაკი ზოგიერთმა მკვლევარმა სავსებით გაიზიარა იოსებ ფლავიოსის თვალსაზრისი „თუბალ“—„იბერის“ იდენტურობაზე,
Tabal ტერმინი „თუბალ“, „ტიბარენთან“ ერთად „იბერუანა“ და-
კავშირებული აღმოჩნდა². Tabal ტერმინის ლინგვისტური ანალიზი არაერთ მკვლევარს უცდია.

¹ J. Soury, დასახ. ნაშრ., გვ. 909 და შმდ.; H. Gelzer, Kappadokien und seine Bewohner, 1875, გვ. 79 და შმდ.; E. Schrader, Keilinschriften und Geschichtsforschung, 1878, გვ. 155 და შმდ.; H. Kiepert, Manuel de Geographie ancienne, Paris, 1887, გვ. 56 შმდ.; აღნიშნული საკითხის ირგვლივ არსებული ქართული ისტორიოგრაფიის შესახებ იხ. არჩ. ბარამიძე, საქართველოს ძველი ისტორიის (პირველყოფილი-თემური, ანტიკური) საკითხები XIX ს-ის ქართულ ისტორიოგრაფიაში (ხელნაწერის უფლებით), თბ., 1971.

² ქართულ ისტორიოგრაფიაში იოსებ ფლავიოსის ცნობას პირველად თეიმურაზ ბაგრატიონმა მიაქცია ყურადღება იხ. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ. 227; არჩ. ბარამიძე, საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ XIX ს-ის მეორე ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში, „ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები“, ტ. III, 1966, გვ. 133; ბ. იოსელიანი პირველი იყო ქართველ ისტორიკოსთა შორის, რომელმაც გაიზიარა

ქართულ ისტორიოგრაფიაში აღრევე გავრცელდა თვალსაზრისი Tabal-ის დაკავშირების შესახებ „ტიბის“ აღმნიშვნელ ქართველურ სიტყვასთან (საერთო ქართვ. Taba, ქართ. Tba, მეგრ. Toba, ჰან. Tiba, სვან. Tuba)³

ამასთანავე, ქართველი ისტორიკოსები შეეცადნენ Tabal-ის პარალელურ ფორმებში („თუბალ“, „თობელ“, „უბალ“, „აბალ“, „ტიბარენ“, „იბერ“) დადასტურებული ფონეტიკური ხასიათის ცვლილებები ქართველური ენების საშუალებით აეხსნათ.

ივ. ჯავახიშვილი ჩვენთვის საინტერესო Tabal-ს („თაბალ“) კითხულობდა, როგორც Tabal („ტაბალ“). მკვლევარი თვლიდა, რომ Tabal ფორმა ქართველის გამოთქმას შეესატყვისებოდა, Tubal (Tobel) მეგრულ-ჰანურს, ხოლო Tibar სვანურს.⁴ ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ბიბლიის“ ბერძნულ თარგმანში შემოღებული „თობელ“ (Θοβέλ) იმაზე უნდა მიუთითებდეს რომ „ტაბალელების“ სახელწოდება T („თ“)-თავიიდური ბგერითაც გამოითქმებოდა. ჟ-ს გადასვლა ტ-ში კი, ამავე მკვლევარის თანახმად, ქართველური ენებისათვის დამახასიათებელია⁵. რაკი „თ“ ჰ-ს მონაცვლეობას, ერთი მხრით, და „ჰ“-ს გადასვლას „ა“-ში, მეორე მხრით, ივ. ჯავახიშვილი ქართველური ენებისათვის კანონზომიერ მოვლენად თვლიდა, ამიტომ „ჰიბერ“, „ჰაბელ“, „აბალ“, „უბალ“, „იბერ“ ფორმებსაც იგი ქართველური ენების ნიადაგზე წარმოშობილად მიიჩნევდა⁶.

ივ. ჯავახიშვილი „იბერ“ სახელწოდებას ისეთ ტერმინებს უკავშირდება, როგორცაა „ივერი“, „იმერი“, „იმერელი“, იმერთი“. ხოლო „ივერიდან“ მომდინარედ თვლიდა იგი ქართველების აღმნიშვნელ სომხურ სახელწოდებას „ვირჰ“. ამ უკანასკნელიდან გამოჰყავდა მკვლევარს ძველსპარსული „ვრჰან“ („ვრჰან“), ახალსპარსული „გურჰ“, არაბული „გურზ“ და ასურული „გურზან“⁷.

იოსებ ფლავიოსის მოსაზრება თუბალ-იბერის იგივეობის შესახებ და „თობელ“, „ტიბარენ“, „იბერი“ ერთიმეორეს გენეტიკურად დაუკავშირა. იხ. არჩ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, საქართველოს ძველი ისტორიის საკითხები..., გვ. 72—73;

³ დ. ბ ა ქ რ ა ძ ე „ტიბარენ“ სახელწოდებაში „-ენ“ სუფიქსსა და „ტიბარ“-ფუძეს გამოჰყოფდა, რომელსაც ქართულ „ტაბ“-სთან აიგივებდა. ამავე თვალსაზრისზე იღვა მ. ჯანაშვილიც. იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, „შრომები“, III, თბ., 1959, გვ. 67.

⁴ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 394.

⁵ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 394—395.

⁶ იქვე.

⁷ ივ. ჯავახიშვილის თანახმად, „ჰიბერ“, „ჰბერ“ ანუ „ჰივერ“, „ჰვერმა“

როგორც ცნობილია, „თუბალ“, „თაბალ“, „ტიბარენ“, „იბერ“ სახელწოდებათა ურთიერთმიმართებისა და სტრუქტურული ანალიზის საკითხებს ს. ჯანაშიამ სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა.

ჩვენთვის საინტერესო Tabal-ს მკვლევარი taba-ად (ანუ tba-დ) და al-ად ჰყოფდა, რომელსაც იგი წარმოშობის, წარმომავლობის აღმნიშვნელ ქართველურ სუფიქსად თვლიდა. აქედან გამომდინარე, ს. ჯანაშია ფიქრობდა, რომ სწორედ ქართველური ენების მასალაზე დაყრდნობით „ტაბალი“ შეიძლება აიხსნას როგორც „ტბელი, ტბელი, ე. ი. ტბის ანუ ზღვის, მაშასადამე, საერთოდ წყლის კაცი, ხალხი“⁸.

ს. ჯანაშიამ აჩვენა, რომ „თაბალ“, „თუბალ“, „ტიბარენ“ — სახელწოდებებში დადასტურებული ფონეტიკური გადასვლებისათვის ქართველურ ენებში კანონზომიერი საფუძველი არსებობდა, რაც საკუთრივ „ტბა“ სიტყვის ისტორიითაც მტკიცდება. საქმე ისაა, რომ ქართულ „ტბას“, რომელიც საერთო-ქართველური „ტაბა“-დან მომდინარეობს, მეგრულში „ტობა“ შეესატყვისება, კანურში — ტიბა“, ხოლო სვანურში — „ტუბა“ („ტაბა“ შდრ. „თაბალი“, „ტიბარი“; „ტობა“, შდრ. „თუბალი“, „თობელი“; „ტიბა“, შდრ. „ტიბარი“, „ტიბარენი“)⁹.

ს. ჯანაშია ქართველური ენების საშუალებით ხსნიდა „ტიბარენ“ სახელისა და მისი ვარიანტების („ტიბარანი“, „ტაბერენი“, „ტაბარანი“) სტრუქტურასაც. კერძოდ, ზემოთ ჩამოთვლილ სახელებში დამოწმებული „ენ“, „-ან“ სუფიქსებს მკვლევარი სატომო სახელების მაწარმოებელ სუფიქსებად მიიჩნევდა¹⁰.

ქართველების აღმნიშვნელი უცხოური სახელები—ლათინური Hiber („ჰიბერ“), „სომხური“ „(ი) ვირქ“, ძველსპარსული „ვრკან“, ახალსპარსული „გურჯ“, რუსული „გრუზინ“, „გურზინ“, ს. ჯანაშიას დაჰყავდა მისი აზრით, „თაბალ-იდან“ მომდინარე „იბერ“-ფუძემდე. (

სხვა ცვლილებაც განიხილა. თავდაპირველად „პ“-ს შეენაცვლა „გ“. ამ გზით მიღებულ იქნა ტერმინი „გვერ-ი“. ამ უკანასკნელისათვის „ე“-თავსართის მიმატების შედეგად კი წარმოიშვა მეგრელების აღმნიშვნელი სახელი „ეგვერ“-ი, „აგერ“-ი, რომელიც კარგადაა შემონახული სომხურ „ეგერ“, „ეგერაც“-ში და ქართულ „გერის“, „მეგრულ“, „მარგალ“-ში. „გვერ“ ფორმიდანვე უნდა მომდინარეობდეს ისეთი სახელები, როგორცაა „გურია“ და „გურული“, სადაც თავდაპირველი „ვე“ გადასვლილია „უ“-ში (იხ. ივ. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 395).

⁸ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 66—67; შდრ. იქვე, გვ. 68—69.

⁹ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 72—73.

¹⁰ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 59 და შდრ.

ამავე ფუძეს უკავშირებდა მკვლევარი ქართველების აღმნიშვნელ ევროპულ სახელებს— ფრანგულ *Georgien*-ს, ინგლისურ *Georgians* და გერმანულ *Georgier*-საც¹¹.

„ტაბა“, „ტიბა“ ქართველური სიტყვებით *Tabal*-ის ახსნის შექმნის საძლებლობას არც გ. მელიქიშვილი გამოირიცხავს¹². თ. მიქელაძის აზრითაც, ჩვენთვის საინტერესო *Tabal*, „ტიბარენი“ თავისი ვარიანტებითურთ, როგორც სტრუქტურული, ასევე ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, ყველაზე მწყობრად ქართველური ენების საშუალებით აიხსნება¹³.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში *Tabal* ტერმინთან დაკავშირებით სხვა მოსაზრებებიც გამოითქვა.

ჯერ კიდევ 1935 წელს ი. გელბმა ქიულ-თეფეში აღმოჩენილ ერთ „კაპადოკიურ“ ფირფიტაში მოხსენიებული გეოგრაფიული სახელწოდება *Tibira* კითხვის ნიშნით დაუკავშირა *Tabal*, *Tubal*, *Tobel*, *Tober*-ს, ნარამ-სუნენის წარწერაში მოხსენიებულ *Tibar*-სა და „ტიბარენების“ სახელწოდებას. ამავე ავტორმა „კაპადოკიური“ ფირფიტის *Tibira*-სთან ფონეტიკურად იდენტურ სხვა სახელებზეც მიუთითა, კერძოდ, *Tibira*-ზე, რომელსაც შეესატყვისება *URUDU. NAGAR* და ასურულ *tabêru*-ზე, რომელიც თავის მხრივ შუმერულ *Lú libira*-ს უკავშირდება. ი. გელბმა მიუთითა აგრეთვე მესოპოტამიურ სამყაროში ცეცხლთან და სამკედლო საქმიანობასთან დაკავშირებული ღვთაების *Tibal*, *Tibira*-ს სახელწოდებაზეც¹⁴.

ე. პერცფელდი, ისევე როგორც ი. გელბი, თვლიდა რომ *Tabal* დასაკავშირებელია ტიბარების-ტიბარენების სახელწოდებასთან და შუმერულ *Tibira*-სთან, უკეთ კი *Bad. Tibira ki*-სთან (*Bad. URUDU. NAGAR ki*), რომელიც ე. წ. „მეფეთა სიაში“ წარღვნამდე არსებულ ხუთ უძველეს შუმერულ ქალაქს შორის იხსენიება¹⁵.

¹¹ ს. ჯანაშიას აზრით, ქართველების აღმნიშვნელი ევროპული სახელები „იბერ“ ფუძის აღმოსავლური ფორმის აღრინდელი იტალიური ტრანსკრიფციის ნიადაგზეა აღმოცენებული. იხ. ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრ., გვ. 51—58.

¹² Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 76.

¹³ თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, გვ. 293.

¹⁴ I. Gelb, Inscriptions from Alishar and Vicinity, Chicago, Illinois, 1935, II, გვ. 11, 63—64; შდრ.; E. Dhorme, «Syria», XIII, 1932, გვ. 27.

¹⁵ E. Herzfeld, The Persian Empire, Studies in Geography and Ethnography of the Ancient Near East, Wiesbaden, 1968, გვ. 126.

ი. დიაკონოვი მართებულად არ მიიჩნევს „ტბა“ -დან Tabal-ის წარმოშობას, და არც Tabal-„ტიბარენის“ ტერმინოლოგიურ იგივეობას იზიარებს. მისი აზრით, „ტიბარენების“ სახელწოდება შეიცავს ხეთური წყაროების ერთ-ერთი ქასქური ტომის Tipia (Tibia)-ს სახელწოდებას და კავკასიურ ენებში მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელ -ar სუფიქსს ¹⁶ („ტიბარენ“ ტერმინში დადასტურებულ „-ენ-“ ის ილენტიფიკაციის შესახებ ავტორი არაფერს ამბობს).

Tabal ტერმინს უკავშირებდა ე. კვენიაკი ეგოსის წინაპროსთან, ლიდიაში მდებარე Tobalmeura სახელწოდებას. იგი ვარაუდობდა, რომ ჩვენთვის საინტერესო ტერმინი წარმოშობით ძველანატოლიური იყო, და შესაძლოა, მეტალურგიას უკავშირდებოდა ¹⁷.

არსებითად განსხვავებულ სხვა მოსაზრებას Tabal ტერმინის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არ ვხვდებით. ზემომოტანილი მასალების შუქზე ჩვენთვის საინტერესო სახელწოდება უნდა დავუკავშიროთ ან ქართველურ „ტბა“, „ტბა“, „ტობა“, „ტუბა“, „ტიბას“, ანდა აღმოსავლეთ მცირე აზიის უძველესი ტომონიმიკიდან მომდინარე Tibira, Tibar-ს და ფონეტიკურად მასთან ახლომდგომ რიგ ტერმინებს.

Tabal ტერმინის გენეზისის შესახებ გამოთქმულ პირველ ვარაუდს თითქოს უპირატესობა ეკუთვნის. საკმე ისაა, რომ ამ ვარაუდის მომხრეები შეეცადნენ მონათესავე ენების, კერძოდ, ქართველური ენების საშუალებით აეხსნათ არა მარტო ჩვენთვის საინტერესო სახელწოდების ეტიმოლოგია და სტრუქტურა, არამედ ის ფონეტიკური განსხვავებებიც, რომლებიც Tabal-ისა და მისი პარალელური ფორმების („თუბალი“, „თბელი“, „აბალი“, „აუბალი“, „პბელი“, „ტიბარენი“ და სხ.) ურთიერთშედარებისას შეიმჩნევა. მიუხედავად ამისა, ჩვენ ექვიპოტანლად ვერ გავიზიარებთ ამ მოსაზრებას მანამ, სანამ ხელთ არ გვექნება ისეთი მონაცემები, რომლებიც თაბალის სავარაუდო ტერიტორიაზე (ან მის მეზობლად) ქართველური ტომების—ქართვების, ზანებისა (მეგრელ-ჭანების) და სვანების ბინადრობის შესახებ მიგვითითებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში თითქმის შეუძლებელია დავუშვათ, რომ ასურული Tabal ქართული ფორმაა, ძველებრაული Tubal—სვანური, ხოლო ძველი ებრაულიდან ძველ ბერძნულად ნათარგმნ „ბიბლიაში“ დამოწმებული Tobel—მეგრული. ეს მით უმეტეს, რომ მცირე აზიიდან მო-

¹⁶ И. М. Дьяконов, Предыстория армянского народа, гл. 193, 206. II; იხ. აგრეთვე, გვ. 218, 206. 7.

¹⁷ E. Cavagnac, Mushki et Phrygiens, «Journal Asiatique», CCXLI (241), Paris, 1953, გვ. 142.

მდინარე იდენტური გეოგრაფიული სახელწოდებები ასურულსა და ხეთურში, ასურულსა და იეროგლიფურ-ლუვიურში, ასურულსა და ძველ ებრაულში, ძველ ებრაულსა და ძველ ბერძულში ფონეტიკური თვალსაზრისით ხშირად ერთიმეორისაგან არიან განსხვავებული. ამ სახელწოდებებში ხშირადაა დადასტურებული a/e, a/i, a/o, e/i, i/o, u/e და სხვა ხმოვანთა მონაცვლეობა. ასე, მაგალითად, შდრ. ხეთ. Tamalkiia/ასურ. Timilkiia, ხეთ. Tegarma/ასურ. Tilgarimmu, ძველებრძნ. Togorma; ხეთ. Lusanda/ასურ. Lawazantiia; ხეთ. Maldiya/ასურ. Mellddu; ხეთ. Allubrata/ასურ. Illubru; ხეთ. Kummani/ასურ./Kammanu; ან ასურ. Gamir/ძველებრძნ. Gomer; ასურ. Musku/ძველებრძნ) Mešeh და სხვა.

ვერ ვავიზიარებთ Tabal ტერმინის ინტერპრეტაციის იმ ცდასაც, რომლის თანახმადაც ეს სახელწოდება გაგებულა როგორც „ტაბელი, ტბელი, ე. ი. ტბის ანუ ზღვის მაშასადამე, საერთოდ წყლის კაცი, ხალხი“ (იხ. ზემოთ). ამგვარი ინტერპრეტაცია არ ეთანხმება Tabal სახელწოდებაში ასურელების მიერ ნაგულისხმევ შინაარსს, რადგან ასურულ წერილობითწყაროებში *māi Tabalu* არის ქვეყნის (მხარის)¹⁷ აღმნიშვნელი სახელწოდება და არა ხალხისა. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს ტერმინი *tabalāja* ფორმითაა ნახმარი, იგი მაინც არ აღნიშნავს ხალხს¹⁸.

რაც შეეხება ვარაუდს, რომ Tabal დასაკავშირებელია Tibira, Tibar, Bad. Tibiraki სახელწოდებასთან, ამის შესახებ შემდეგი უნდა ითქვას: დასახელებული სახელწოდებები, ისევე როგორც Tabal, გეოგრაფიულ სახელთა რიცხვს განეკუთვნებიან. ამასთანავე, ფონეტიკური სხვაობა, რომელიც Tabal, Tibira, Tibar, Bad. Tibiraki სახელების ურთიერთშეჯერებისას შეიმჩნევა, არ შეიძლება ამ ტერმინების იგივეობის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობდეს (იხ. ზემოთ),

როგორც ზემოთ ითქვა, ი. გელბი URUDU. NAGAR-ის შესატყვის შუმერულ *lū tibira*-ს მიიჩნევს Tibira გეოგრაფიული სახელიდან მომდინარედ. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში შუმერულ *lū tibira*-ს სუბსტრატული, პროტოშუმერული ლექსიკის კუთვნილებ-

¹⁷ И. М. Дьяконов, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 220.

¹⁸ И. М. Дьяконов, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 220, შენ. 79.

²⁰ A. Salonen, *Die Möbel des alten Mesopotamien*, Helsinki, 1963,

ზად მიიჩნევენ²¹. სპეციალისტები ამ ტერმინს ასე თარგმნიან: „სპილენძის მკედელი“ (Kupferschmied, Coppersmith²²), „მეტალურგი“ (Métallurgiste)²³, „მეტალის დამმუშავებელი ხელოსანი“ (Artisan travaillant le métal)²⁴ და სხვ. ასეთივე მნიშვნელობა აქვს შუმერულიდან ნასესხებ ასურულ *tabêru*-საც²⁵. Tibal, Tibira ერქვა ცეცხლთან და სამკედლო საქმიანობასთან დაკავშირებულ ბაბილონურ ღვთაებას²⁶.

მოტანილი მასალების მიხედვით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ „შესაქმეს“ წიგნის IV თავის აეტორიცა და ეზეკიელიც თუბალს (თუბალ-კაინს) მეღითონეობაში დაწინაურებული ხალხის ეთნარქოსად წარმოგვიდგენენ (იხ. ზემოთ), ამავე თვალსაზრისით დიდი ხანია მკვლევართა ყურადღებას იმსახურებს „ბიბლიაში“ დამოწმებული ტერმინი „თუბალ-კაინიც“²⁷. საქმე ისაა, რომ „კაინ“, რომელიც ძველებრათუ ლექსიკას გენეტიკურად არ უკავშირდება, ძველ ებრაულ ენაში „მკედლის“ აღმნიშვნელ სიტყვად იქცა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ხეთურ-ლუვიურ ენებში, მიკენურსა და ბერძულში დადასტურებული „სპილენძის“ აღმნიშვნელი სიტყვის (ხეთ. NA_4 Kunna (n)-, NA_4 Kuwana (n), ლუვ. NA_4 Kunnaisa-tar, მიკენ. Kuwono, ბერძნ. $\chi\alpha\upsilon\sigma\epsilon\varsigma$)²⁸ ფონეტიკური სიახლოვე „თუბალ-კაინის“ ორმაგი სახელის მეორე ნაწილთან- „კაინ“-თანაც. საინტერესოა ისიც, რომ ფონეტიკური თვალსაზრისითვე „კაინ-თან“ ახლო მდგომი, რომაულ-ბიზანტიურ წერილობით წყაროებში დამოწმებული „კაენ“, „კენ“ გვიანანტიკურ ხანაში „ხალიბ“, „ხალდს“ ენაცვლება²⁹, ხოლო მეღითონეობაში

²¹ A. Deimel, Sumerisches Lexikon, II, 2, Roma, 1930, № 132; 18; in tibia შუმერულ ტერმინთან დაკავშირებული ლიტერატურა ქ. შარაშენიძემ მოგვწოდა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

²² A. L. Oppenheim, Catalogue of the Cuneiform Tablets of the Wilberforce Eames Babylonien Collection in the New York Public Library, New Haven, 1948, გვ. 140.

²³ H. Limet, Le travail du métal au pays de Sumer au temps de la III^e dynastie d'Ur, Paris, 1960, გვ. 15, 189.

²⁴ R. Labat, Manuel d'épigraphie akkadienne, Paris, 1963, № 132.

²⁵ I. Gelb, დასახ. ნაშრ., გვ. 11 და შენ. 125.

²⁶ A. Deimel, Pantheon Babylonicum, Roma, 1914, № 3278—3281.

²⁷ თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 296 და შენ. 106.

²⁸ Г. А. Меликшивили, О некоторых наименованиях металлов в древневосточных и кавказских языках, ВДИ, 4, 1968, გვ. 124—125; იქვე იხ. მითება სათანადო ლიტერატურაზეც.

²⁹ თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 291 და შმდ.

ნეობაში ხალიბების, ხალდების დაწინაურება საყოველთაოდაა ცნობილი. დაბოლოს, საგულისხმოა ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ფოლადის ("მაგარი რკინის") აღმნიშვნელ სხვა სახელთა შორის „ტობართინის“ არსებობაც, რომელსაც „ტიბარენ“, „თუბალს“ უკავშირებენ³⁰.

ე. ჰერცფელდის აზრით, ტიბარენების აღმნიშვნელი ტერმინი იასუნიდან სამხრეთით მდებარე დღევ. Diwrigi-ს (ახ. წ. VII-ის წყაროების Tεβριχης-ს) სახელწოდებაშია შემონახული. დღევ. Diwrigi კი მთამადნეულით უმდიდრეს ადგილს წარმოადგენს მთელს ანატოლიაში³¹.

ამგვარად, ირკვევა, რომ Tibira, Tibar, Bad. Tibiraki, ისევე როგორც Tabal-ი გეოგრაფიულ სახელთა რიგს განეკუთვნება. პროტომუმერულში, უმერულსა და ასურულში tibira-დან მომდინარე *lu tibira*, *lu tabêru* „სპილენძის მკედლის“, „მეტალურგის“ აღმნიშვნელი სიტყვაა, ხოლო ბაბილონური ღმერთი *Tibal*, *Tibira* სამკედლო საქმიანობასთანაა დაკავშირებული; თაბალი მელითონეობაში დაწინაურებული ქვეყანაა. *Tabal*-ისა და *Tibira* (*Bad-Tibiraki*) *Tibar*, *Tipal*-სახელწოდებების ფონეტიკური სხვადასხვაობა არ ეწინააღმდეგება ამავე ტერმინების იგივეობას.

როგორც ვხედავთ *Tabal* ტერმინი შეიძლება ზემოდანსახელებულ ტერმინებს დაუკავშირდეს. მაგრამ, ამასთანავე, ვფიქრობთ, რომ ეს ვარაუდი მხოლოდ სამუშაო ჰიპოთეზად დარჩება მანამ, სანამ ხელთ არ გვექნება ისეთი მონაცემები, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ უფრო თვალნათლივ დავინახოთ, თუ რა ურთიერთმიმართებაშია ძვ. წ. II ათასწლეულის წერილობით წყაროებში მოხსენიებული *Tibira*, *Tibar* და პროტომუმერული (ძვ. წ. IV ათასწლ.) *Tibira*, *Tibar* (რომელსაც თავისი მხრით უკავშირდებათ ტერმინები *lu tibira*, *lu tabêru* და ბაბილონური ღვთაების *Tibal*, *Tibira*-ს სახელწოდებებიც). მით უმეტეს, რომ ჭერჭერობით დადგენილი არ არის „კაპადოკიური“ ფიციის *Tibira*-ს ადგილმდებარეობა (წყაროში მხოლოდ ისაა აღნიშნული, რომ ტიბირიდან მოსულ ვინმე ილიბუსათვის, გასამრჯელო გადაუხდიათ, ერთ შემთხვევაში $\frac{1}{3}$ მინა სპილენძი, ხოლო მეორეში—5 მინა)³². ზუსტად არ არის ლოკალიზებული ნარამსუნენის წარწერის *Ti-*

³⁰ თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 320; იქვე იხ. მითითება სათანადო ლიტერატურაზე.

³¹ E. Herzfeld, დასახ. ნაშრ., გვ. 136—127.

³² I. Gelb, დასახ. ნაშრ., გვ. 63, № 58:30.

bar-ი. ე. დორმის ვარაუდით, იგი სირიაშია მოსათავსებელი³³, ხოლო შემერული „მეფეთა სიის“ Bad. Tibira ki -ს მდებარეობა სამხრეთ ერაყში, დღევ. მადაინის ადგილას კარგადაა ცნობილი³⁴.

სადღეისოდ ცნობილი ზოგი მონაცემი საშუალებას იძლევა Tabal ტერმინთან დაკავშირებით სხვა ვარაუდიც გამოითქვას. ამ თვალსაზრისით მცირეაზიური (resp., ხეთურ-ლუვიური) ონომასტიკონი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. კერძოდ, ხეთურ წარწერებში მოხსენიებულია HUR. SAG Ta-pa-la, D.HUR.SAG Ta-pa-la— „თაფალას მთა“, „თაფალას მთის ღვთაება“, რომელიც ფონეტიკური თვალსაზრისით იდენტურია ჩვენთვის საინტერესო Tabal ტერმინისა.

როგორც ხეთური ტექსტების შესწავლიდან ჩანს, თაფალას მთის ღვთაებას გარკვეული ადგილი ეკავა ხეთების რელიგიურ ცხოვრებაში. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ „თაფალას მთა“ და „თაფალას მთის ღვთაება“ (ანუ „თაბალას მთა“, „თაბალას მთის ღვთაება“), როგორც წესი სადღესასწაულო რიტუალები⁽¹⁾სადმი მიძღვნილ ტექსტებში იხსენიება. ასე, მაგალითად, ერთ-ერთ წარწერაში ლაპარაკია ციკანზე, რომელიც თაფალას მთის ღვთაებისათვის შეუწირავთ³⁵. სხვა წარწერებიდან ვიგებთ, რომ თაფალას მთაზე გაზაფხულის დღესასწაული იმართებოდა, რომელსაც ხეთების მეფე და დედოფალი ესწრებოდნენ. ერთი ხეთური ტექსტი გვამცნობს: „(როდესაც) მეფე... თაფალას (მთა(ში)) წავა (...). როდესაც მეფე თაფალას მთა(ს) მიაღწევს, იგი კარავში შე-

³³ E. Dorme, დასახ. ნაშრ., გვ. 28.

³⁴ ზემოთ აღინიშნა, რომ ბად-თიბირა იხსენიება წარღვნამდე არსებულ ხუთ უძველეს შემერულ ქალაქს შორის, ესენია: ერიდუ, ბად-თიბირა, ლარაქი, სიფარი და შურუფაქი. იხ. Th. Jacobson, The Sumerian King List, Chicago, 1939, გვ. 70—76; შდრ., S. Langdon, Historical Inscriptions containing Principally the Chronological Prism, N—B. 444, Oxford, 1923, გვ. 8, სტრ. 1—42; ქალაქი ბად-თიბირა ხშირად იხსენიება მომდევნო ეპოქებშიც, უმეტესად კი ურის III დინასტიისდროინდელ (ქვ. წ. 2132—2024 წწ.) ისტორიული და სამეურნეო ხასიათის დოკუმენტებში. იხ. დ. D. O. Edzard, G. Farber, Die Orts- und Gewässernamen der Zeit der 3. Dynastie von Ur, Wiesbaden, 1974, გვ. 24.

³⁵ ჩვენთვის საინტერესო ხეთური ტექსტების ქართული თარგმანი მოგვაწოდა გრ. გიორგაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ; KUB, XXV, 32, I, 19. თაფალას მთის ღვთაების წარმომავლობის შესახებ უფრო დაწერილებით იხ. Liane Jakob-Rost, Bemerkungen zum «Sänger von Keneš», «Beiträge zur sozialen Struktur des Alten Vorderasiens», I, Berlin, 1971, გვ. 111—115; KUB, XXV, 32, I, 19.

ვა³⁶, ხოლო მეორეში აღნიშნულია: „მეფე (და) დედოფალი სას-
მისს ექვსჯერ (?) სვამენ, თაფალას მთა (...)“³⁷ და ა. შ.

ზემოაღნიშნულთან ერთად საგულისხმოა შემდეგიც. თაფალას
მთის ღვთაება ხშირად „ქანესურად“ მომღერლებთან ერთად
ჩამოთვლილ ღვთაებათა, კერძოდ, კი Aššijazi, Hašameli, Kam-
rušepa, Kalimma, Kuwannanni, Telipinu, Pirwa, ჭიშკრის ღვთა-
ება Salawana, Malija-ს და სხვათა შორის ფიგურირებს³⁸. ეს კი უნდა
ლაპარაკობდეს ხეთურ (ნესიტურ) სამყაროში მის პოპულარობაზე.

ხეთურ (ნესიტურ) სამყაროსთან Tapal/Tabal-ის ორგანულ კავ-
შირზე ისიც უნდა მიუთითებდეს, რომ იგი ხეთურ წყაროებში პირფს
სახელის სახით არის წარმოდგენილი. ასე, რელიგიური ხასიათის ერთ-
ერთ ხეთურ ტექსტში ლაპარაკია რომელიღაც ნივთზე, Tapalaziti-ის
(Ta-pa-la-Lú-ს) ვაჟს მანუცას რომ ეკუთვნოდა³⁹. არანაკლებ საინ-
ტერესოა სამეფო სამზარეულოს რომელიღაც მსახურის აღმნიშვნელი
სახელწოდება Lu tappala-ც, რომელსაც ხეთურ-ლუვიურ წყაროებში
არაერთგზის ვხვდებით⁴⁰. საგულისხმოა [U]RU Ta-pa-la-ḫi-na-ც, რო-
მელიც ერთ ხეთურ ტექსტში იხსენიება (KBo XIV 142 III 17).

რაკი ლუვიურ სამყაროს, ხეთურისაგან განსხვავებით, პროტოხე-
თურის გავლენა არ განუცდია, ამიტომ ჩვენთვის საინტერესო ტერმი-
ნის წარმომავლობის თვალსაზრისით უადრესად დიდი მნიშვნელობა
აქვს იმას, რომ tapala-კომპონენტის სახელები არცაეაშიც (ლუვი-
აშიც) ყოფილა გავრცელებული. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს
ხეთების მეფე მურსილი II-ის „ანალებში“ მოხსენიებული არცაეას
მეფის ძის სახელწოდება Tapala-zunawali/Tapalazunauli⁴¹ და ე. წ.
„თავაგალავას წერილის“ Tapala-Datta (:Da-ba-la-Du-aš). ხეთურ-
ი წყაროს მოწმობით, ასე ერქვა ხეთების მეფის კარზე არცაეაღან

³⁶ KUB, XV, 85, I, 1—6.

³⁷ KUB, XX, 48, VI, II.

³⁸ Li ane Jakob - Rost, დასახ. ნაშრ., გვ. 112—113.

³⁹ KBo XIV, 124, IV, 12.

⁴⁰ KBo, IV, II, 47—48; Em. L a r o c h e, Dictionnaire De la Langue Lo-
uvite, გვ. 90.

⁴¹ A. Goetz e, Die Annalen des Mursilis, 1933, Leipzig, გვ. 60, შმდ.;
ფ. ზომერი Tapalazunauli-ის ლუვიური წარმოშობის სახელწოდებად მიიჩნევს იხ.
F. Som mer, Die Ahhi java-Urkunden, München, 1932, გვ. 189, 310 შმდ.
შისივე, Ahhijavafrage und Sprachwissenschaft, München, 1934, გვ. 57,
იხ. Em. Laroche, Recueil d'onomastique hittite, № 676, 677.

გამოგზავნილ Lú KARTAPPU-ს⁴², ე. ი. საბრძოლო ეტლის მტარებელს.

ლუვიური ონომასტიკონისადმი ჩვენთვის საინტერესო ტერმინის კუთვნილების სასარგებლოდ ისიც ლაპარაკობს, რომ Tapala/Tabala-სთან ახლო მდგომი სახელწოდებები ლილიაშია დამოწმებული. ასე, ჰიეროკლე იხსენიებს ლილიაში მდებარე ქალაქ Tápαλα-ს⁴³. ჰეროდოტეს თანახმად კი, Tápαλις-ი ერქვა ლიდიის ერთ-ერთ სატრაპს, რომელიც კროდოსისა და კიროსის თანამედროვე ყოფილა⁴⁴. საგულისხმოა ისიც, რომ ზოგიერთი მკვლევრის აზრით, Tabal ტერმინთან უნდა იყოს დაკავშირებული ლიკიური Tabeirenoi, კარიული ტომონიმები: Tabai, Thēbe, τὰβὰ πετρα და ისავრიული Tabeis, Tabēs-ი⁴⁵.

გამორიცხული არ არის ვარაუდი, რომ Tapal/Tabal-ძირიან სახელებს განეკუთვნება აგრეთვე თაბალისათვის ნავარაუდვეი ტერიტორიის მეზობელ მხარეში, დევე. ელბისტანის მიდამოებში ლოკალიზებული Tamalki/Timilki (Tamalkiia/Timilkiia), რომელიც არაერთხელ არის მოხსენიებული „კაპადოკიურ“ ფირფიტებსა და ხეთურ წერილობით წყაროებში. თუ Tamalki სახელწოდება ნამდვილად შედგება Tamal ძირისაგან და გეოგრაფიული სახელების მაწარმოებელი ki (-kija) სუფიქსისაგან, მაშინ Tamal -ის დაკავშირება Tabal-თან დიდ სიძნელეს აღარ წარმოადგენს. Tapal, Tabal-სა და Tamal-ს შორის არსებული ფონეტიკური სხვაობა ამ ფუძეების იდენტურობის საწინააღმდეგოდ არ ლაპარაკობს, რადგან p/m მონაცვლეობა მცირეაზიური წარმომავლობის ერთსა და იმავე ტომონიმებში არაერთგზისაა დადასტურებული. ასე, მაგალითად, შდრ. Hakumišša / Hakupišša, Takumitta/ Takupitta⁴⁶ და ა. შ.

⁴² KUB XIV, 3, 38; II, 58, 59; F. Sommer, Die *Akkijava-Urkunden*, 10—211, 129, 438.

⁴³ Pape, s. v. Tápαλα.

⁴⁴ Herodotus, I, 153, 154, 161, შდრ. Paus, VII, 2, 10.

⁴⁵ Al. Laumonier, *Les Cultes Indigenes en Carie*, Paris, 1958, გვ. 512, 678.

⁴⁶ P. Garelli, *Les Assyriens en Cappadoce*, Paris, 1963, გვ. 109 და შდრ. I. Gelb., დასახ. ნაშრ. გვ. 13, შდრ.; И. М. Дьяконов, *Законы Вавилонии, Ассирии и Хеттского царства*, ВДИ, № 1, 1952, გვ. 266; К्लीонисные тексты из Кюль-тепе в собраниях СССР (Письма и документы торгового объединения в Малой Азии XIX в. до н. э.), М., 1968, 64:8; 74:X+3; გვ. 180 და სხვ.; Г. Гюргадзе, ПАС, გვ. 208, და შგნ. 186.

ამგვარად, ჩვენ მიერ განხილული ახალი ფაქტობრივი მასალა საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ Tabal მცირეაზიური, ადგილობრივი წარმოშობის სახელია. მართალია, ჯერჯერობით არ ხერხდება ამ ტერმინის ეტიმოლოგიის მოძებნა, მაგრამ იმის გამო, რომ Tabala-Tapala სიტყვები გავრცელებული იყო ხეთებით, ლუვიელებით, ლიკიელებით, ლიდეელებითა და პამფილიელებით დასახლებულ ტერიტორიაზე, ჩვენთვის საინტერესო სახელწოდება შეიძლება მივიჩნიოთ ხეთურ-ლუვიურ სამყაროდან მომდინარედ. ამასთან დაკავშირებით ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ თაბალის ქვეყანაში ნაპოვნი წერილობითი ძეგლები შედგენილია ინდოევროპული ენების ანატოლიურ (ხეთურ-ლუვიურ) ჯგუფში შემაჯალ იეროგლიფურ-ლუვიურ ენაზე. (როგორც აღინიშნა, ამ ქვეჯგუფში იეროგლიფურ-ლუვიურ და ლერსმულ-ლუვიურთან ერთად შედიან ლიკიური A და B, პისიდიური, ლიკონური და სიდეტური); სადღეისოდ ცნობილი თაბალური ონომასტიკონი და ლეთაებათა პანთეონი ხეთურ-ლუვიურია, ხოლო ჩვენთვის საინტერესო თაბალისათვის ნავარაუდები ტერიტორია ხეთურ-ლუვიური ტომების გავრცელების არეალში იყო მოთავსებული (იხ. ქვემოთ).

§ 2. თაბალის მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის

თაბალის მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების საკითხის შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ჯერ კიდევ იოსებ ფლავიოსმა, I ს-ის ებრაელმა ავტორმა სცადა ბიბლიური „თობელი“ — თობელელთა ანუ თაბალის მოსახლეობის ეთნოგრაფიის, გენეტიკურად ქართულ სამყაროსთან დაეკავშირებინა. იგი წერდა: „თობელმა დააფუძნა თობელები, რომლებსაც ახლა იბერები ეწოდებათ“⁴⁷.

თობელ-იბერის იგივეობის ფლავიოსისეული თეორია გვიანდელი ხანის ავტორებმაც გაიზიარეს. ასე, მაგალითად, ევსტათი ანტოქელის (დაახლ. 280—360 წწ.) გადმოცემით, ნოეს სამი ვაჟის (სემის, ქამისა და იაფეტის) შთამომავალთა შორის იყო „ობელი, რომლისგანაც არიან თეობელები, დღეს რომ იბერები ეწოდებათ“, ხოლო ეპისკოპოს თეოდორიტეს (390—457 წწ.) ცნობით,

⁴⁷ „გეორგიკა“, I, გვ. 271.

ესაა ფუდს უწოდებს ლიკიელებს, ლუდს — ლიდელებს, მო-
 ზოქს — კაპადოკიელებს, ხოლო თობელს — იბერებს. XI ს-ის
 ქრონოგრაფოსი, ლეონ გრამატიკოსი იაფეთის მოღვმის აღწერი-
 სას აღნიშნავს, რომ თობელისაგან მომდინარეობენ თობელები,
 რომლებაც ახლა იბერები ეწოდებოდათ⁴⁸. XI ს-ის დასასრულისა
 და XII ს-ის პირველი ნახევრის ისტორიკოსის იოანე ზონარას
 აზრით კი, იაფეთის შვილების მიხედვით „წოდებულ იქნენ ხალხე-
 ბი... მაგოგისაგან — მაგოგნი, ამჟამად სკვითებად წოდებულნი,
 იობისაგან — იონები და ყველა ელინნი არიან სახელდებულნი, მა-
 დაისაგან — მადელნი, რომელთაც ახლა მიდიელები ჰქვიათ, თო-
 ბელისაგან — თობელნი დაერქვათ, ესენი იბერები არიან“⁴⁹.

იოსებ ფლავიოსის თვალსაზრისის მიმდევართა რიცხვი შეგვეძ-
 ლო გაგვეზარდა, მაგრამ ზემომოტანილიც საკმარისია იმისათვის,
 რომ წარმოვიდგინოთ, თუ რამდენად პოპულარული იყო საუკუ-
 ნეთა მანძილზე იდეა თობელ-იბერის იგივეობის შესახებ.

XIX საუკუნეში ევროპულსა და ქართულ ისტორიულ ლიტე-
 რატურაში ფართოდ გავრცელდა თვალსაზრისი თაბალის მოსა-
 ხლეობის ქართული წარმომავლობის შესახებ: თაბალები მუშ-
 ქებთან და ქასქებთან ერთად, ქართველთა წინაპრებად იქნენ
 გამოცხადებული⁵⁰.

როგორც დავინახეთ, ივ. ჯავახიშვილი შეეცადა „თაბალ“
 ტერმინი და მისი პარალელური ფორმები — „თობელ“, „მაბალ“,
 „აუბალ“, „თუბალ-კაინ“ და სხვა ქართველური ენების საშუალე-
 ბით აეხსნა. იგი თვლიდა, რომ „თაბალ“, „თობელ“, „მაბალ“,
 „აუბალ“ და ა. შ. ქართველთა სატომო სახელებს წარმოადგენ-
 და⁵¹. ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე თაბალების

⁴⁸ „გეოგოგია“, I, გვ. 34. საგულისხმოა, რომ ეესტათი ანტიოქელის თხზუ-
 ლების პირველი გამომცემელი ლეო ალაციუსი (XVII ს.) არა მარტო უთითებს
 ეესტათის თხზულების ჩვენთვის საინტერესო ადგილის ლიტერატურულ წყაროზე,
 იოსებ ფლავიოსის ნაშრომზე, არამედ ასეთ კომენტარსაც ურთავს მას: „იბერთა ხალ-
 ხები აზიაში იყვნენ ხალიბთა ტომის მუზობლად და იქვე ლითონის საბადოებს ამუშა-
 ვებდნენ. ეუხეიელიც ჩრდილოეთით ათავსებს თუბალს“ (იხ. „გეოგოგია“, I,
 გვ. 34, შენ. 2). ВДИ, № 3, 1948, გვ. 293, „გეოგოგია“, V, გვ. 3—4.

⁴⁹ „გეოგოგია“, VI, გვ. 182, 191.

⁵⁰ მითითება საკითხის ირგვლივ არსებულ ლიტერატურაზე, იხ. თავი III, § 1,
 შენიშვ. 1—3.

⁵¹ აღნიშნულთან ერთად, ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია იმასაც, რომ ყა-
 ბარდოელები მეგრელებს „ტოლას“ ეძახდნენ, ლუნძები კუმუხ-ლეკებს — „თუმალს“

გადმოსახლებას ივ. ჯავახიშვილი, ქართველ ტომთა ამოძრავების მეორე „ტალღას“ უკავშირდება. მისი აზრით, თაბალელებს აფხაზები და მესხები ჩრდილოეთით გადაუადგილებიათ, ხოლო თვითონ ლაზების, ქანებისა და იბერების სახელით აფხაზებისა და მესხების ადრე კუთვნილი ტერიტორია დაუსაკუთრებიათ⁵².

თავის გვიანდელ ნაშრომებში⁵³ ივ. ჯავახიშვილი კვლავ დაუბრუნდა ჩვენთვის საინტერესოსაკითხს. საქმე ისაა, რომ XX ს-ის 20-30-იან წლებში ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ გავრცელდა მოსაზრება მუსქებისა და თაბალელების ინდოევროპული წარმომავლობის შესახებ. სწორედ ამასთან დაკავშირებით წერდა ივ. ჯავახიშვილი: «...исчезло все, на что опиралось построение истории Грузии древнейшей эпохи. Ведь если признать что табалы и мушки индоевропейцы, то связывать их с грузинскими племенами, с иберами и месхами, никак нельзя, и в связи с этим пришлось бы заново пересмотреть весь вопрос как о племенном и языковом родстве так и о происхождении и истории древнейшего периода грузинских племен»⁵⁴.

როგორც ცნობილია⁵⁵, ქართველი ხალხის წარმომავლობის საკითხის შესწავლის ამ ახალ ეტაპზე ივ. ჯავახიშვილი ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხი ჩრდილოკავკასიური ტომების ეთნოგენეზისის საკითხს დაუკავშირა. ერთი მხრივ, ქართული და ჩრდილოკავკასიური (სკვითურ-სარმატული), ხოლო მეორე მხრივ, მცირე და წინააზიური ეთნონიმებისა და ტომონიმების შესწავლამ ივ. ჯავახიშვილი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მონათესავე ქართული, ქართველური და სკვითურ-სარმატული ტომები (resp.,

და თვით ლუნძები ყველა მთიელსა და მათ შორის თავიანთ თავსაც „პობოლალ“-ს უწოდებდნენ. „ტოოლა“-ს „თუმალ“-ს „პობოლალ“-ს ივ. ჯავახიშვილი თობელ-პიბერის ფონეტიკურ სახესჯეობად მიიჩნევდა. იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, I, გვ. 51 და შენ. I.

⁵² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, გვ. 401.

⁵³ ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველობუნება და ნათესაობა, 1937; მისივე, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემები, თბ., 1950, გვ. 227 და შმდ.

⁵⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, გვ. 227—228.

⁵⁵ გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 23, და შმდ.

აფხაზ-ადიღეური და ჩაჩნურ-დალესტნური) სამხრეთიდან უნდა იყვნენ მოსული თავის გვიანდელ მიწა-წყალზე და რომ თუბალ-თობელები და მოსოხ-მუშქები არ შეიძლებოდა ინდოევროპელები ყოფილიყვნენ⁵⁶.

ს. ჯანაშიას კავკასიის იბერების წინაპრების თუბალ-თაბალის ისტორია ქართველი ტომების განვითარების ერთ-ერთ ეტაპად ჰქონდა წარმოდგენილი. მისი აზრით, სწორედ „თაბალ-თუბალური ხანის ეთნიკურ-კულტურული შინაარსის მეშვეობით, კერძოდ. თვით ტერმინის თაბალ-თუბალის გზით, შესაძლებელია ავიდეთ ევრო აღმოსავლეთ საფეხურამდე — სუბარ-შუმერამდე“⁵⁷.

გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ „არ უნდა იყოს სწორი დასავლეთში გავრცელებული ტენდენცია, რომ აღმოსავლეთ მცირე აზია ძირითადად ხეთურ-იეროგლიფურ (ლუვიურ) ტომთა სამკვიდროდ გამოაცხადონ (პროტოხეთებთან ერთად), რომ ხეთურ-იეროგლიფური აქ გარკვეულ ხანაში ურთიერთობის, მწერლობის ენის როლს ასრულებდა და რომ აქ სხვებთან ერთად ქართველური და სხვა კავკასიური ტომების არსებობაცაა საგულვებელი“⁵⁸.

გ. მელიქიშვილი, ისევე როგორც მისი წინამორბედი ისტორიკოსები, შესაძლებლად თვლის თაბალების დაკავშირებას ტიბარენებთან. იგი წერს: «...обращает на себя внимание то обстоятельство, что территория табалов непосредственно примыкала с юга к территории засвидетельствованных несколько позже, в античную эпоху, тибаренов. Явное сходство названий (იგულისხმება „თაბალი“ „ტიბარენი“ - ბ. ს.), а также употребление названия тибаренов в античной литературе в качестве обозначения довольно крупной этнической группы («тибаренские народности» Страбона, «Тибарения, Санника, Колхида, Лазика у Анонима V в. н. т. д.) позволяет связать тибаренов и табалов»⁵⁹ გ. მელიქიშვილი საგანგებოდ

⁵⁶ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, გვ. 250.

⁵⁷ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, გვ. 74. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „საქართველოს ისტორიის“ პირველ სახელმძღვანელოში თუბალები მუშქებთან ერთად ხეთურ-სუბარულ ტომებადაა წარმოდგენილი, რაც სავსებით ბუნებრივად გამომდინარეობდა ქართველი ხალხის წარმომავლობის ს. ჯანაშიასეული კონცეფციიდან. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, ს. ჯანაშიას რედაქციით, თბ., 1948, გვ. 35—36.

⁵⁸ გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, გვ. 25.

⁵⁹ Г. А. М е л и к и ш в и л и, К истории древней Грузии, გვ. 76.

ილნიშნავს, რომ შესაძლოა ლაპარაკი ტიბარენულ-თაბალურ ტომებზე მაგრამ მათ ეთნიკურ იდენტურობაზე რამის გადაჭრით თქმა ჭირს. მკვლევრის აზრით, გამორიცხული არ არის, რომ ჩვენს წინაშე იყოს კრებიითი სახელწოდება, რომელშიც სრულიად სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ტომები იგულისხმებოდეს. ზოგი მონაცემი საშუალებას აძლევს გ. მელიქიშვილს ტიბარენ-თაბალელების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად მაინც ქართველური, სახელდობრ კი, დასავლურ-ქართული (მევრულ-ქანური) ტომები ივარაუდოს. ამ თვალსაზრისით იგი შემდეგს ითვალისწინებს: გვიანდელი ტიბარენები უშუალოდ ემეზობლებოდნენ დასავლურ-ქართული (resp., ქანური) წარმომავლობის ტომებს. ამავე დროს, მათი სახელწოდება ქართველური ენების საშუალებით იხსნება („ტაბა“, ტობა“, „ტბა“) ⁶⁰.

თაბალის მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების საკითხის განხილვისას გ. მელიქიშვილი არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს ურარტუს მეფე რუსა II-ის წარწერას ადილჯევაზიდან⁶¹, რომელშიც, როგორც ცნობილია, ხათეს, მუშქებისა და ხალიტუს ქვეყნებია მოხსენიებული. რაკი, გ. მელიქიშვილის აზრით, აღნიშნული წარწერების „ხათეში“ ჩრდილოეთ სირია და სამხრეთ-აღმოსავლეთ მცირე აზია იგულისხმება, ხოლო მუშქების ქვეყანაში — ფრიგიის სამეფო, ამიტომ ხალიტუც რომელიღაც დიდი პოლიტიკური ერთეულის სახელწოდება უნდა იყოს. ამ რაიონში ასეთ პოლიტიკურ ერთეულად ასურელები თაბალს ასახელებენ⁶². აქედან გამომდინარე, გ. მელიქიშვილი ფიქრობს, რომ ურარტულ წერილობით ძეგლში ადილჯევაზიდან ხალიტუს სახელში თაბალ-იგულისხმება, ხოლო რადგან ხალიტუ („ხალთიქ“, „ხალდები“) დასავლურ-ქართულ სამყაროს უკავშირდება, ამიტომ თაბალის მოსახლეობის ერთი ნაწილის დაკავშირებას ამ სამყაროსთან რელიური საფუძველი ეძებნება⁶³.

1961 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „აღმოსავლეთ მცირე აზიის უძველესი ეთნონიმიკის შესწავლისათვის“⁶⁴ გ. მელიქი-

⁶⁰ იქვე, გვ. 76—77.

⁶¹ რუსა II-ს წარწერა ადილჯევაზიდან ძე. წ. VII ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება. იხ. Г. А. Меликишвили, Урартские клинообразные надписи, М., 1950, № 276, გვ. 341—342.

⁶² ცნობილია, რომ ხალიტუს სახელი ასურულ წერილობით წყაროებში არ გვხვდება, ხოლო ურარტული წარწერებისათვის უცნობია სახელწოდება „თაბალი“.

⁶³ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 76—77.

⁶⁴ „საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე“, 3, 1961, გვ. 87 და

შვილმა „თაბალ“-ის სინონიმებად მიიჩნია, ერთი მხრივ, ჰომეროსისეული „ალიძონ“-ი, ხოლო მეორე მხრივ, ხალიბების აღმნიშვნელი სხვა სახელები. ავტორი წერდა: „მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში დიდი ერთეულის სახით ძვ. წ. IX—VII საუკუნეებში მაინც ზოგიერთ მეზობელ ხალხში წარმოდგინებოდა (3)ალიძონ(6)ი (ჰომეროსის „ალიძონ“, ურარტ. „ხალიტუ“, გვიანდელი „ხალდი“), რაც იმავე ხანის ასურულ (და ძველებრაულ) წყაროებში ამ მხარის მიმართ დამოწმებულ ასევე მრავალს მომცველ თაბალ-თუბალს უნდა ფარავდეს“⁶⁵.

თაბალის დასაკავშირებლად „ალიძონ“ — „ჰალიძონ“, „ხალიბთან“ გ. მელიქიშვილი სხვადასხვა წყაროების მონაცემებს ეყრდნობა. ასე, მაგალითად, რაკი ილიადასეული ლოკალიზაციით ჰალიძონები „ვერცხლის ქვეყანაში“ ცხოვრობდნენ, გ. მელიქიშვილი ყურადღებას აქცევს ძველადმოსავლური (ასურული, ძველებრაული) წყაროების ცნობებს ვერცხლით მდიდარი ქვეყნის შესახებ. წყაროების ურთიერთშეჯერების შედეგად ავტორი აღგენს, რომ მახლობელ აღმოსავლეთში უძველესი ხანებიდანვე არსებობდა წარმოდგენა, რომლის თანახმად, „ვერცხლის სამშობლო“ ტავროსის მთიანეთში მდებარეობდა, სწორედ იმ მთებში, რომლის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთებთან ჩვენთვის საინტერესო თაბალის მიწა-წყალი იწყებოდა⁶⁶.

იმავე ძველადმოსავლურ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, გ. მელიქიშვილი შეეცადა დაედგინა რკინის მეტალურგიით განთქმული ხალიბების ადგილსამყოფელიც. ზოგი არაპირდაპირი ხასიათის ცნობისა და „ბიბლიის“ მონაცემებიდან გამომდინარე, მკვლევარი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „რკინის სამშობლოც“, ისევე როგორც ვერცხლისა, თაბალის ტერიტორიაზეა მოსათავსებელი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მკვლევარი რამდენიმე ჰიპოთეზური ხასიათის მოსაზრებას გამოთქვამს. იგი წერს: „თუკი შეიძლება, რომ ჰომეროსისეული ალიბე (შემდგომში, ეგებ ჯაქსჰ („ფოლადი“) „ტერმინთან ასოციაციის შედეგად „ხალიბ“-ად გარდაქმნილი) „თაბალ“ „თუბალის“ მოდიფიკაცია იყოს (თუბალ > უბალ > ალუბ), მაშინ ბუნებრივი ჩანს, რომ ბერძნებამდე ამ მხარის ორივე გავრცელებულ სახელს („ჰალიბოსა“ და „თაბალ“, „ალიბს“)

⁶⁵ გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., ვ. 114.

⁶⁶ გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 102—103.

მიელწია“. მაგრამ აქვე გ. მელიქიშვილი სხვა შესაძლებლობასაც არ გამორიცხავს. მისი აზრით, თუკი გაირკვა, რომ „ალიბე“-„ხალიბს“ არავითარი კავშირი არა აქვს „თაბალთან“, მაშინ საჭირო იქნება „ალიბე“-„ხალიბ“-ს მცირეაზიური პროტოტიპები მოეძებნოს. მკვლევარები (მაგალითად, ფ. ბილაბელი) „ხალიბ“-„ხალიტუს“ შესაძლებელ პროტოტიპად ხეთური წერილობითი წყაროების იშუვას დასავლეთითი მდებარე Haliwa მთის სახელს მიიჩნევენ. გ. მელიქიშვილის აზრით კი, გამორიცხული არ არის, რომ „ხალიბ“ ტერმინის პროტოტიპი „ხათი“ იყოს (1-ს გადასვლა 1-ში მცირეაზიური ენებისათვის უცხო არ არის, ხოლო -ib მკვლევრის აზრით, შესაძლოა, რომელიმე მცირეაზიური სუფიქსის ნაკვალევი იყოს (hati-ib, hall-ib, halib)⁶⁷.

ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის მონაცემების გათვალისწინებით, ი. დიაკონოვი ძნელად მისაღებად მიიჩნევს თაბალის გაიგივებას ურარტული წყაროების ხალიტუსთან. ი. დიაკონოვის თვალსაზრისის თანახმად, თაბალის მოსახლეობის ძირითად ნაწილს ლუვიელები შეადგენდნენ, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ ამ ქვეყანაში თრაკიულ-ფრიგიული და ქართველური წარმოშობის ტომებსაც ეცხოვრათ⁶⁸.

ახალ უცხოურ სპეციალურ ლიტერატურაში თაბალებს, როგორც წესი, ტიბარენებთან აიგივებენ⁶⁹. მათი ეთნიკური კუთვნილების შესახებ კი სხვადასხვა მოსაზრებას გამოთქვამენ. როგორც აღვნიშნეთ, ზოგი მკვლევარი თაბალის მოსახლეობას ლუვიურ ეთნიკურ სამყაროს უკავშირებს (ამოსავალს ამ მოსაზრებისათვის თაბალის ტერიტორიაზე ლუვიური (იეროგლიფურ-ლუვიური) ენისა და კულტურის გავრცელება წარმოადგენს). რ. ბარნეტის თანახმად კი, თაბალები, მუშქებთან ერთად, იგივე ფრიგიელებია, უკეთ კი ამ უკანასკნელთა აღმოსავლურ განშტოებას წარმოადგენდნენ⁷⁰.

⁶⁷ გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 109.

⁶⁸ И. М. Дьяконов, Предыстория армянского народа, გვ. 193, შენ. II.

⁶⁹ R. D. Barnett, Phrygia and the Peoples of Anatolia in the Iron Age, CAH, Cambridge, 1967, გვ. 6, 8; P. Meriggi, Le iscrizioni in eteo geroglifico del Tabal (Tubal), გვ. 225 და სხვა.

⁷⁰ R. D. Barnett, დასახ. ნაშრ., გვ. 3, 13; შდრ. R. D. Barnett, M. Falkner, The Sculptures of Assur-naṣi-Apli III (883—859 BC.); Tiglath-Pileser III (745—727 B. C.), Esarhaddon (681—688 B. C.) from the Central and Southwest Palaces at Nimrud, გვ. XX.

ამა თუ იმ, ე. წ. „მკვდარი ხალხის“ ეთნიკური კუთვნილების დადგენისას, ახალ სამეცნიერო ლიტერატურაში სამი ძირითადი ფაქტორის ერთობას ითვალისწინებენ: ხალხის, ეთნოსის ფიზიკურ-ბიოლოგიურ აღნაგობას, მის ენას და კულტურას⁷¹.

ძვ. წ. I ათასწლეულის აღმოსავლეთ მცირე აზიის მოსახლეობის ანთროპოლოგიის შეუსწავლებლობის გამო, ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით თაბალსა და მის მეზობელ მხარეებში მცხოვრები ტომების ფიზიკურ-ბიოლოგიური აღნაგობის შესახებ.

უფრო მეტი მონაცემები მოგვეპოვება თაბალისა და მისი მეზობელი ოლქების მოსახლეობის ენობრივი და კულტურული კუთვნილების წარმოსადგენად.

თაბალი და მისი მეზობელი ქვეყნები — თუხანი — თუვანუცა, ქუე, კამანუ — მელიდუ, კარხემიში და სხვ. იეროგლიფურ-ლუვიური ენისა და დამწერლობის გავრცელების არეალს წარმოადგენდნენ (იხ. ზემოთ). ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან ამ ბოლო დრომდე ძვ. წ. X—VIII საუკუნეების იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები აღმოჩენილია როგორც თაბალურ პუნქტებში (ტოპადაში, სუვასაში, ჩიფლიკში, ელრიქოიში, ელრეკში, სულთან-ხანში, კულულუში, თეკირდერბენტში, ბოლჩასა და ერკილეთში), ასევე თაბალის სამხრეთითა და აღმოსავლეთით მდებარე რეგიონში (ველისა, ანდავალი, ბორი, ნილდე, პორსუკი, ბულდარმადენი, ივრიზი, გურუნი, მალატია, ქარხემიში, გაზიანთეფე და სხვ.)⁷².

⁷¹ Н. И. Кушнер, Этнические территории и этнические границы, М., 1951, гл. 6; Н. Н. Чебоксаров, Проблемы типологии этнических общностей в трудах советских ученых, СЭ, 4, 1967, гл. 5; Н. Н. Чебоксаров, И. А. Чебоксарова, Народы, расы, культуры, М., 1971, гл. 12; В. И. Козлов, О понятии этнической общности, СЭ, 2, 1967, гл. 26; А. Н. Гумилев, О термине «этнос», Доклады отделений и комиссий Географического общества СССР, Л., 1967, вып. 3; И. М. Дьяконов, Восточный Иран до Кира, «История иранского государства и культуры», М., 1971, гл. 123 შმდ.; მისივე, Предыстория армянского народа, гл. 7—9 და სხვ. ეთნოგენეზის საკითხის ირგვლივ არსებულ ლიტერატურის ერთი ნაწილი მ. გეგშიძემ მოგვაწოდა. მანვე საშუალება მოგვცა დედანში გაცენობლით ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე მის მიერ წაკითხული მოხსენების („ეთნოსი, ეთნიკური კულტურა, ეთნოგრაფია“) ხელნაწერს. ყოველივე ამისათვის მას მადლობას მოვახსენებთ.

⁷² P. Meriggi, დასახ. ნაშრ. Parte II, Tavole-2eE 3a SERIE, ROMA, 1975, об. გეოგრაფიული რუკა.

საგულისხმო ისაა, რომ როგორც საკუთრივ თაბალისათვის ნავარაუდევ ტერიტორიაზე მდებარე პუნქტებში (სუვასაში, ქიულ-ფეფე II—III-ში, ფირაქტინში⁷³), ასევე მასთან ახლომდებარე მხარეებში ნაპოვნია იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო ხანის (ძვ. წ. X—VIII სს.) წინარე პერიოდით (ძვ. წ. XIV—X სს.) თარიღდება. ეს გარემოება იმაზე ლაპარაკობს, რომ თაბალის ტერიტორიაზე იეროგლიფურ-ლუვიურ ჯამწერლობასა და ენას განვითარების ხანგრძლივი ისტორია ჰქონია.

ლუვიურ სამყაროსთან თაბალის მოსახლეობის ეთნო-კულტურულ სიახლოვეზე თაბალური ონომასტიკონიც უნდა ლაპარაკობდეს. როგორც ზემოთ დავინახეთ, იეროგლიფურ-ლუვიური და ასურული წყაროების Wasusarma (Uassurme), Tuwati (Tuatti), Tarhutinna, Tata, Nana, Ruwa გენეტიკურადაა დაკავშირებული იეროგლიფურ-ლუვიურ ენასთან. ამავე წარმომავლობისაა სადღეისოდ ცნობილი თაბალური სხვა საკუთარი სახელებიც, სახელდობრ, Huḫsar(ru)ma, Astiwasu (ერკილეთი I-II), Tarḫuwara, Tarḫuirma (ელრეკი)⁷⁴ და სხვა.

Huḫsar (ru) ma, Tarḫuwara, Tarḫuirma -ს მსგავს იეროგლიფურ-ლუვიურ თეოფორულ სახელწოდებებზე ზემოთ გვქონდა საუბარი. Astiwasus-თან დაკავშირებით, შეგძლევი უნდა აღინიშნოს. Astiwasu იეროგლიფურ-ლუვიური ლექსიკიდან მომდინარე ორი სიტყვისაგან შედგება. Asti-ს პ. მერიჯი აიგივებს atis-თან და მას თარგმნის როგორც «სახე», «გამოსახულება», ხოლო «Wasus»-ს იგი თარგმნის როგორც «კეთილი», «კეთილდღეობა»⁷⁵. Asti- და Wasu-კომპონენტისი სახელები მცირე აზიაში საკმაოდ პოპულარული ყოფილა. ხეთურ-ლუვიურ წარწერებში იხსენიებიან: Astiruwa, Asti-Tarḫui, Astiwamu, Halpawasu, Tarḫuwasu, Aliwasu და სხვა. საგულისხმო ისაა, რომ თაბალურ ონომასტიკონში დადასტურებული ვასურმე, რომელიც შესაძლოა, თაბალის მეფეების დინასტიური სახელწოდებაც ყოფილიყო, სუვასაში აღმოჩენილ წარწერაშია დადასტურებული. ეს უკანასკნელი კი ძვ. წ. II ათასწლეულით თარიღდება.

⁷³ P. Merriggi, დასახ. ნაშრ., II, III, 36, 37, 83;

⁷⁴ P. Meriggi, დასახ. ნაშრ., II, I, №№ 3, 4, 68.

⁷⁵ P. Meriggi, Hieroglyphisch — Hethitisches Glossar, გვ. 38,

წყაროებიდან ვიგებთ, რომ ლუვეური (იეროგლიფურ-ლუვეური) სახელები რქმევიათ თაბალის მეზობელი ქვეყნების მეფე-მთავრებსაც. (ქ) ძვ. წ. IX—VIII საუკუნეების იეროგლიფურ-ლუვეურ, ასურულ და ურარტულ წერილობით წყაროებში იხსენიებიან გურგუმის მეფე თარხულარა (Tarhulara), ჭამანუს მეფე თარხუნაზი (Tarhunazi), ხილაქუს მეფე სანდასარმა (Sandasarma), მელიდის მეფეები თუვათი და ხილარუადა (Tuwati-Tuate, Hilaruda), დანუნას მეფე Asitiwada, თუხანი-თუვანუვას მეფე ვარპალავა (Warpalawa)⁷⁶ და სხვა.

Tarhulara, Tarhunazi, Sandasarma, Tuwati-ს ეტიმოლოგიებს ზემოთ გავეცანით. Hilaruada Warpalawa და Astiwada -ს სახელები კი შემდეგნაირად იხსნება. Hilaruada თეოფორულ სახელწოდებას წარმოადგენს. იგი ორი სიტყვისაგან შედგება. იეროგლიფურ-ლუვეური ლექსიკიდან მომდინარე hila-ს თარგმნიან როგორც „მეფის კარზე მყოფს“⁷⁷. ruada კი იდენტურია იეროგლიფურ-ლუვეური ღვთაების Ruwada, Ru(nt)-ას სახელწოდებისა. Ru(nt)-კომპონენტისანი საკუთარი სახელები, პოპულარული ყოფილა როგორც ჩვენთვის საინტერესო ხანის, ასევე მოგვიანო პერიოდის მცირე აზიასში. იეროგლიფურ-ლუვეურ წარწერებში ვხვდებით Halparuta/i-ი (Qalparu(n)da), RU(n) sapara-, Ru(n) sarruma-, Astiruwa, Sutiruwa-სახელებს. ელინისტური ხანის კილიკიაში დამოწმებულია იმავე ძირიანი სახელწოდებები — ραυβήρραα, ραααμμαα, ρα(ν)ζρμμρ:α და სხვა ფორმები. Warpalawa ლუვეურ-ხეთურ warpalis-warpallis-ს უკავშირდება. ეს უკანასკნელი „ძღვევამოსილის“, „ძლიერის“ აღმნიშვნელი სიტყვაა⁷⁸. Asitiwada, ისევე როგორც Hilaruada, თეოფორული სახელწოდებაა. asi—ზმნა. იეროგლიფურ-ლუვეურში იგი ნიშნავს შეყვარებას. Tiwat მზის ღვთაების იეროგლიფურ-ლუვეური სახელია. Tiwat ხშირად ფიგურირებს მცირე აზიის ონომასტიკონშიც, ასე, მაგალითად, ბოლახქოიში აღმოჩენილ ერთ-ერთ საბეჭდავზე იკითხება Tiwatamuwa, ხოლო ერთ ხეთურ ტექსტში იხსენიება Tiwatapara და სხვა.

⁷⁶ ARAB, II, 26, 29, 60, 61, 79, 92, 99, 782; VKH, 127, II, 6, 15, 2, 19,, 23; Jorgen Laessoe, დასახ. ნაშრ., გვ. 152; Houwink Ten Cate. დასახ. ნაშრ., გვ. 19; E. Laroche, Les Hieroglyphs Hittites, № 207; P. Meriggi, დასახ. ნაშრ., გვ. 36, 122 და სხვ.

⁷⁷ Houwink Ten Cate, დასახ. ნაშრ., გვ. 140.

⁷⁸ Houwink Ten Cate, დასახ. ნაშრ., გვ. 128, 129, 140; P. Meriggi, დასახ. ნაშრ., გვ. 102, 150.

ლუვიურ ეთნო-კულტურულ სამყაროსთან თაბალის მოსახლეობის სიახლოვეზე ისიც უნდა მიუთითებდეს, რომ თაბალის მატერიალური კულტურა დიდ მსგავსებას ავლენს სწორედ იმ მცირეაზიური ცენტრების მატერიალურ კულტურასთან, სადაც იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობაც, ენაც, ონომასტიკონიც და რელიგიაც იყო გავრცელებული.

ამ თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იმსახურებს თაბალში აღმოჩენილი მოხატული, ე. წ. „ფრიგიული“ ანუ ალიშარ IV-ის ტიპის კერამიკა, რომელიც პარალელებს პოულობს ბოლანჯის, ალიშარის, ტოკატის, სივასისა და მალატიის სინქრონულ მოხატულ კერამიკაში⁷⁹. საგულისხმოა აღინიშნოს ისიც, რომ თაბალში, ისევე როგორც ზემოჩამოთვლილ ადგილებში მოხატული ქურჩელი სქარბობს მონოქრომულს, ნაცრისფერს.

მკვლევრები პარალელებს პოულობენ მალატიისა და ჭერაბლუსის (ჩრდილოეთ სირია) სინქრონულ ქანდაკებებსა და თაბალში აღმოჩენილ ქვის მცირე და დიდი ზომის ქანდაკებებს შორისაც (როგორც დავინახეთ, დღევ, გოლუდალსა და ქულულუში გამოვლენილია ღვთაებების, საერხო პირების, სფინქსებისა და ლომების ქანდაკებები, რომელთა ერთი ნაწილი მონუმენტურ ხელოვნებას განეკუთვნება⁸⁰).

ძვ. წ. I ათწლეულის I ნახევრის ყარათეფეს, მალატიისა და ჭერაბლუსისათვის დამახასიათებელი სამშენებლო ტრადიციების მიხედვითაა გადაწყვეტილი თაბალური ქალაქების დაგეგმარებაც. როგორც წესი, ისინი ბორცვზე მდებარეობდნენ. ქალაქს კედელი ზღუდავდა. მას ერთი ან რამდენიმე კარიბჭე ჰქონდა. კარიბჭის კომპლექსის აუცილებელ კომპონენტს სფინქსების ან ლომების ქანდაკებები შეადგენდა. ბორცვის მაღალ ადგილზე დიდი ზომის შენობა — სასახლე ან ტაძარი იყო. თაბალური ქალაქები სკულპტურის სიმრავლით ჩასიათღება⁸¹.

თაბალის მოსახლეობის ეთნო-კულტურული კუთვნილების განსაზღვრისას არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ჩვენთვის საინტერესო ქვეყნის რელიგიაში წამყვან როლებს ლუვიური ღვთაებები — ქუბაბა, თარხუნი, არმა, სანთა, დათა ასრულებდნენ. საგულისხმოა აგრეთვე ისიც, რომ თაბალელები ჩრდილოეთ სირი-

⁷⁹ იხ. ზემოთ, თავი I, § 4; იქვე იხ. მითითება სათანადო ლიტერატურაზე.

⁸⁰ იხ. ზემოთ თავი I, § 4.

⁸¹ იხ. ზემოთ, თავი I, § 4.

ის ღვთაებებს — ქარხემიშის ქუზაბასა და ხარანის არმას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ⁸².

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ თაბალის მოსახლეობა არ არის შესწავლილი ანთროპოლოგიურად, გამორიცხული არაა ვარაუდი, რომლის თანახმად, თაბალისა და მისი მეზობელი ქვეყნების მოსახლეობა როგორც კულტურულად და ასევე ანთროპოლოგიურად ლუვიურ (იეროგლიფურ-ლუვიურ) სამყაროს შეიძლება დაუკავშირდეს.

გასათვალისწინებელია შემდეგიც: ქიულ-თეფეში მოპოვებული კრანოლოგიური მონაცემების თანახმად, უკვე ძვ. წ. XIX ს-ის დასაწყისშივე ადგილობრივი მოსახლეობის გვერდით, ჩვენთვის საინტერესო მხარეში, ჩნდება ინდოევროპული ტომებიც⁸³, (როგორც ცნობილია, იმდროინდელ კაპადოკიაში სემიტური მოსახლეობაც იყო). თუ სწორია ვარაუდი, რომ ქუსარას მეფე ანითას დედაქალაქი ნესა იდენტურია ქანესისა, მაშინ თაბალის ტერიტორიაზე უკვე XVIII ს-ში ნესიტ-ხეთებს უნდა ეცხოვრათ⁸⁴. როგორც ჩანს, ამ მხარეში ამავე ხანებში თავს იჩენს ლუვიური კულტურის ძლიერი გავლენაც. ამ მხრივ ნიშანდობლივია ის, რომ სწორედ ქიულ-თეფე I B ფენაშია (ძვ. წ. XVIII—XVII სს.) აღმოჩენილი დიდი ზომის პითოსზე გაკეთებული წარწერა, რომელსაც ზოგი მკვლევარი იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობის უძველესი ნიმუშად მიიჩნევს⁸⁵.

უფრო გვიან, ძვ. წ. XVII—XVI საუკუნეებიდან მოყოლებული, აღმოსავლეთ მცირე აზიის ჩვენთვის საინტერესო არეალის მოსახლეობა, ძირითადად, ხეთურ-ნესტიურია. ლუვიურ ქიციუვათნასთან ახლო გეოგრაფიული მდებარეობის გამო, თაბალისათვის ნავარაუდები ტერიტორია წარმოადგენდა იმ რეგიონს, რომელშიც საუკუნეთა მანძილზე ინტენსიურად უნდა განხორციელებულიყო ხეთურ-ლუვიური ეთნო-კულტურული კონტაქტები. ახლა კარგადაა ცნობილი, რომ ხეთურ კულტურაში ლუვიურის

⁸² P. Meriggi, დასახ. ნაშრ., № 30.

⁸³ M. S. Senyürek, A Study of the human skeletons from Kültepe excavated under the auspices of the Turkish Historical society, „Bellethen“, XVI, 63, 1952, გვ. 323—339.

⁸⁴ A. A. Королев, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

⁸⁵ T. Özgüç, Die Ausgrabungen von 1953 in Kültepe, „Bellethen“, XVIII, 71, 1954, გვ. 379 და შპდ.

ერთ-ერთი ძლიერი ნაკადი სწორედ ქიცუვათნადან მოდიოდა (ხეთურ ლვათებათა პანთეონში ხურიულთან ერთად ქიცუვათნას ლვათებათა მონაწილეობა ამის საუკეთესო და არა ერთადერთ მოწმობას წარმოადგენს)⁸⁶.

გამორიცხული არ არის ვარაუდი, რომ ჩვენთვის საინტერესო მხარეში უკვე ძვ. წ. XV—XIII საუკუნეებში ლუვიური კულტურის გავლენასთან ერთად, ადგილი ჰქონოდა ლუვიური ეთნიკური ელემენტის ინფილტრაციასაც (ზემოთ აღინიშნა, რომ ამ მოვლენამ პალისის აუზში ძვ. წ. XIV—XIII საუკუნეების მიჯნაზე განსაკუთრებული სიძლიერით იჩინა თავი). ამ თვალსაზრისით საყურადღებოა აღნიშნულ ტერიტორიაზე იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობისა და ენის ძეგლების ადრეულ ხანაშივე გამოჩენა, ლუვიური ონომასტიკონისა — და ლვათებათა პანთეონის პოპულარობა და სხვა. ძვ. წ. II ათასწლეულში ჩვენთვის საინტერესო რაიონში მიმდინარე ეთნოკულტურული თუ ეთნოგენეტიკური პროცესებისათვის ხელი უნდა შეეწყოს იმ არსებითი ხასიათის გარემოებას, რომ მგურნეობრივად ეს მხარე სწორედ ლუვიურ ქიცუვათნასა და მის მოსაზღვრე კილიკიის ტავროსთან იყო დაკავშირებული⁸⁷.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ თაბალისათვის ნავარაუდევია ტერიტორია უძველესი დროიდანვე ხეთურ-ლუვიური ტომების გავრცელების არეალში შედიოდა. სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული მასალების შუქზე აღმოსავლეთ მცირე აზიის ჩვენთვის საინტერესო სექტორში ეთნიკური, კულტურული თუ სოციალური განვითარების ჩაჭვი ხეთების სამეფოს დაცემის შემდგომ ხანაში გაწყვეტილი არ ჩანს. ჩვენი აზრით, სწორედ ამით აიხსნება თაბალში იეროგლიფურ-ლუვიური ენის, დამწერლობის, ონომასტიკონის, სულიერი და მატერიალური კულტურის არსებობა და ამ რეგიონში ახალი ეთნიკური ძვრებისათვის დამახასიათებელი მონაცემების სრული უქონლობა. ამ მოსაზრებას, გარდა აღნიშნულისა მხარს უნდა უჭერდეს არა მხოლოდ ის, რომ თაბალის მეზობელი მხარეები (კერძოდ, კილიკია, ლიკია) ადრეანტიკურ და ელინისტურ ხანაში ლუვიელების მონათესავე ტომებით იყო დასახლებული⁸⁸, არამედ ისიც რომ ჩვენთვის საინ-

⁸⁶ И. М. Дунаевская, დასახ. ნაშრ., გვ. 22—23.

⁸⁷ იხ. ქვემოთ, თავი V.

⁸⁸ დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ იხ. Houwink Ten Cate, დასახ. ნაშრ., გვ. 10 და შმდ.

ტერესო ტერიტორიას ანტიკური წერილობითი ტრადიცია ლუვიურ „ხილაქუდან“ მომდინარე „კილიკიას“ ეძახიან⁸⁹.

* * *

რაც შეეხება თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც, თაბალის დიდი გაერთიანების მოსახლეობა ან მისი ერთი ნაწილი ქართველური წარმოშობისა იყო, ამასთან დაკავშირებით შემდეგი უნდა ითქვას. ჩვენს ხელთ არსებული ზემომოტანილი მასალა არ გვაძლევს საფუძველს იმისათვის, რომ საკუთრივ თაბალის ტერიტორიაზე ქართველური ტომების არსებობა ვივარაუდოთ. მაგრამ, ამასთანავე რიგი მონაცემი აშკარად ლაპარაკობს თაბალურ სამყაროსთან ქართველური ტომების უახლოეს კონტაქტებზე, რომელთა გაუთვალისწინებლობა გაუმართლებელი იქნებოდა. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იმსახურებს ქართველური ტომების — ტიბარელების სახელწოდება, რომლის ფუძე „ტიბარ“ სიახლოვეს ავლენს Tabal-თან. საგულისხმოა, „თაბალ“, „თუბალ“, „თობელ“-თან მკვლევართა აზრით, ფონეტიკურად ახლო მდგომი ტერმინების — „ტოოლას“, „თუმალის“ „ჰობოლალ“-ის — გავრცელება ჩრდილოკავკასიურ ტომებში. ივ. ჯავახიშვილის მოწმობით, ყაბარდოელები მეგრელებს „ტოოლას“ ეძახდნენ, ლუნქები კუმუხ-ლეკებს — „თუბალ“-ს, ხოლო ზეინ ლუნქები ყველა მთიელსა და მათ შორის თავიანთ თავსაც — „ჰობოლალ“-ს⁹⁰. შემთხვევითობით ვერ ავხსნით აგრეთვე თუბალ-კაინის ორმაგი სახელწოდების მეორე ნაწილთან („კაენთან“) ფონეტიკურად იდენტური „კაენ“-ის არსებობას ჰანური ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე (მხედველობაში გვაქვს VI ს. ავტორის პროკოპი კესარიელის ცნობები: „ოკენიტის ჰანები“, „სოფელი კენა“ და სხვა⁹¹). თაბალურ სამყაროს უკავშირდება „მაგარი რკინის“ აღმნიშვნელი ტერმინი „ტობართინიც“, რომელიც ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეშია დადასტურებული (იხ. ზემოთ). და ბოლოს, ნიშანდობლივია ისიც,

⁸⁹ Goetze, Cilicians, გვ. 48 და შმდ. Herodotus, I, 72, Strabo, XII, 2, 7.

⁹⁰ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, გვ. 51 და შმნ. I.

⁹¹ „გეორგიკა“, II, გვ. 216, 217.

რომ წერილობითი ტრადიცია ბიბლიურ თუბალს იბერების პირველწინაპრად წარმოგვიდგენს (იხ. ზემოთ).

ზემომოტანილი მონაცემები, პირველ რიგში, შეიძლება თაბალისა და ქართველური ტომების ადგილსაცხოვრისის ტერიტორიული სიახლოვით იხსნებოდეს. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს ის, რომ ტიბარენები ანტიკური ხანის ავტორების — ჰეკატე მილეტელის, ჰეროდოტეს, ქსენოფონტის, სტრაბონის და სხვათა (იხ. ზემოთ) მონაცემებით, სწორედ იმ რაიონში ცხოვრობდნენ (ანტიკური კოტიორას — დღევ. ორდუსა და მის სამხრეთით მდებარე ოლქში), რომლის სამხრეთითაც თაბალი მდებარეობდა.

როგორც ირკვევა, თაბალის მოსახლეობისა და ტიბარენების საზოგადოებრივი განვითარების დონეს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობდა. წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების მოწმობით, თაბალი უკვე ძვ. წ. IX ს-ში, თუ უფრო ადრე არა, კლასობრივ საზოგადოებას წარმოადგენდა (იხ. ქვემოთ), ხოლო ტიბარენების ტომობრივი გაერთიანება ჯერ კიდევ ძვ. წ. IV—III საუკუნეებში პრიმიტიულ, პატრიარქალურ საფეხურზე იდგა. მიუხედავად ამისა, გამორიცხული არ არის, რომ თაბალთან ტერიტორიული სიახლოვის გამო ქართველური ტომები, მათ შორის ტიბარენებიც თაბალის პოლიტიკური თუ კულტურული გავლენის სფეროში ყოფილიყვნენ მოქცეული⁸².

⁸² რაც შეეხება წერილობით ტრადიციას თუბალ-იბერის იგივეობის შესახებ, შემდეგი უნდა აღინიშნოს: თუ ამ საკითხს ანალოგიური სხვა მაგალითების მოშველიებით განვიხილავთ, დავინახავთ, რომ თუბალ-იბერის იგივეობა, რომელზედაც პირველად იოსებ ფლავიოსმა მიუთითა, შესაძლოა, თაბალეთა და იბერთა ეთნიკური იგივეობის საბუთად არც გამოდგეს. საქმე ისაა, რომ ბიბლიური გენეალოგიური სქემების გვიანდელ იდენტიფიკაციებს, როგორც წესი, არ უღვევთ საფუძვლად ეთნიკური იგივეობა.

თაბალის პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი

§ 1. თაბალისა და ასურეთის ურთიერთობის ისტორიიდან
ძვ. წ. IX—VII სს-ში

თაბალისადმი ინტერესი ასურელებს ჯერ კიდევ სალმანასარ III-ის (ძვ. წ. 859—824 წწ.) მეფობის ხანაში გაუჩნდათ¹. წყაროების მოწმობით, ძვ. წ. 837 წელს ასურელების მეფეს თაბალელებისაგან დიდძალი საჩუქრები მიუღია². ასურელების მისწრაფებას ხელში ჩაეგდოთ თაბალი აპირობებდა როგორც თაბალის სტრატეგიული მდებარეობა, ასევე მისი სიმდიდრე — ოქრო, ვერცხლი, საუკეთესო ჯიშის თაბალური ცხენები და სხვ.

თიგლათფილესერ III-ისდროინდელი (ძვ. წ. 745—727 წწ.) წარწერებიდან ჩანს, რომ ძვ. წ. VIII ს-ის მეორე ნახევარში თაბალი უკვე ასურელთა ქვეშევრდომობაში მყოფი ქვეყანა იყო³. თიგლათფილესერ III მას იმ ქვეყნებთან ერთად იხსენიებს, რომლებიც ხარკს უხდიდნენ ასურეთს (გურგუმი, მელიდი, თუნა, ქასქუ და სხვ.). მაგრამ თაბალის მეფეები ძნელად ეგუებოდნენ დამოუკიდებლობის დაკარგვას. ნიმრუდში აღმოჩენილი ერთ-ერთი წარწერის მიხედვით, დაახლ. ძვ. წ. 728 წელს თაბალის მეფეს უასურმეს (იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების ვასუსარმას)⁴ ასურელთა ქვეშევრდომისაგან განთავისუფლება განუზრახავს, როგორც წყარო გვამცნობს, ამ განზრახვას თაბალისათვის სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. თაბალის ურჩი მეფის უასურმეს ნაცვ-

¹ E. Forrer, Die Provinzeinteilung des assyrischen Reiches, გვ. 73^ა და შმდ.

² ARAB, I, 579, 580, 582, 674; Jorgen Laessoe, A Statue of Shalmeneser III from Nimrud, გვ. 147—157.

³ ARAB, I, 772, 801, 802.

⁴ იხ. ზემოთ, თავი I, § 3.

ლად ასურელებს ტახტზე ჰული (ვარიანტი ჰულუ), „არავის შვილი“ (ე. ი. პირი, რომელიც სამეფო წარმომადგენელი არ იყო) დაუსვამთ. ამის შემდეგ კი ასურელთა მოხელეს თაბალელთაგან მიუღია 10 ტალანტი ოქრო, 1000 ტალანტი ვერცხლი და 2000 ცხენი⁵.

სარგონ II-ის (ძვ. წ. 722—705 წწ.) მეფობის ხანაში ასურელები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა თაბალი მორჩილებაში ჰყოლოდათ. წარწერებიდან ვიგებთ, რომ თაბალის მეფეს ამბარიდუს (ვარიანტი ამბარისს), რომელიც ჰულის მემკვიდრე იყო, სარგონ II-ის ქალიშვილი ახათაბიშა ჰყოლია ცოლად. სარგონ II-ის „მეგობრული ურთიერთობის“ განმტკიცების მიზნით თაბალისათვის საჩუქრად უბოძებია მისი მეზობელი ხილაქუ. მაგრამ სარგონ II-ის მშვიდობიან პოლიტიკას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. სულ მალე თაბალის მეფეს დიპლომატიური ურთიერთობა დაუმყარებია ასურეთის დაუძინებელ მტრებთან — მუშქების ქვეყნისა და ურარტუს მეფეებთან. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ამ დიპლომატიურ ურთიერთობას მიზნად ექნებოდა, პირველ რიგში, ასურელებისაგან განთავისუფლება. როგორც სარგონ II-ის წარწერებიდან ირკვევა, ამჯერადაც ასურელები გამოვიდნენ გამარჯვებული. სიძის მტრული მოქმედებით განრისხებულ სარგონ II-ს თაბალი მთლად აუოხრებია. მის ტერიტორიაზე სხვა ქვეყნებიდან აყრილი ხალხი დაუსახლებია, თაბალში თავისი მოხელეები დაუნიშნავს, ქვეყანა დაუხარკავს კიდევ და მისთვის გადასახადიც დაუკისრებია, ხოლო თვით ამბარიდუ, ოჯახის წევრებთან, ნათესავებთან, დიდებულებთან და 100 საბრძოლო ეტლთან ერთად ასურში წაუყვანია⁶.

სინაქერიბის მეფობისდროინდელი წარწერებიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს თაბალმა დამოუკიდებლობა მოიპოვა⁷, რასაც შამაშის ორაკულისადმი ასარქადონის ცნობილი „შეკითხვები“ ადასტურებენ. ამ შეკითხვებიდან ირკვევა, რომ თაბალის მეფე იშგალუ და მელიდეს მეფე მუგალუ ასურელთათვის საშიშ მოწინააღმდეგეებს წარმოდგენდნენ. როგორც დავინახეთ (იხ. ზემოთ), ერთ-ერთ შემთხვევაში ასარქადონი სთხოვს შამაშს აუწყოს

⁵ ARAB, I, 802.

⁶ ARAB, II, 24, 25, 55, იხ. აგრეთვე, იქვე, 80, 92, 99, 118, 137, 197; АВИИУ 46, 54.

⁷ ARAB, II, 29, 329, 349.

მას იშვალუ თაბალელისა და მუგალუ მელიდელის გეგმების შესახებ. იმავე მეფის მეორე შეკითხვის მიზანია გაარკვიოს, ხომ არ დაესხმიან თავს იშვალუ და მუგალუ ასურელ სარდალს⁸.

ასურბანიფალის მეფობის დროს სიტუაცია კვლავ ასურელთა სასარგებლოდ იცვლება. ასურბანიფალის წარწერების მოწმობით, ასურელთა ძლიერებით შეშინებულ თაბალელებს, რომლებიც არა თუ არ ემორჩილებოდნენ ასურბანიფალის წინაპარ მეფეებს, არამედ „იარალითაც კი იბრძოდნენ“ მათ წინააღმდეგ, ხარკის გადახდა უკისრიათ (ხარკის სახით წყაროებში იხსენიება თაბალური ღიდი ცხენები) და თაბალის მეფეს თავისი ქალიშვილი ასურეთის მეფის ჰარამხანაში გაუგზავნიან⁹.

სხვა რაიმე ცნობას, რომელიც საშუალებას მოგვცემდა თაბალისა და ასურეთის პოლიტიკური ურთიერთობა უფრო სრულად წარმოგვედგინა, ასურულ ტექსტებში არ ვხვდებით. ზემომოტანილი ფაქტებიდან კი ჩანს, რომ ორი საუკუნის მანძილზე ასურელები გააფთრებით იბრძოდნენ თაბალის ხელში ჩასაგდებად. გაიმარჯვებდნენ თუ არა, ასურელები აქტიურად ერეოდნენ თაბალის შინაგან საქმეებში: თიგლათფილესერ III-მ თაბალში სამეფო დინასტიების შეცვლაც კი შეძლო, ხოლო სარგონ II-მ მეფის ნაცვლად ქვეყნის სათავეში თავისი მოხელეები დააყენა. ასურელთა ჩარევას მაინც ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა. თაბალს ადგილობრივი მეფეები განაგებდნენ. იგივე მეფეები აქტიურ ანტიასურულ მოღვაწეობას ეწეოდნენ ხან დიპლომატიის, ხან კი იარაღის საშუალებით. ამიტომაც იყო, ალბათ, რომ ასურელები სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ, რათა თაბალთან მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონოდათ.

§ 2. თაბალში კიმერიელების უპროსპვის საკითხისათვის

სომხური საისტორიო ტრადიცია დიდ კაპადოკიას უწოდებს კიმერიელთა სახელწოდებიდან მომდინარე „გამირქ“-ს, ხოლო თაბალისათვის ნავარაუდევ ტერიტორიაზე მდებარე დღევ. კაისერის (ანტიკური ხანის მაზაკა-კესარიას) — „გამირქების დედაქალაქს“. ასე, მაგალითად, მოვსეს ხორენაცი ვამცნობს: „ვინმე

⁸ Knudtson, 54, 55, 57; АВИИУ, № 68g. უღრ. АРАВ II, 781, 848, 911; АВИИУ, № 74.

⁹ АРАВ, II, 781, 848, 911; АВИИУ, № 74.

სპარსელი არა მდაბითაგანი და არა უმნიშვნელოთაგანი, რომელსაც ერქვა ბურდარი, წავიდა იქედან (სპარსეთიდან — ნ. ხ.) და მივიდა გამირქის მხარეებში, ილტვოდა კესარიაში¹⁰.

ფავსტოს ბუზანდის „სომხეთის ისტორიაში“ კი ვკითხულობთ: „...და წაეყვანათ თავიანთ მოსაზღვრე გამირქის დედაქალაქ კესარიაში“; „და წავიდნენ გამირქის დედაქალაქ კესარიაში, „...წარგზავნეს გამირქის ქვეყანაში, დიდ ქალაქ კესარიაში“¹¹ და სხვ. ასეთსავე კონტექსტში იხსენიება კესარია სტეფანე ტარონელის „მსოფლიო ისტორიაში“¹² და სხვაგან.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული და საკმაოდ არგუმენტირებული თვალსაზრისის თანახმად, წინა აზიაში კიმერიელთა მოსვლა სავარაუდებელია არა უგვიანეს ძვ. წ. VIII ს-ის ბოლო მეოთხედისათვის¹³. ამ კიმერიელების თავდაპირველ ადგილსაცხოვრისს, ჩვეულებრივ, ურარტუს სამფლობელოების ჩრდილო-დასავლეთით ეძებენ (იხ. ქვემოთ).

სადაზვერვო ხასიათის ერთ-ერთი ასურული დოკუმენტიდან ვგებულობთ, რომ გამირის ქვეყანა (იგივე კიმერიელების ქვეყანა) გურიანის მახლობლად მდებარეობდა. ასურელი მოხელე აშური-სუა ამბობს: „გურიანია ოლქია ურარტუსა და გამირის ქვეყანას შორის. იგი ხარკს უხდის ურარტუს (მეფეს). როდესაც ურარტუს მეფე გამირს ქვეყნის წინააღმდეგ წავიდა, მან მარცხი განიცადა“¹⁴.

ი. დიაკონოვი ზემომოტანილი ცნობის „გურიანის“ სარდური II-ის წარწერის „კურიანისთან“¹⁵ აიგივებს. ავტორი მას ურარტუს სამფლობელოების უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ საზღვართან,

¹⁰ შიოსეს სიონსაფი, მათონიქსი ჯაიგი, II, 80. მოვსეს ხორენაცის თხზულებაში „კაპადოკია“ იხსენიება. იხ. დასახ. ნაშრ. I, 14; I, 75; III, 80. სომხური ტექსტის ქართული თარგმანი ჩვენი თხოვნით შეასრულა ალ. აბლაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

¹¹ შიოსესი ჩილდანიფი, მათონიქსი ჯაიგი, ჯ. 46, 69, 70.

¹² შიოსესი შაიონსი, მათონიქსი თიხიქსი, მათონიქსი, მათონიქსი, ჯ. 52—53; შდრ., მათონიქსი, მათონიქსი, მათონიქსი, მათონიქსი, 1914. 349. ცნობები სომხური წყაროებიდან ჩვენი თხოვნით მოგვაწოდა ელ. ცაგარეიშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

¹³ იხ. მაგალითად, არჩ. ბარამიძე, წინა აზიაში კიმერიელთა გამოჩენის დათარიღების საკითხისათვის, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, XVI № 8, 1955, გვ. 647 და შდრ.

¹⁴ АВИИУ, № 50 (11). საგულისხმო ინფორმაციას შეიცავს სინაქერიზის ერთ-ერთი წერილიც. იხ. АВИИУ, № 50 (10).

¹⁵ УКН, 155, 6.

იგანის ქვეყნის მახლობლად ათავსებს¹⁶. გ. მელიქიშვილის თანახმად კი, კურიანი საძიებელია ერიახსა (დღევ. ლენინაკანის რაიონი) და იგანის (ჩალდირის ტბასთან) შორის მდებარე ოლქში, ჩალდირის ტბის აღმოსავლეთით. იგივე ავტორი შესაძლებლად მიიჩნევს ვარაუდს, რომ კურიანის ქვეყნის სამფლობელოები ჩრდილოეთის მიმართულებით მდ. მტკვრის ზემო დინების მხარემდეც აღწევდა¹⁷.

ბ. პიოტროვსკის აზრით, გამირის ქვეყანა ურარტუს ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა, კაბადოკიის აღმოსავლურ რეგიონში¹⁸. ი. დიაკონოვი ფიქრობს, რომ გამირის ქვეყანა მოსათავსებელია ან საქართველოს ცენტრალურ ოლქში, ან დღევ. აჭარასა და აღმოსავლეთ პონტოში¹⁹. ი. დიაკონოვისავე მოწმობით, ს. ერემიანი გამირის ადგილსამყოფელს დღევ. ლენინაკანის მახლობლად ვარაუდობს²⁰. ს. პეტროსიანის თანახმად, იგივე ქვეყანა საძიებელია სომხეთის ზეგანის ჩრდილოეთ სექტორში, გვიანდელ გოგარენეს ტერიტორიზე, სადაც კიმერიელებთან ერთად მათი მონათესავე ტრერები და გოგარები ბინადრობდნენ²¹.

როგორც ვხედავთ, ზემომოტანილი ადგილი ასურული ტექსტიდან არაფერს ამბობს მაზაკა-კესარიის (სომხური წყაროების „გამირქის დედაქალაქში“) ან თაბალის სხვა ოლქებში კიმერიელების ყოფნაზე (ძვ. წ. VIII ს-ის ბოლო მეოთხედში).

რაც შეეხება უფრო მოგვიანო ხანას, შემდეგი უნდა აღინიშნოს: ასარქადონისდროინდელი (ძვ. წ. 680-669 წწ.) წარწერებიდან (წარწერები A, B, და S პრიზმებზე, „ანალების“ ფრაგმენტები) ირკვევა, რომ საკუთრივ თაბალში არა, მაგრამ გეოგრაფიულად მასთან ახლომდებარე

¹⁶ АВИИУ, 50, №6. 2.

¹⁷ გ. მელიქიშვილმა ყურადღება მიაქცია ავრეთვე მდ. მტკვრისა (ბერძნ. Κουρδ) და კურიანის ქვეყნის სახელწოდებათა ფონეტიკურ მსგავსებასაც. Г. А. М е л и к и ш в и л и, УНК, გვ. 438; მ ი ს ი ე ვ, Наирн-Урарту, გვ. 61—62; Н. В. А р у т ю н я н, Биайнили—Урарту, Ереван, 1970, გვ. 268, №6. 413.

¹⁸ Б. Б. П и о т р о в с к и й, Ванское царство, М., 1959, გვ. 232—233; М. А. Д а н д а м а е в, Данные вавилонских документов VI-V вв. до н. э. о саках, ВДИ, I, 1977, გვ. 31.

¹⁹ И. И. Д ъ я к о н о в, Предыстория армянского народа, გვ. 169, №6. 251.

²⁰ И. М. Д ъ я к о н о в, История Мидии, გვ. 236, №6. 1.

²¹ С. Г. П е т р о с я н, Фрако-киммерийские племенные союзы на Армянском нагорье (VI-V вв. до н. э), ИФЖ, I (76), 1977, გვ. 219—220.

მხარეებში კიმერიელების არსებობა ძვ. წ. VII ს-ის 80-70-იან წლებში საეკვო არ უნდა იყოს. ამ მხრივ საყურადღებოა ასარქადონის მონათხრობი თეუშა კიმერიელთან ბრძოლის შესახებ ძვ. წ. 679/678 წწ. ასარქადონი ამბობს: „თეუშა კიმერიელი, amman manda, რომლის ადკილსამყოფელი შორსაა, მე ვძლიე ჩემი მახვილით ისიც და მისი ლაშქარიც ხუბუშნას (ხეთური წყაროების ხუფისნა, ანტიკური ხანის კიბისტრა, დღევ. ერელი—ხ. ბ.) ქვეყანაში“²². გარდა ამ მითითებისა საგულისხმოა ორაკულისადმი ასარქადონის ერთ-ერთი გამოუქვეყნებელი კითხვაც, საიდანაც ვიგებთ, რომ თაბალის მეზობელ მუშქებს (იხ. ზემოთ) მელიდას წინააღმდეგ კიმერიელებთან ერთად ულაშქრიათ²³ და სხვა.

დიდ კაპადოკიაში ან თაბალში კიმერიელების ყოფნაზე აქემენიდური ხანის წარწერები არაფერს ამბობენ. მაგრამ საგულისხმოა შემდეგი: ძველ სპარსულ ლურსმულ წარწერებში მოხსენიებულ ახალ ტოპონიმებსა და ეთნონიმებს წარწერების ბაბილონურ ვარიანტებში, როგორც წესი, ძველი სახელები ცვლიან (ასე, მაგალითად, შდრ. ძველსპ. არმინა და ბაბილ. ურამტუ-ურარტუ). კაპადოკიის აღმნიშვნელ სახელწოდებას, რომლის სიახლემში ძნელია ეკვის შეტანა (ცნობილია, რომ ტერმინი „კაპადოკია“ Katpatuka“-ს ფორმით პირველად სწორედ დარიოს I-ის „ბექისტუნის წარწერაში“ იხსენიება), ძველი რომელიმე სინონიმი ბაბილონურში, როგორც ჩანს, არ მოეპოვებოდა. ამიტომაცაა, რომ კაპადოკიას ბაბილონურშიც Katpatuka ეწოდება²⁴. რაც შეეხება ბაბილონურ ტექსტებში დამოწმებულ Gimirri („კიმერიელი“) ტერმინს იგი ძველი სპარსული და ელამური Saka-ს („საკა“-ს) ვარიანტს წარმოადგენს და როგორც ვარაუდობენ²⁵, შუა აზიის ჰაუმავარგა და თიგრაპაულა საეებს (sakā haumawargā, sakā tigriaxudā) აღნიშნავს.

კიმერიელების მოხსენიებას უკვე ჰომეროსის „ოდისეაში“

²² ARAB, II, 513, 530, 546; АВИИУ, 65; И. М. Дьяконов, История Мидии, გვ. 236 და შენ. 5; მისივე, Предыстория армянского народа, გვ. 170 და შენ. 255; R. D. Barnett, Phrygia and the Peoples of Anotolia in the Iron age, გვ. 12.

²³ И. М. Дьяконов, Предыстория армянского народа, გვ. 171 და შენ. 259.

²⁴ R. Kent, Old Persian, გვ. 171, 178; DB I, 15; DPe, 12; DNa 28.

²⁵ М. А. Дандамаев, დასახ. ნაშრ., გვ. 32, იქვე იხ. მითითება სპეციალურ ლიტერატურაზე და წყაროებზე.

ვხვდებით. ცირციას რჩევით, „ოდისეას“ გმირები საიქიოს სამეფოში მიემგზავრებიან, „სადაც არც ერთ ცოცხალ ადამიანს ფეხი არ შეუღდამს“. ოდისევსი ამბობს: „მთელი დღე განუწყვეტლივ მიცურავდა ხომალდი ზღვის თვალუწვდენელ სივრცეში. როცა მზე დასავლეთით ბრწყინვალედ ჩაესვენა და მთელი ზღვა წყვდიადმა მოიცვა, კ ი მ ე რ ი ე ლ თ ა ქ ე ე ყ ნ ის ნაპირებს მივალწვიეთ. მთელი ეს მხარე სქელი ნისლითაა დაფარული. ცა მუდამ მოღუშული და ღრუბლიანია. მცხოვრებლებს აქ თავის სიცოცხლეში არ უხილავთ მზის ცხოველმყოფელი სხივები. მთელი არემარე წყვდიადითაა მოცული“²⁶.

გვიანდელი ხანის ავტორები ან იმეორებენ საიქიოს სამეფოს, ჰადესის შესასვლელთან, შორეული ოკეანის სანაპიროსთან კიმერიელების ჰომეროსისეულ ლოკალიზაციას, ან ცდილობენ ახსნა მოუძებნონ ჰომეროსის ზემომოტანილ ცნობას. ასე, მაგალითად, „ოდისეას“ სქოლიოების, სტრაბონისა და სხვათა მოწმობით, ჰომეროსმა განგებ მოათავსა კიმერიელები ბნელ ქვეყანაში. სქოლიოების ავტორის აზრი ასეთია: „ეს კიმერიელები ან სკვითი მომთაბარენი ოკეანეს დასავლეთი მხარეებიდან მოვიდნენ. დელფოსში მათ აპოლონის ტაძარი გაძარცვეს. ამ მიზეზითაა, რომ ჰოეტი (ჰომეროსი — ნ. ხ.) აძაგებს მათ და ბნელეთში მცხოვრებლებად წარმოგვიდგენს“²⁷. დაახლოებით ასეთსავე მოსაზრებას გამოთქვამს სტრაბონიც²⁸.

ჰადესთან—ოკეანესთან კიმერიელების ყოფნის შესახებ ცნობას გვიანდელი ხანის ავტორთა თხზულებებშიც ვხვდებით. ესენია: ევსტათე თესალონიკელი (IV ს.), ესქილეს სქოლიოების ავტორები, თემისტოისი (IV ს.), მაქსიმე ტვიროსელი, გრიგოლ ღვთისმეტყველი (IV ს.), ფსევდოორფეოსი („არგონავტიკა“), ჰესიხიოსი (V ს.)²⁹ და სხვ.

გვიანდელი ხანის ზოგი მწერალი, მაგალითად, ესქილეს სქოლიოების ავტორი, ევსტათე, ჩვენთვის საინტერესო ტომების აღრინდელ სამშობლოდ იტალიას მიიჩნევს.

როგორც ვხედავთ, ჰომეროსის ჰოემა წინა აზიაში კიმერიელ-

²⁶ ო დ ის ე ა, ალ. მიქებარიძის თარგმანი, თბ., 1937, გვ. 94, XI 12—19.

²⁷ ВДИ, № 1, 1947, გვ. 285.

²⁸ Strabo, III, 2, 12; შტრ. მისიკე, I, 1, 10; 2, 9; III, 12, 12 და სხვ.

²⁹ ВДИ, № 1, 1947, გვ. 291—293; იქვე, № 2, 1948, გვ. 278; № 3, 1948, გვ. 254, 270; იქვე, № 4, 1948, გვ. 269.

თა ადგილსამყოფელის ან ლაშქრობის შესახებ არაფერს გვეუბნება.

ჰომეროსის შემდგომი ხანის ავტორთაგან კიმერიელების მოხსენიებას ძვ. წ. VII ს-ის პოეტთან, კალინთან ვხვდებით. სტრაბონის თანახმად, კალინი, ისევე როგორც უფრო გვიანდელი ხანის ისტორიკოსი კალისტენე (ძვ. წ. IV ს.) ამბობდა: სარდე პირველად კიმერიელებმა აიღეს, ხოლო მეორედ — ტრერებმა და ლიკიელებმა³⁰.

წინა აზიაში კიმერიელთა ლაშქრობასა და ადგილსამყოფელთან დაკავშირებული ცნობების ძირითად ნაწილს ჰეროდოტესა (ძვ. წ. V ს.) და სტრაბონის (ძვ. წ. I—ახ. წ. I სს.) თხზულებებში ვპოულობთ. სხვა ავტორები, რომლებიც კიმერიელთა საკითხს იხილავენ, როგორც წესი, ჰეროდოტესა და სტრაბონის ცნობებს იმეორებენ.

როგორც დავინახავთ, არც ჰეროდოტესა და არც სტრაბონს არ მოეძებნებათ რაიმე ისეთი ცნობა, რომლის თანახმადაც კიმერიელები საკუთრივ დიდ კაპადოკიასთან კავშირში იხსენიებოდნენ. ჰეროდოტეს „ისტორიაში“, ძირითადად, საუბარია ბოსფორთან კიმერიელთა ბინადრობაზე, წინა აზიაში ევროპიდან (კიმერიული ბოსფორიდან) კიმერიელების მოსვლაზე და მის მიზნებზე, კიმერიელთა გადმოსახლების მარშრუტზე. წინა აზიის მოსახლეობასთან კიმერიელების ბრძოლის ისტორიიდან ჰეროდოტე შემდეგ ფაქტებს გვამცნობს: კიმერიელებს იონია დაულაშქრავთ³¹ კროსოსის მეფობამდე (ძვ. წ. 560—546 წწ.) ბევრად ადრე. გიგესის (ძვ. წ. 692—654 წწ.) ვაჟის არდისის მეფობის ხანაში, როდესაც ეს უკანასკნელი მილეტს ებრძოდა, კიმერიელებს სარდეს ხელში ჩაგდება მოუხერხებიათ³², აუღებელი მხოლოდ აკროპოლისი დარჩენილა³³. აზიიდან კიმერიელები ალიატეს (ძვ. წ. 617—560

³⁰ Strab, VIII, 4, 8.

³¹ Herodotus, I, 6.

³² სინამდვილეში კიმერიელებმა სარდე ორჯონს აიღეს, პირველად გიგესის (ასურული წყაროებით გუგუს) მეფობის დროს, დაახლ. გვ. 645 წელს, რაზედაც ასურული წერილობითი წყაროებიც მოგვითხრობენ (იხ. ARAB, II, 784; АВИИУ, № 72), ხოლო მეორედ — ძვ. წ. 646—645 წწ., გიგესის ვაჟის არდისის მეფობის დროს, იხ. И. М. Дьяконов, История Мидии, გვ. 234; „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია“, გვ. 326.

³³ Herodotus, I, 15.

წწ.) განუდევნია³⁴. ერთადერთი ცნობა, რომელიც წინა აზიაში კიმერიელების ადგილსამყოფელზე მიუთითებს, ჰეროდოტეს სიტყვებია: „ჩანს, რომ კიმერიელები, რომლებიც გაექცნენ აზიაში სკვითებს, დასახლდნენ იმ ნახევარკუნძულზე, რომელზედაც არის ახლა სინოპე, ელინური ქალაქი“³⁵. სტრაბონის „გეოგრაფიაშიც“, რომელიც კიმერიელთა შესახებ ინფორმაციის თვალსაზრისით ჰეროდოტეს თხზულებაზე გაცილებით უფრო სრული და მრავალმხრივია, კიმერიელებთან დაკავშირებით დიდი კაპადოკიის მოხსენიებას არც ერთხელ არ ვხვდებით.

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ როგორც კიმერიელების, ასევე ტრერების სამოქმედო ასპარეზი, ძირითადად, დასავლეთი და ცენტრალური მცირე აზიით იფარგლება. სტრაბონის სიტყვებითვე რომ ვთქვათ, კიმერიელები „თავს ესხმოდნენ შუა ქვეყანაში მცხოვრებთ, მარჯვენა ნაწილში, პონტოდან ვიდრე იონიამდე“³⁶. სტრაბონის წარმოდგენით, კიმერიელები თავს დასხმიან პაფლაგონიას და დიდ ფრიგიას³⁷. ლიგდამისი³⁸, კიმერიელთა ბელადი, ლიდიამდე მისულა, აულია სარდე და შემდეგ კილიკიაში დაღუპულა³⁹. კიმერიელების თავდასხმა ეოლიდასა და იონიასაც განუცდია⁴⁰. აზიიდან კიმერიელების განდევნას სტრაბონი სკვითებსა და მათ შეფე მადიოსს მიაწერს⁴¹.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ანტიკური ხანის წერილობით წყაროებში არ მოიძებნება ისეთი ცნობა, რომელიც საკუთრივ თაბალის ტერიტორიაზე კიმერიელების ბინადრობის ან ამ ქვეყანაში მათი ლაშქრობის შესახებ მიუთითებდეს. ამასთანავე, ისიც ირკვევა, რომ კიმერიელთა ბელადი თაბალის მეზობელ კილიკიაში დაღუპულა, ხოლო კიმერიელების ერთი ნაწილი პონტოს კა-

³⁴ Herodotus, 1, 16.

³⁵ Herodotus, IV, 12.

³⁶ Strabo, VI, 2, 5.

³⁷ სტრაბონის გადმოცემის თანახმად, როდესაც ფრიგიის მეფე მიდასს კიმერიელთა შემოსევის შედეგების შესახებ აცნობეს, მას თავი მოუკლავს. ამ გადმოცემას სხვა ავტორებიც იმეორებენ (ეესტათი, ევსებოსი),.

³⁸ ლიგდამისის სტრაბონის გარდა იხსენიებენ აგრეთვე— კალიმახე (ძვ. წ. III ს.), პლუტარქე (I ს.) და ჰესიხოსი (ახ. წ. V ს.). იხ. ВДН 1948, 3, გვ. 262; იქვე, № 4, 1948, გვ. 269.

³⁹ Strabo, 1, 3, 20; XI, 2, 5.

⁴⁰ Strabo, 1, I, 10; III, 2, 12.

⁴¹ Strabo, I, 3, 21.

პადოკიასა და პაფლაგონიის საზღვარზე მდებარე სინოპში დასახლებულა.

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, საყურადღებო ცნობებს ვპოულობთ ბიბლიოლოგიურ წყაროებშიც. ბიბლიური გენეალოგიური სქემის თანახმად, კიმერიელთა ანუ გამერელთა ეთნარქოსი — „გამერი“, „გომერი“ იაფეტის შთამომავალი იყო. „შესაქმეს“ წიგნი გვამცნობს: „ძენი იაფეთისანი, ლამერ და მაგოგ, და მადამ, და იოვან, და ელიოსან, და თობელ, და მოსოქ, და თირას. და ძენი ლამერისანი, ასქენაზ, რიფათ და თორღამა“⁴². „ბიბლიის“ გვიანდელ განმარტებებში გამერ-გომერის ახსნის ორ ცდას ვხვდებით. იოსებ ფლავიოსი (39—95 წწ.) და რიგი ავტორებისა ბიბლიურ გამერ-გომერს გალატიელთა ტომის ეთნარქოსად წარმოგვიდგენენ. იგივე ავტორები კაპადოკიელთა პირველწინაპრად მოსოქს, მოსოხს მიიჩნევენ. იოსებ ფლავიოსი ამასთან დაკავშირებით წერდა: „მოსოხენები დაფუძნებული არიან მოსოხის მიერ, ახლახან მათ კაპადოკიელები ეწოდათ, ხოლო ძველი მათი სახელწოდების ნიშანიც ემჩნევათ, რამეთუ მათ აქვთ დღესაც ქალაქი მაზაკა, რომელიც ნათელყოფს იმათთვის, ვისაც შეუძლია ვაიგოს, რომ ოდესღაც ასე ეწოდებოდა მთელ ტომს“⁴³. ევსტათი ანტიოქელი (280—360 წწ.) ნოეს სამი ვაჟის — სემის, ქამისა და იაფეტის — შთამომავალთა ჩამოთვლისას ამბობს: „გამერი, რომლისაგანაც წარმოიშვნენ გამარელნი, რომელთაც ამჟამად გალატიები ეწოდებათ: აგოდი, რომლისაგან არიან მაგოდები, რომელთაც დღეს სკვითები ეწოდებათ ...ობელი რომლისგან არიან თეობელები, დღეს რომ იბერები ეწოდებათ, ოსოხი, რომლისგან არიან მესხენები, დღევანდელი კაპადოკიელები“⁴⁴. თედორიტე კვირელი (393—457) ესაიას წინასწარმეტყველების ერთ-ერთ ადგილს (ესაია, 66¹⁹) ამგვარ განმარტებას აძლევს: „... თარსისს უწოდებს იგი (ე. ი. ესაია — ნ. ხ.) კარქედონს, ლიბიის დედაქალაქს, ფუდ-ლიკიელთა მთელ ტომს, ლუდ-ლიდიელებს, მოსოხ-კაპადოკიელებს და თობელ-იბერებს“⁴⁵. ასევე განმარტავს თეოდორიტე იეზუკიელის მიერ მოხსენიებულ „მოსოხ“, „თობელსაც“⁴⁶.

თვალსაზრისი, რომელიც მოსოქ-მოსოხს კაპადოკიელების

⁴² „შესაქმე“, 10.

⁴³ „გეორგია“, I, გვ. 270—271.

⁴⁴ იქვე, I, გვ. 34—35.

⁴⁵ იქვე, I, გვ. 223.

⁴⁶ იქვე, I, გვ. 221—223; АВННУ, № 85.

ეთნარქოსად თვლიდა, გომერ-გამერს კი გალატიელების ეთნარქოსად, ძალზე გავრცელებული იყო საუკუნეთა მანძილზე. ლეონ გრამატიკოსი (XI ს.) და იოანე ზონარა (XI—XII სს.) იაფეთის შთამომავალთა დახასიათებისას ერთხმად აღნიშნავენ, რომ „გო-ჰარისაგან წოდებულ იქნენ გომარელნი, ახლანდელი გალატეა“. ხოლო „მოსოხისაგან მესხინთა (მესხთა) ტომი, ახლანდელი კაპადოკიელები“⁴⁷.

როგორც აღვნიშნეთ, ბიბლიოლოგიურ ლიტერატურაში „გომერ“ „გამერის“ სხვაგვარ ახსნა-განმარტებასაც ვხვდებით. „შესაქმეს“ წიგნის ლათინურ თარგმანში- ე. წ. Liber generationis⁴⁸-ში იაფეთის შთამომავლობა ასეა აღწერილი: „იაფეთის ძენი: გამერი, რომლისგანაც არიან კაპადოკიელები. მადაე, რომლისგან არიან მედ-ეები, იუანი, რომლისგანაც არიან ბერძნები და იონელები. თობელი, საიდანაც არიან ეტალიელები, თირასი, საიდანაც არიან თრაკიელები, თოგორმა, რომლისგანაც არიან არმენიელები“ და ა. შ. დაახლოებით ასევეა გაგებული ჩვენთვის საინტერესო ტერმინები გიორგი სინგელოზის (VIII—IX ს.) „ქრონოგრაფიაშიც“ („გამერი, რომლისგან წარმოშობილნი არიან კაპადოკიელები, მაგოგი, რომლისგან არიან კელტები ანუ გალატეები... თობელი, რომლისგან არიან თეტალიელები, მოსოხი, რომლისგან არიან ილირიელები“⁴⁹...).

როგორც ვხედავთ, „ბიბლიის“ გენეალოგიური სიების გვიანდელ კომენტარებში გამერ-გომერის შთამომავალთა ადგილსაცხოვრების შესახებ ორი სხვადასხვა თვალსაზრისი ყოფილა გავრცელებული. ერთის თანახმად, გამარელნი (კიმერიელები) გალატიაში ბინადრობდნენ, ხოლო მეორისა—კაპადოკიაში. გეოგრაფიული წარმოდგენების თვალთახედვით პირველი სიახლოვეს ავლენს ბერძენ ავტორთა იმ ცნობებთან, რომელთა შუქზე კიმერიელების სამოქმედო ასპარეზი დიდი ფრიგია, ლიდია და საერთოდ დასავლეთ მცირე აზია იყო. (ცნობილია, რომ ბალკანეთიდან მოსული გალატთა ტომები დიდი ფრიგიის ჩრდილო-აღმოსავლეთ და დიდი კაპადოკიის უკიდურეს დასავლეთ სექტორში დასახლდნენ). რაც შეეხება მეორე თვალსაზრისს, რომელსაც Liber Generationis-ის ავტორი და უფრო გვიანდელი მისი მიმდევრები იზიარებენ, შესაძლოა იგი, ეყრდნობოდა ძველადმოსავლურ წერილობით ტრადიციას, რომლის ორიოდე ცნობამ ჩვენამდეც მოაღ-

⁴⁷ „გეორგია“, V, გვ. I და შმდ.; „გეორგია“, VI, გვ. 182—183.

⁴⁸ „გეორგია“, V, გვ. I და შმდ.

⁴⁹ „გეორგია“, VI, გვ. 183—184.

წია (იხ. ზემოთ). გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ეს მეორე თვალსაზრისი დასდებოდა საფუძვლად სომხურ წერილობით წყაროებს, რომლებიც კაპადოკიას „გამირქების ქვეყნად“ თვლიდნენ, ხოლო კესარიას — „გამირქის დედაქალაქად“⁵⁰.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ დიდ კაპადოკიაში, კერძოდ კი, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში (ძვ. წ. VII ს-ის 80-70 წლების შემდგომი ხანა) კიმერიელთა ყოფნა საეჭვო არ უნდა იყოს. საკუთრივ თაბალში კიმერიელთა შემოსევაზე კი ვერაფერს ვიტყვით მანამ, სანამ არ გამოჩნდება ახალი მასალა — წერილობითი ან არქეოლოგიური, რომელიც, შუქს მოჰფენს ჩვენთვის საინტერესო საკითხს.

⁵⁰ ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ის, რომ მოგვსეს ხორენაცე ტერმინ „გამირქს“ მხოლოდ გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრებისადმი მიძღვნილ თავში იხსენიებს, რომელიც მისივე მოწმობით, საეკლესიო ლიტერატურის საფუძველზეა დაწერილი. აღნიშნული თავი ასეა დასათაურებული: „მოკლე ცნობები წმინდა გრიგორისა და მისი შვილების აღზრდისა და ცხოვრების შესახებ (ამოკრეფილი) არტითეს ებისკოპოსის ეპისტოლედან, რომელიც დაწერა ხაგროფქანის მოწესის მარკოსის თხოვნით“. იხ. დასახ. ნაშრ., II, 80.

თაბალის საზოგადოებრივი და სამეურნეო განვითარების
დახასიათებისათვის

ჩვენს ხელთ არსებული მასალის სიმცირის მიუხედავად, დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ თაბალი კლასობრივ საზოგადოებას წარმოადგენდა, თუმცა სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობათა ხასიათის ზუსტად დადგენა ძნელდება. ერთი კი ცხადი უნდა იყოს, რომ თაბალი წარმოადგენდა ადრეკლასობრივ სახელმწიფოებრივ გაერთიანებას ძველალმოსავლური (მცირეაზიური) ტრადიციების დიდი გავლენით.

წერილობით წყაროებში რამდენიმე ცნობას ვხვდებით თაბალში მეფეების არსებობის შესახებ.

ძვ. წ. IX-VII საუკუნეების ასურულ ტექსტებში სხვა ქვეყნების მმართველებთან ერთად არაერთგზის არიან მოხსენიებული თაბალის მეფეებიც (Šar māṭ Tabali). სალმანასარ III იხსენიებს „თაბალის 24 მეფეს“, ასევე „თაბალის 20 მეფეს“¹ და თაბალის მეფე თუათის¹, თიგლათფილესერ III—უასურმესა და ჰულის, სარგონ II—ამბარიდუს, ასარქადონი—იშგალუს, ხოლო ასურბანიფალა—მუგალუს². ვასუსარუმა (თიგლათფილესერ III-ის წარწერების უასურმე თაბალელი) ტოპადასა და სუვასას იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში „გმირ მეფედ“ იწოდება, ხოლო თუეათი (სალმანასარ III-ის წარწერების თუათი)— „დიდ მეფედ“³. ამასთანავე, ტოპადას წარწერაში „გმირ მეფესთან“

¹ საფიქრებელია, რომ ასურული წყაროების თაბალის მეფე თუათი, იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების დიდი მეფე თუეათი, 24 თუ 20 წერილი სამთავროს სათავეში იდგა. შდრ. გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ., 1955, გვ 71—72.

² Jorgen Laessoe, დასახ. ნაშრ., გვ. 125—153; ARAB, 1, 802; II, 25, 55; АВИИУ, № 46, 54, 68 და სხვ.

³ P. Meriggi, Hieroglyphisch-Hethitisches Glössar, გვ. 136. 153.

ერთად ორგზის ფიგურირებს სიტყვა *tapawarlas*, რომელსაც პ. მერიჯი კითხვის ნიშნით ვასუსარმას ტიტულატურად თვლის.

ძვ. წ. IX—VIII საუკუნეების მანძილზე თაბალში რამდენიმე სამეფო დინასტია შეიცვალა. წყაროების მოწმობით, დაახლ. ძვ. წ. 728 წელს, როდესაც თაბალის ურჩ მეფეს უასურმეს ასურეთის ქვეშევრდომობისაგან განთავისუფლება განუზრახავს, იგი მკაცრად დასჯილა, მის ნაცვლად ტახტზე თიგლათფილესერ III-ს ჰული — „არავის შვილი“ (ე. ი. პირი, რომელიც უასურმეს დინასტიას არ ეკუთვნოდა) დაუსვაგმს. როგორც ტოპადას იეროგლიფურ-ლუვიური წარწერებიდან ირკვევა, ვასუსარუმა (თიგლათფილესერ III-ის წარწერების უასურმე) თუვათის (სალმანასარ III-ის წარწერების თუათის) შვილი ყოფილა. ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ჩანს, რომ თაბალის ეკონომიური და კულტურული აღმავლობის ხანა სწორედ უასურმესა და მისი წინაპრების მეფობის დროზე მოდის. ამ მხრივ საგულისხმო ის არის, რომ თაბალურ პუნქტებში აღმოჩენილი წარწერების დიდ ნაწილში იხსენიებიან ვასუსარმა — უასურმე და თუვათი — თუათი. ნიშანდობლივია ისიც, რომ თაბალში ნაპოვნი მატერიალური კულტურის ძეგლების უმრავლესობა ძვ. წ. IX—VIII სს-ით თარიღდება.

ასურული წყაროების მიხედვით, „არავის შვილის“ — ჰულის სამეფო დინასტიას, რომელიც თიგლათფილესერ III-მ უასურმეს დინასტიას დაუპირისპირა, ხანმოკლე ისტორია ჰქონდა. უკვე სარგონ II-ის მეფობის ხანაშივე ჰულის ვაჟი ამბარიდუ „ურჩობისათვის“ მკაცრად დაისაჯა. სარგონ II-ის წარწერების თანახმად, ამბარიდუ ოჯახის წევრებთან, ნათესავებთან, დიდებულებთან და 100 საბრძოლო ეტლთან ერთად ასურში იქნა გადასახლებული, ხოლო თაბალის მართვა-გამგეობა ასურელ მოხელეებს დაეკისრა⁵. ასარქადონისა და ასურბანიფალის წარწერებში თაბალის მეფეები კვლავ ფიგურირებენ⁶. საფიქრებელია, რომ იშვალუ და მუგალუ ახლადგამეფებული სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლები იყვნენ.

ძალზე ცოტა რამ ვიცით თაბალში სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესის შესახებ. ჩვენს ხელთ არსებული ორიოდე არაპირ-

⁴ P. Meriggi, დასახ. ნაშრ., გვ. 119, 153.

⁵ ARAB, II, 24, 25, 55, 99, 118; АВИИУ, 46, 54.

⁶ Knudtzon, 54, 56, 57, 59, 60, 61; АВИИУ, № 68, ARAB, II, 781, 848.

დაპირი ხასიათის მითითების შუქზე შეიძლება დავასკვნათ, რომ თაბალის სამეფო ტახტი მემკვიდრეობით მამიდან შვილზე გადადიოდა⁷.

წყაროების ნაკლებობის გამო ძნელი სათქმელია, თაბალის მეფეები ერთპიროვნული მმართველები იყვნენ, თუ მათი ძალაუფლება შეზღუდული იყო საგვარეულო არისტოკრატის — ღიღებულების მიერ.

ჯერჯერობით ჩვენ ცოტა რამ ვიცით თაბალში მეფის უფლებათა შესახებ. საფიქრებელია, რომ მეფე ფლობდა როგორც საერო, ასევე სასულიერო ხელისუფლებას. როგორც ზემოთ დავინახეთ, ასურელებთან ურთიერთობის ინიციატორად, წესისამებრ, თაბალის მეფე გამოდიოდა. იგი ხან დიაპლომატიის გზით ცდილობდა ასურეთის ქვეშევრდომობისაგან განთავისუფლებას, ხან კი იარაღით ხელში იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის. მთავარ მოქმედ პირად რჩებოდა თაბალის მეფე მაშინაც, როდესაც თაბალი ასურეთთან მშვიდობიან თანამშრომლობას წყვეტდა⁸. როგორც იეროგლიფურ-ლუვიური წარწერებიდან ირკვევა, თაბალის მეფე აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის სასულიერო ცხოვრებაშიც: აგებდა სამლოცველოებს, საკურთხეველებს, საგანგებოდ იცავდა ღვთაებათა ქანდაკებებს, თვით ასრულებდა მსხვერპლშეწირვას და სხვა არაერთ რიტუალს.

ასურულ წყაროებში მეფესთან ერთად თაბალის საზოგადოების ზედა ფენის სხვა წარმომადგენლებიც იხსენებიან. ასე, მაგალითად, სარგონ II-ის წარწერებში საუბარია თაბალის მეფის, მისი ოჯახის, „მამის სახლის თესლით ნათესავთა“ და დიდებულთა დატყვევებაზე¹⁰. ასურბანიფალი კი სამ სხვადასხვა წარწერაში იკვებნის, თაბალისა და ხილაქუს მეფეებს ხარკის გადახდა დავაკისრე, ხოლო საჩუქრებით ხელდამშვენებული მათი ქალიშვილები სამეფო პარამხანაში მოვიყვანეო¹¹.

თაბალის მართვა-გამგეობაში საგვარეულო და სამოხელეო არისტოკრატია, როგორც ჩანს, საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებ-

⁷ P. Meriggi, *Manuale Di Eteo Geroglifico*, II, № 31; ARAB, II, 25, 55; АВИИУ, 46, 54, 68 და სხვ. ტახტის მემკვიდრეობის ასეთსავე წესს ვხვდებით თაბალის მეზობელ ქუეში, მელიდუსა და ქარხემიშში. იხ. P. Meriggi, დასახ. ნაშრ. № 11, 19, 22, 24; Г. А. Меликишвили, УКН, 158 და სხვ.

⁸ იხ. ზემოთ, თავი IV და აგრეთვე, თავი I, § 1.

¹⁰ ARAB, II, 24, 25, 55.

¹¹ ARAB, II, 781, 782.

და. ამაზე, უპირველეს ყოვლისა, მეფის მსახურთა (miti(a)-s) სახელით შედგენილი იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების სიმრავლე და გავრცელების ფართო არეალი უნდა ლაპარაკობდეს. ზემოთ აღინიშნა, რომ თაბალისათვის სავარაუდო ტერიტორიაზე აღმოჩენილი წარწერების დიდი ნაწილი თუვათისა და ვასურმას ქვეშევრდომებს („მსახურებს“) ეკუთვნის. ასე, მაგალითად, ირკვევა, რომ დღევ. ჩიფლიკში თუვათის მსახურს მეფისგამოსახულებიანი სტელა დაუდგამს და ზედ იეროგლიფურ-ლუვიური წარწერა ამოუკვეთია¹². იმავე მეფის მეორე ქვეშევრდომს, ვინმე რუვას, დღევ. კულულუს სანახებში სასახლე აუშენებია და ღვთაება თარხუნისათვის artali აღუმართავს¹³. ვასურმეს მსახურს დღევ. სულთან-ხანის ტერიტორიაზე ვენახი გაუშენებია და ამ ფაქტის უკვდასაყოფად ქვზე იეროგლიფურ-ლუვიური წარწერა გაუკეთებია¹⁴ და სხვა.

ისევე როგორც ძველი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, თაბალშიც არმია სამეფო ხელისუფლების ძირითადი დასაყრდენი ძალა უნდა ყოფილიყო. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ის ორიოდ ცნობა, ასურულმა და იეროგლიფურ-ლუვიურმა წარწერებმა რომ შემოგვინახეს. სარგონ II იხსენიებს 100 საბრძოლო ეტლს, რომლებიც მას თაბალში უგდია ხელთ¹⁵. ვასურმეს იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში კი საუბარია სამეფო ცხენოსან და ქვეით ლაშქარზე¹⁶. წყაროების უქონლობის გამო ჯერჯერობით არაფერი შეგვიძლია ვთქვათ მეეტლეთა, ცხენოსანთა და ქვეითი ლაშქრის რაოდენობრივი შეფარდების შესახებ.

დღემდე არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია თაბალში დედოფლის უფლებების შესახებ. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ დედოფლის მაღალ სტატუსს როგორც ხეთების ახალ სამეფოში, ასევე თაბ-

¹² P. Meriggi, დასახ. ნაშრ., II, I, № 34.

¹³ P. Meriggi, დასახ. ნაშრ., II, I, № 18.

¹⁴ P. Meriggi, დასახ. ნაშრ., II, I, № 30, იხ. აგრეთვე, იქვე, №№ 67, 78, 89—94.

¹⁵ ARAB, P. Meriggi, დასახ. ნაშრ., II, I, № 31.

¹⁶ P. Meriggi, დასახ. ნაშრ., II, I, № 31. ვასურმეს წარწერაში საგანგებოდაა მითითებული სამეფო ცხენოსანი ჯარის ცხენების ასაკი — სამი წელი. როგორც ჩანს, ჯარის ამ ნაწილებისათვის ცხენებს სპეციალურად შვრთნიდნენ. შესაძლოა, სწორედ ამ ცხენებს გულისხმობს კიდევ ასურბანიფალი, როდესაც ამბობს, თაბალს ხარკის სახით დიდი ცხენების მოყვანა ევალებოდაო (იხ. ARAB, II, 781, 911).

ლის მეზობელ სამთავროებში (ქუმუხი, ქარხემიში)¹⁷, შესაძლოა დავეუშვათ, რომ იგი დიდ როლს თამაშობდა ქვეყნის მართვა-გამგეობაში.

თაბალის საზოგადოების არათავისუფალი მოსახლეობის შესახებ ერთადერთი ცნობა შემოგვინახა „ბიბლიამ“, საიდანაც ირკვევა, რომ თაბალის არათავისუფალი მოსახლეობის ერთ ნაწილს მონები შეადგენდნენ. მხედველობაში გვაქვს ეზეკიელის ცნობილი ადგილი „ტვიროსის გოდებიდან“: „იავანი, თობელი და მეშეხი ვაკრობდნენ შენ შორის სულეbsა კაცთასა და ჭურჭელნი რვალისანი მისცნეს სავაჭროდ შენდა“.

* * *

ძვ. წ. II ათასწლეულის დამდეგიდანვე თაბალისათვის ნავარაუდები ტერიტორია მძლავრ ეკონომიურ და კულტურულ კერას წარმოადგენდა, რაც ბუნებრივ სიმდიდრეთა არსებობითა და მათი ინტენსიური გამოყენებით იყო შეპირობებული¹⁸.

ხელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა იმთავითვე შეუწყო ხელი ამ მხარეში მიწათმოქმედების განვითარებას. ძირითად სასოფლო-სამეურნეო მარცვლელ კულტურას პურეული—ხორბალი (*šē'umi*) და ქერი (*buq(u)lum*) წარმოადგენდა. „კაპადოკიურ“ ფირფიტებში ხორბალთან და ქერთან ერთად მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ისეთი ტერმინებიცაა დადასტურებული, როგორცაა *harpumi* („მოსავლის აღების დრო“), *reš daš'e* („დათესილი მარცვლელის გამწვანების დრო“) და სხვა¹⁹.

მარცვლელი კულტურების მოყვანასთან ერთად აქ განვითარებული ჩანს მეურნეობის ისეთი დარგებიც, როგორცაა: მებაღეობა, მევენა-

¹⁷ J. D. Hawkins, Hieroglyphic Hittite Inscriptions of Commagene, AnSt, XX, 1970, გვ. 70 და შმდ.; მისივე, Building Inscriptions of Carchemish, AnSt, XXII, 1972, გვ. 87 და შმდ. „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია“, გვ. 294—295.

¹⁸ ვრ. გიორგაძე, სავაჭრო-კულტურული ურთიერთობანი კაპადოკიასა და მეზობელ ქვეყნებს შორის ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში, „კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული II“, თბ., 1962, გვ. 11 და შმდ.

¹⁹ საგულისხმოა ისიც, რომ „კაპადოკიურ“ ფირფიტებში წლის დასაწყისის აღნიშნავდა ტერმინი *šibit niggalium*, რაც სიტყვასიტყვით „ეცლის აღებას“ ნიშნავს. იხ. Клинописные тексты из Кюль-тепе, XI; 67; 12; 87:1; 87:2; 87:5; 95:8; 106:11,14 და სხვ.

ხეობა, მებოსტნეობა. ძვ. წ. II ათასწლეულის წერილობით წყაროებში არერთგზისაა მოხსენებული *hashuru* („ვაშლის ხე“), *salluru* („მსხლის ხე“), *tilla* („ლელვის ხე“), *karānu* („ვაზი“), *kišširanum* („სტაფილო“?), *šilip karānim* („რთველის დრო“), *kirūm* („ბოსტანი“), *rabi šaqē* (მთავარი მეღვინეთუხუცესი), *rabi nuqizibbi* („მებალეების ან მებოსტნეების (?) უფროსი“)²⁰ და სხვა.

მცირერიცხოვანია ცნობები თაბალში მიწათმოქმედების განვითარების შესახებ. მიუხედავად ამისა, სავსებით ნათელია, რომ ისევე როგორც წინარე ხანაში, ძვ. წ. IX—VII საუკუნეებშიც, აღმოსავლეთ ანატოლიის ჩვენთვის საინტერესო მხარეში მიწათმოქმედება მეურნეობის წამყვან დარგს წარმოადგენდა. ამ მხრივ სულთან-ხანის იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერაში პურის მოხსენიება განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს (წარწერაში პურის გაცემაზეა საუბარი)²¹. არანაკლები მნიშვნელობა აქვს „ვაზის პურისა“ და „ხილის პურის“ მოხსენიებასაც²². (ამგვარი რიტუალური პურების შეწირვა მევენახეობასთან და მებალეობასთან იყო დაკავშირებული²³). საგულისხმოა სულთან-ხანის წარწერის მონაცემები თაბალში მევენახეობის არსებობის შესახებაც. წარწერიდან ვიგებთ, რომ ვასურმეს მსახურს დღევ. სულთან-ხანის მახლობლად ვაზი გაუშენებია და იგი სავანგებო ზრუნვისა და მოვლა-პატრონობის საგნად უქცევია²⁴.

თაბალში მიწათმოქმედების არსებობაზე „ბიბლიაც“ ლაპარაკობს. როგორც დავინახეთ, „შესაქმეს“ წიგნის თანახმად, თუბალკაინმა, რომელიც იყო „მშრომელ ქუეყნისა“, ღმერთს ძღვენი მოართვა „ნაყოფთაგან ქუეყანისათა“ („შესაქმე“, IV, 2—3).

წინარე ხანისაგან განსხვავებით, ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით თაბალში მიწისმფლობელობის ფორმებისა ან მეურნეობის სტრუქტურის შესახებ. ჭერჭერობით ერთადერთია სულთან-ხანის წარწერაში შემონახული ცნობა, თაბალში მიწაზე და ვენახზე გადასახადის არსებობაზე რომ ლაპარაკობს²⁵.

²⁰ გრ. გიორგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 11 და შენ. 17. აქვე იხ. მითითება სათანდო ლიტერატურაზე; Клинописные тексты из Кюль-тепе, 68:8, 68:13; 80: 7.

²¹ P. Meriggi, დასახ. ნაშრ., II, I, № 30.

²² ArOr, VII, № 3, 1935, გვ. 488 და შმდ.

²³ ცნობა „ვაზის პურისა“ და „ხილის პურის“ რიტუალური მნიშვნელობის შესახებ ჯ. რუხაძემ მოგვაწოდა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

²⁴ P. Meriggi, დასახ. ნაშრ., II, I, № 30.

²⁵ P. Meriggi, დასახ. ნაშრ., II, I, № 30.

ანატოლიაში და. კერძოდ, კი, ჩვენთვის საინტერესო თაბალის ტერიტორიაზე მესაქონლეობა მეურნეობის წამყვან დარგს წარმოადგენდა. „კაპადოკიურ“ ფირფიტებში არაერთგზისაა მოხსენებული როგორც მსხვილფეხა, ასევე წვრილფეხა საქონელი. სახელდობრ, „ხარი“, „ძროხა“, „სახედარი“, „შავი სახედარი“, „თხა“, „ცხვარი“ „ცხენი“. ამ მხარის მეურნეობაში მესაქონლეობის მნიშვნელობაზე ლაპარაკობს სამეურნეო ხასიათის დოკუმენტებში ისეთი ტერმინების არსებობაც, როგორცაა: *rabi alpātim* („ხარების მთავარი გამრეკი“) *rabi sīsē* („მთავარი მეჭინბე“), *sarridum* („სახედრების გამრეკი“)²⁶ და სხვა.

თაბალში მესაქონლეობის არსებობის შესახებ საგულისხმო ცნობებს ვპოულობთ როგორც თვით ამ ქვეყნის სხვადასხვა პუნქტში აღმოჩენილი იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში, ასევე ასურულ და ძველებრაულ წერილობით წყაროებშიც.

მსხვერპლშეწირვის სხვადასხვა რიტუალის შესრულებასთან დაკავშირებით იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში იხსენიება „ხარები“ და „ცხვრები“²⁷. კულულუს, ბოლჩას, ტოპადასა და სულთანხანის წარწერებში²⁸ კი საუბარია „ცხენზე“, „ცხენის საჯინბოებზე“, „ცხენოსან ჯარზე“, რაც თაბალელთა ყოფაში ცხენის დიდ მნიშვნელობაზე ლაპარაკობს. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა აგრეთვე ასურული წერილობითი წყაროების მონაცემებიც: თიგლათფილესერ III ამბობს, რომ მას თაბალიდან 2000 ცხენი წაუყვანია²⁹. ასურბანიფალის მოწმობით, თაბალელებს ხარკის სახით დიდი ცხენების მოყვანა ევალებოდათ³⁰; საინტერესოა სარგონ II-ის მონათხრობიც: თაბალიდან ასურში 1000 საბრძოლო ეტლი მოვიყვანეო³¹.

თაბალში წვრილფეხა საქონლის არსებობაზე საუბარია „შესაქმეს“ წიგნის IV თავში. როგორც დავინახეთ, ამ წყაროში თუბალკაინის ძმის აბელის საქმიანობა დანასიათებულია როგორც „მწყემსი ცხოვართა“ („შესაქმე“, IV, 2), ხოლო ძღვენზე, რომელიც აბელს

²⁶ გრ. გიორგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 18 და შებ. 50; Клинписные тексты из Кюль-тепе, гв. 220—221.

²⁷ P. Meriggi, დასახ. ნაშრ., № 18, 30.

²⁸ P. Meriggi, დასახ. ნაშრ., №№ 18, 27, 30, 31.

²⁹ ARAB, I, № 802.

³⁰ ARAB, II, № 781, 911.

³¹ ARAB, II, №№ 24, 25, 55.

ღმერთისათვის მიუერთმეგვია, ნათქვამია: „და აბელცა მოართვა პირმშოთაგან ცხოვართა მისთასაო“ („შესაქმე“, IV, 4).

არქეოლოგიური გათხრების შეუქმე, თაბალში დიდად ყოფილა განვითარებული ხელოსნობა. განსაკუთრებით მაღალი დონისათვის მიუღწეგვია მეთუნეობას. როგორც აღინიშნა, თაბალი მოხატული, ე. წ. „ფრიგიული“ ანუ ალიშარ IV ტიპის, კერამიკის წარმოების დაწინაურებული და მძლავრი ცენტრი იყო. თაბალელებს დიდი ოსტატობით უკეთებიათ როგორც მონუმენტური (მაგალითად, მონუმენტური კრატერები), ასევე მცირე ზომის სხვადასხვა დანიშნულების კერამიკული ჭურჭელიც³².

მოხატულ ჭურჭელთან ერთად ახალ არქეოლოგიურ მასალებში ვხვდებით წითელპირილა სამტუჩა თასებს, დიდი ზომის სამტუჩა ღოჭებს, ფიალებს და სხვა კერამიკულ ნაწარმს. თაბალურ პუნქტებში მოპოვებულია აგრეთვე მონოქრომული და შავპირილა ჭურჭელიც, თუმცა მისი ხვედრითი წონა მოხატულთან შედარებით უმნიშვნელოა³³.

არქეოლოგიური მასალებდან გამომდინარე, თაბალში საკმაოდ მაღალი იყო სამშენელო საქმის განვითარების დონეც, რაც სხვა მიზეზებთან ერთად სამშენელო მასალებით (ბაზალტის ქვა, მარმარილო; ლითონები) ჩვენთვის საინტერესო მხარის სიმდიდრითაც იყო შეპირობებული³⁴. ზემოთ ვნახეთ, თუ როგორი იყო თაბალური ცენტრების დაგეგმარება. თაბალის ტერიტორიაზე ამ ბოლო წლებში გათხრილი დასახლებები (გოლუდალი, კულულუ და სხვ.) ქალაქური ტიპის დასახლებებს წარმოადგენდნენ. როგორც წესი, ისინი

³² იხ. ზემოთ, თავი I, § 4.

³³ მოხატული და მონოქრომული ჭურჭლის ამგვარი თანფარდობა რკინის ხანის დიდი კაპადოკიის სხვა პუნქტებისთვისაცაა დამახასიათებელი. ამ თვალსაზრისით განსხვავებულ სურათს ვხედავთ თაბალის მეზობელ ფრიგიაში და კერძოდ კი, გორდიონში, სადაც ნატრისფერ ჭურჭელს ძვ. წ. VIII ს-ის მეორე ნახევრის მთელ მანძილზე გაბატონებული მდგომარეობა უკავია.

³⁴ ხეთურ ტექსტებში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ ხეთებს მარმარილო ქანსიდან მოქონდათ. იხ. Э. Д. М е н а б д е, Хеттское общество, тб., 1965, გვ. 61—62; საგულისხმოა სტრაბონის ცნობაც სამშენელო ქვით მაზაკას მიდამოების სიმდიდრეზე რომ მოგვითხრობს, იხ. S t r a b o, XII, II 8.

³⁵ იხ. ზემოთ, თავი I, § 4. თაბალში ქალაქთმშენელობის ძლიერ ტრადიციებზე „ბიბლიაც“ ლაპარაკობს. როგორც დავინახეთ, კაინმა ანუ თუბალ-კაინმა ახალ ადგილზე მისვლისთანავე ბინადარ ცხოვრებას მიჰყო ხელი. იგი „დაემკუდრა ქუეყანასა ნაიდს წინაშე ედემისა“ („შესაქმე“ IV, 16) და „აღაშენა ქალაქი და უწოდა ქალაქსა სახელი ძისა თვისისა, ენოხ“ („შესაქმე“, IV, 17).

ბორცვებზე იყვნენ განლაგებული. ქალაქს კედელი ზღუდავდა. მას რამდენიმე შესასველი ჰქონდა. ყოველ შესასვლელს ქვის ქანდაკებები ამშვენებდა. ბორცვის ყველაზე მაღალ ადგილას დიდი ზომის შენობებს (ტაძრებს ან სასახლეებს) აგებდნენ. თაბალურ ნაქალაქარებში ხელოვნების მრავალი ძეგლია აღმოჩენილი: ღვთაებათა და საერო პირების მონუმეტური ქანდაკებები, სფინქსებისა და ლომების ქანდაკებები, არაერთი სამლოცველო თუ საკურთხეველი. საგულისხმოა, რომ ტოპადაში აღმოჩენილ იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერაში საუბარია ქალაქ Parwita-ზე, რომელსაც კედელი ზღუდავდა. (წარწერის მოწმობით, მტერს ქალაქის კედელი დაუნგრევია და ქალაქისათვის ზიანი მიუყენებია)³⁶, ხოლო კულულუს ერთ-ერთ წარწერაში იხსენიებიან „საცხოვრებელი სახლები“ და „სასახლე“³⁷.

მთამადნეულით (სპილენძი, ვერცხლი, ოქრო, ტყვია, რკინა) სიმდიდრე და წინარე ხანის მეტალურგიული ტრადიციები საშუალებას აძლევდა თაბალის მოსახლეობას მაღალ დონეზე აეყვანა მელითონეობის საქმეც.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათწლეულში თაბალისათვის ნავარაუდები ტერიტორია და მისი მეზობელი ტავროსიას მთიანეთი განთქმული იყო ვერცხლით. „კაპადოკიური“ დოკუმენტებით ვერცხლით ქანიშის (ქანესის) უზრუნველყოფაში დიდ მონაწილეობას ღებულობდნენ ბინარამა, შალახშუა (ელბისტანთან), შალათუვარა და სხვანი, რაც ნაწილობრივ დასტურდება კიდევ ბულღარდალსა და გიუმიუშდალში ვერცხლის ძველთაძველი მაღაროების არსებობით³⁸. ძვ. წ. XIX—XVIII საუკუნეებში აღმოსავლეთ მცირე აზიაში სპილენძით ვაჭრობის მონოპოლია ქანიშს ეკუთვნოდა. დადგენილია, რომ საგარეო ვაჭრობისათვის განკუთვნილი მთელი სპილენძი, ქანიშის სამხრეთით მდებარე სპილენძით მდიდარ ვაშხანია, ვახშუშანა, ბურუშხათუმიდან და მის ჩრდილოეთით ლოკალიზებულ დურხუმიდან სწორედ ქანიშში იყრიდა თავს³⁹.

ქიულ-თეფეში აღმოჩენილ „კაპადოკიურ“ ფირფიტებში საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი მეტალურგიასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია, რაც ამ მხარეში მელითონეობის განვითარების მაღალ

³⁶ P. Meriggi, დასახ. ნაშრ., II, I, № 31.

³⁷ P. Meriggi, დასახ. ნაშრ., II, I, № 18.

³⁸ P. Garelli, Les Assyriens en Cappadoce, Paris, 1963, გვ. 267 და შმდ.

³⁹ უფრო დაწვრილებით იხ. P. Garelli, დასახ. ნაშრ., გვ. 260 და შმდ.

დონეზე უნდა ლაპარაკობდეს. დოკუმენტებში იხსენიება როგორც „სპილენძი“ (*erum*), ასევე „კარგი“ და „ცუდი“ სპილენძიც (*erum dammuqum*, *erum lammunūn*), როგორც „ვერცხლი“ (*kaspum*), ასევე „ვერცხლის ქვიშა“ (*kaspium liti*), ქანიშური „გამდიდრებული“ ვერცხლის ქვიშა“ (*kaspium liti dammuqum ša Kanis*), „გარეცხილი ვერცხლი“ (*kaspium masi'um*), „გასუფთავებული ვერცხლი“ (*kaspium sarrupum*) და სხვა. „კაპადოკიურ“ ფარფიტებში ფიგურირებენ აგრეთვე „ოქრო“ „ტყვია“ და „მეტეორული (?) რკინაც“ (*hu-rašūn*, *annakūn* და *amūtum*, *ašī'um*). ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა აგრეთვე ისეთი თანამდებობის არსებობაც, როგორცაა *rabi saparrim* („ბრანჯაოს ჩამომსხმელთა უფროსი“)⁴⁰.

სალმანასარ III თაბალთან და ქუესთან მდებარე მთებს „ვერცხლისა“ და *paruttu*—ქვის მთებს უწოდებს⁴¹. იგივე სალმანასარ III იყვეხნის, რომ მას თაბალას მეზობელ ქუეში ხარკის სახით წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელთან ერთად ვერცხლი, ოქრო და რკინა მიუღლია⁴².

ძალზე საგულისხმოა თიგლათფილესერ III-ის მონათხრობიც, თაბალიდან 10 ტალანტი ოქრო და 1000 ტალანტი ვერცხლი წავიღე (რაც 300 კგ ოქროსა და 30 ტონა ვერცხლს შეადგენს)⁴³. ოქრო და ვერცხლი უგდია ხელთ სარგონ II-ს თაბალის მეზობელ შინუხთუში⁴⁴.

როგორც აღვნიშნეთ, „შესაქმეს“ წიგნის IV თავის ავტორის მოწმობით, „თუბალი ესე იყო კვერით ხურომ, მკედელი რვალისა და რკინისა“ („შესაქმე“, IV, 22), ზოლო ეზეკიელის თანახმად, თაბალები ტვიროსში რვალის ქურქელით ვაჭრობდნენ (ეზეკიელი, 38₁₃). თაბალის მოსახლეობის დაწინაურებაზე მელითონეობაში სარგონ II-ის წარწერების მონაცემებიც ლაპარაკობენ. მუსასირში მდებარე ხალდის ტაძრიდან წაღებული მდიდარი ნადავ-

⁴⁰ Клинописные тексты из Кюль-тепе, 8: +3; 13:5; 42: X+8; 43: X+4; 56:7 და სხვ. 68:1; 14:X+10; 17:21; 21:7; 62:X+5; 100:1, 4, 6; 108:1—2; და სხვ.

⁴¹ ARAB, I, 582; Jorgen Laessoe, დასახ. ნაშრ., გვ. 153; Houwink Ten Cate, დასახ. ნაშრ., გვ. 19.

⁴² ARAB, I, 583.

⁴³ Н. Б. Я н к о в с к а я, Некоторые вопросы экономики ассирийской державы, ВДИ, № 1, 1956, გვ. 28 და შმდ.

⁴⁴ ARAB, II, 7, 55.

ლის აღწერისას, სარგონ II თაბალურ ლითონის ჰურპელსაც იხსენიებს. სახელდობრ, ფიალებს ოქროსა და ვერცხლის ყურებით თუ სახელურებით, ვერცხლის სასაქმეველებსა და საცეცხლურებს⁴⁵.

თაბალის საზოგადოების განვითარების მაღალ დონეზე, ზემოაღნიშნულთან ერთად, მიუთითებს დამწერლობის (იეროგლიფურ-ლუვიურის) ფართო გამოყენებაც.

⁴⁵ ARAB, II, 172, 213.

ЭТНИЧЕСКИЕ И ПОЛИТИЧЕСКИЕ ОБЪЕДИНЕНИЯ ВОСТОЧНОЙ МАЛОЙ АЗИИ I ПОЛОВИНЫ I ТЫСЯЧЕЛЕТИЯ ДО Н. Э.

Резюме

Период XII—X вв. до н. э. (после сокрушительного для многих государств и культурных центров нашествия «народов моря») известен в истории Малой Азии под названием «темного», ибо почти полное отсутствие письменных источников и археологических данных не позволяет нам с уверенностью судить о процессах, происходивших в этом историческом регионе. Отдельные скудные сведения указывают на непрерывный поток в Анатолию племен балкано-фракийского происхождения (фригийцы, фракийцы, протоармены, вифинийцы, эолийские, ионийские и дорийские греки), появление которых в западной части Малой Азии хорошо отразилось в стратиграфии Трои (керамические изделия из слоя VII В I). Археологические материалы, а также языковые данные свидетельствуют об этногенетических контактах балкано-фракийцев и западно-малоазийских племен I тыс. до н. э.

Многочисленность иероглифическо-лувийских (хеттских) надписей, большой ареал их распространения, а также теофорные имена малоазийских местных правителей (Тархуназ, Тархулар, Тархутина, Азитивада, Хиларуада, Сандасарма и др.) и популярность иероглифическо-лувийского пантеона указывают на существование довольно мощного лувийского (лувийско-«иероглифического») этнического элемента в южных районах Восточной Малой Азии.

Среди этнических и политических объединений Восточной Малой Азии I тыс. до н. э. страна Табал занимала одно из важных мест, что подтверждается, в первую очередь, ассирийскими источниками IX—VII вв. до н. э. Наряду с царством мушков, Табал выступал как непримиримый противник Ассирии на крайнем западе ассирийской державы.

Интерес к Табалу особенно возрос после того, как на предполагаемой табальской территории были обнаружены

иероглифическо-лувийские надписи и в последнее время сделан ряд археологических открытий.

Хотя отдельные вопросы истории Табала (происхождение термина «Табал», этногенез населения, локализация страны) давно привлекает внимание исследователей, однако проблема по сей день не изучена монографически. Данная работа является первой подобной попыткой. На основе ассирийских, древнеевропейских, иероглифическо-лувийских, древнегреческих, римских, византийских источников и археологических материалов, обнаруженных в 1967—1976 гг. мы попытались дать локализацию Табала, установить происхождение термина «Табал» и этно-культурную принадлежность населения, изучить ряд вопросов политической и социально-экономической истории этой страны. И если при всем этом автору удалось более или менее убедительно восстановить отдельные фрагменты истории Восточной Малой Азии IX—VII вв. до н. э., он в известной мере может считать свою задачу выполненной.

Надписи Салманасара III, Тиглатпиласара Ш, Синаххе-риба, Ассардхадона и Ашшурбанипала дают ряд сведений для локализации Табала, о его правителях, взаимоотношениях и борьбе с Ассирией, экономическом развитии страны и т. д.

Библейские данные разнообразны (здесь ассирийскому Tabalu соответствует Tubal, а также, $\Theta\omega\beta\acute{\epsilon}\rho$, $O\beta\acute{\epsilon}\rho$, Thobel, „თბელ“, „თბვლ“, „თბველ“ древнегреческих, латинских и грузинских переводов Библии). Согласно им можно судить о географическом местонахождении и этно-политическом окружении изучаемой нами страны; в них находим упоминание об этнархе Тубале потомке одного из сыновей Ноя—Яфета, сведения о родственных связях с другими племенами, в первую очередь, Иаваном и Мосоком. Анализ IV главы «Бытия», в которой упоминаются Иабал-Йубал и Тубал-Каин, приводит нас к заключению об идентичности Абель-Иабал, с одной стороны, и Каин-Йубал и Тубал-Каин, с другой. Это позволяет сделать вывод, что в IV главе «Бытия» дано своеобразное изложение истории племени или объединения племен, представленных под названием Тубал-Каин.

Иероглифическо-лувийские надписи, открытые на бывшей табальской территории (Топада, Суваса, Чифтлик, Кайсери, Султанхан, Кулулу и др.) дают возможность судить об уровне культурного развития и ареале распростра-

нения иероглифическо-лувийской письменности и языка, помогают нам при изучении вопроса о локализации страны, рассмотрении вопросов политической и социально-экономической истории Табала. Иероглифическо-лувийские надписи на сегодняшний день являются единственным источником по изучению религиозных представлений населения Табала (в надписях упоминаются лувийские божества Санта, Дата, Кубаба, Тархун, Арма и другие).

Археологические раскопки 1967 — 1976 гг. на предполагаемой территории Табала (совр. Кулулу, Султанхан, Кюльтепе, Топакли, Хакибекташ, Голудаг, Нигде-Тепебаглары) позволили осветить ряд вопросов истории этой страны. Особое значение при этом имеют раскопки в Голудаге и Кулулу.

Согласно распространенному в начале в зарубежной, а затем и в грузинской научной литературе мнению (Ж. Сюри, Х. Гельцер, Э. Шрадер, Х. Кипперт, И. А. Джавахишвили, С. Н. Джанашна, Г. А. Меликишвили и др.), тибарены античных авторов соответствуют табальцам ассирийских источников, что весьма спорно (см. ниже).

У Гекатея Милетского засвидетельствована древнейшая форма этого названия (Τιβάρωλ). Большинство же греческих, римских и византийских авторов (Геродот, Ксенофонт, Псевдо-Скилак-Кариандийский, Скимнос Хиосский, Апполоний Родосский, Плиний Секунд, Плутарх, Гай Флакус, Дионисий Периегет, Псевдо-Арриан, Евсений, Иероним и многие другие) интересующие нас племена называют «тибаренами» (Τιβάρηνοι). Страбон иногда употребляет и форму Τιβαρανωλ, Помпоний Мела — Tibereni и Tibarani, автор „Liber generationis“ — Tibarenses, Евстафий — Tibaranoi и т. д. Встречаются термины - «тибаренские племена» и «тибаренская земля», «тибаренская страна (край)» — Τιβαρανωιά ἔθνη, Τιβάρηνά ἔθνη, Τιβάρηνίδα γαῖαν, Τιβάρηνίδα.

В этих же источниках находим сведения о местонахождении страны тибаренов: как правило, ее помещают между землями моссиников и халибов (Гекатей Милетский, Стефан Византийский, Псевдо-Скилак, Ксенофонт, Евстафий и др.). В источниках имеются указания об их расселении в районе Котноры (совр. Орду) на черноморском побережье (Ксенофонт и др.), об их соседях (помимо халибов и моссиников — левкосирийцах (Эфор), мосхах и т. д. При опи-

сании рельефа страны Ксенофонт называет ее равнинной, и прибрежной, Гай Флакус указывает на «зеленые озера» в этом краю и т. д.

Сведения об этническом происхождении тибаренов крайне скудны. Апполоний Родосский считает их (наряду с халибами и сапирами) племенами скифского происхождения. Согласно поздним авторам и комментаторам Библии, они были потомками Яфета.

Греко-римские и византийские авторы сообщают нам и об отдельных моментах жизни и быте тибаренов. Согласно Геродоту, они входили в 19-ую сатрапию Ирада и платили дань в размере 300 талантов, участвовали в походе Ксеркса. Ксенофонт сообщает, что тибарены, наряду с другими племенами, к концу V в. стали независимыми (αὐτονομοί), они жили в небольших укрепленных поселениях (χωρία) на морском побережье, где находился также и эллинский город (πόλις Ἑλληνίς) Котиора, платившая дань античной Синопе, чьей колонией и была.

По данным Апполония Родосского, Дионисия Периегета, Присциана и Никифора Блемида, тибарены занимались главным образом скотоводством.

Согласно Апполонию Родосскому, Гаю Флакусу, Плутарху и Зиновию, для тибаренов был характерен обычай «кувады», характерный (по мнению ряда авторов — С. Макалатия, Г. С. Читая) для переходного от матриархата к патриархату периоду.

* * *

Часть ученых (Х. Гельцер, Э.Форрер, И. А. Джавахишвили) считают, что страна Табал занимала территорию Великой Каппадокии. Однако есть и другие предположения. Б. Ландсбергер локализовал Табал в юго-западной Каппадокии (в районе совр. Кайсери — антич. Мазака), а И. М. Дьяконов помещал его в южной Каппадокии (в районе Киликийского Тавра, или в верховьях Сей-Хана и Энидже-Вирмака).

Название «Табал» впервые появляется на «Черномobeliske» Салманасара III (859 — 824 гг. до н. э.). Согласно

тексту, Табал находится западнее Евфрата, по-соседству с Мелидом (хетт. Малдиа, урарт. Мелитеа, антич. Мелитена, совр. Малатья). Это подтверждается как другой надписью Салманасара III, так и текстами времен Ассархаддона (681—668 гг. до н. э.) и Ашшурбанипала (668—626 гг. до н. э.).

Однако подобная локализация наталкивается и на ряд трудностей. Согласно текстам Саргона II (II пол. VIII полв. до н. э.), Мелид являлся «одним из городов обширной страны Камману». Камману ассирийских источников обычно отождествляют с хетт. Кумманой и антич. Команой (в верховьях р. Сей-Хан, у совр. Шахра), что позволяет нам установить западную границу этой области близ совр. Гюрюн-Шахр, где она по-видимому, примыкала к Табалу. Это подтверждается текстом Синаххериба (705—681 гг. до н. э.), анализом других надписей Салманасара III и тем фактом, что все известные в настоящее время иероглифическо-лувийские надписи табальских царей и их подданных найдены на территории, расположенной к западу от Гюрюн-Шахра.

Таким образом, можно установить, что восточная граница Табала проходила к западу от Камману (т. е. к западу совр. Гюрюн-Шахра и верховьев Сей-хана), а не около самого Мелида.

Что касается других границ Табала, то в этом отношении внимание привлекают надписи Тиглатпиласара III (745—727 гг. до н. э.) и Саргона II, указывающие на соседство Табала с Туной и Шинухту.

Согласно данным текстов того же Саргона II, с юга к Табалу примыкала страна Хилакку. В пользу этого говорят также и сведения надписей Ассархаддона и Синаххериба. Этот последний указывает на близость Хилакку к городу Иллубру, который локализуется Э. Форрером в районе совр. Немруна (византийск, Лампрон), т. е. к юго-западу от Киликийских ворот и к северо-западу от Куэ. В виду того, что к юго-востоку от ассирийского Иллубру (в Киликии Педнаде) следует поместить Куэ, а к юго-западу (в Киликии Трахее) — Пиринду, то интересующая нас Хилакку окажется севернее Иллубру, близ совр. Позанды, расположенного у совр. Булгар-дага.

Все это можно подтвердить и анализом текстов Синаххериба, Ассархаддона и Саргона II.

Хилакку в научной литературе отождествляется зачастую с античной «Киликией» и ищут ее либо в этой области, либо в окрестностях г. Мазаки (согласно древнегреческой тради-

ции, «Киликией» назывался и этот район великой Каппадокии (Геродот, Страбон).

Однако это мнение не соответствует данным источников. Во-первых, Хилакку (если судить по сведениям древневосточных источников) нельзя поместить в Киликии (в Педиаде или Трахее), ибо здесь находились Куэ и Пиринду. Это подтверждается анализом текстов Салманасара III, Тиглатпиласара III, Саргона II и арамейской надписью царя Хамата — Закира. Согласно ассирийским источникам IX — VII вв. до н. э. (тексты Салманасара III, Саргона II, Синаххериба, Ассархаддона) и надписям вавилонских царей VII — VI вв. до н. э. (надписи Навуходоносора II, Нериглиссара и Набоннада), можно прийти к выводу, что Куэ находилась на месте поздней Киликии Педиады. С Куэ граничили Хилакку, Табал и Пириду. К востоку она простиралась до горы Аман (совр. Нурдаг), к югу — до Средиземного моря, к западу — до реки Ламос (?) и Киликийского Тавра, а к северу до верховьев совр. Сей-Хана.

Сравнительный анализ ассирийских данных и сообщений Ксенофонта, Страбона и других античных авторов показывает, что нельзя согласиться и с локализацией Хилакку в районе Мазак (совр. Кайсери). Локализация этой страны на северных склонах Булгар-дага (в районе Киликийских ворот, у совр. Позанды), по соседству с Иллубру-Куэ, с одной стороны, и Табалом, с другой, более отвечает данным источников. Несмотря на фонетическую близость терминов «Хилакку» и «Киликия», они обозначали различные, хотя и соседние области. Замена наименования «Куэ» термином «Киликия» (происходящим от «Хилакку») могла произойти в более поздние времена, что подтверждается и текстом Библии, где Киликия названа именно *qucē-³qucā.

Таким образом, автор настоящей монографии приходит к выводу, согласно которому южная граница Табала начиналась у Киликийских ворот и шла вдоль линии совр. Позанды — Зейве — Бора.

Нельзя обойти молчанием и данные ассирийских и древнееврейских (Езекиль) текстов о соседстве Табала со страной мушков. Для локализации этой страны имеет значение то обстоятельство, что древнефригийская надпись (последняя четверть VIII в. до н. э.) царя мушков Мита (фригийский Мидас греческих источников) была найдена близ соседней с Табалом Туханой (совр. Бор, антич. Тиана), а неоглифическо-лувийская надпись, содержащая упоминание страны мушков обнаружена к юго-западу от Табала, в совр. Кызылдаге.

В связи с локализацией страны мушков к западу и юго-западу от Табала обращают внимание и некоторые сообщения древнегреческих авторов (Геродота, Ксенофонта), а также ареал распространения иероглифическо-лувийских надписей табальских царей VIII—VII вв. до н. э.

Близ расположенной на среднем Галисе Топады находился город Parwita (вар. Barwatas), в котором правил сын Туваты «великий царь» Васусарма II (?). Святилище того же царя находилось к северо-западу от совр. Сувасы. Районы совр. Чифтлика, Кайсери, Султанхана находились под владычеством того же Васусармы; а область совр. Кулулу являлась владением Туваты и Васусармы.

Из всего сказанного можно заключить, что граница между Табалом и страной мушков проходила вдоль линии совр. Султанхана — Кайсери — Сувасы — Топады—Чифтлика — Бора (к востоку и юго-востоку от среднего течения Галиса).

В древневосточных текстах нет прямых данных о северной границе Табала.

Таким образом, в свете рассмотренных источников страна Табал локализуется в западном секторе Великой Каппадокии, к западу от совр. Гюрюн — Шахра — Позанды (верховьев Сей-хана), к северу и северо-западу от линии совр. Позанды—Зейве—Бор—Чифтлика, к востоку от Султанхана — Кайсери — Сувасы — Топады (к востоку от среднего Галиса). В соответствии с этим с Табалом граничили: Камману (с востока), Куэ (с юго-востока), Хилакку, Туна, Шинухту и Тухан (с юго-востока к северо-западу) и страна мушков — Фригия (с запада и юго-запада).

* * *

Термин «Табал» уже в прошлом веке отождествлялся учеными с «Тубал», «Иабал», «Йубал», «Тибарен» -ом (Ж. Сюри, Х. Гельцер, Э. Шрадер, Х. Кипперт и др.). Некоторые исследователи, следуя за Иосифом Флавием, связывали этот термин и с «Ибер»-ом (П. Иоселиани и др.). Ряд грузинских исследователей (Д. Бакрадзе, М. Джанашвили) рассматривали термин «Табал» в связи с грузинским словом «озеро» (общегруз. *ṭaba*, груз. *ṭba*, мегр.-чан. *ṭoba*, *ṭiba*, сван. *ṭuba*).

И. А. Джавахишвили параллельные формы «Табала» объяснял на основе картвельских языков. «Табал» он связывал с «Ивер-ом», «Имер-ом» («Имерели», «Имерети»), арм. «Вирк-ом», древнеперс. «Вркан-ом» («Врджан-ом»), новоперс. «Гурджаном», араб. «Гурзаном» и асс. «Гурзаном».

На той же основе С. Н. Джанашиа пришел к выводу, что Tabal (tab+al) означает «табели», «тбели», т. е. приозерного или приморского жителя».

Еще в 1935 г. И. Гельб название Tibira одной «каппадокийской» таблички из Кюль-тепе отождествлял с Tabal-Tubal-Tobel-Tober-, Tibar-ом надписи Нарамсуена, с хетт. Tīpāl и «тибарен»-ами, а также с шум. *Lú tibira*, асс. *tabêru* и месопотамскими божествами Tibal, Tibira.

И. М. Дьяконов отвергает связь Tabal-а с «тба» и «тибарен»-ами. По его мнению термин «тибарены» близко стоит к наименованию одного из каскских племен Tīpia (Tibia). Э. Кавеньяк отождествлял Tabal с Tobałmeuga, находящегося в Лидии.

Хотя мы и признаем логичность предположения о фонетической близости Tabal и его параллельных форм с «тба», вопрос нельзя считать окончательно решенным, до того периода пока на предполагаемой табальской территории не будут обнаружены какие-нибудь следы картвельских племен (картов, занов или мегрело-чанов и сванов). В противном случае почти невозможно допустить, что асс. Tabal—грузинская, древнеевр. Tubal—сванская, а библейская Tobel—чанская формы одного и того же названия. Это тем более, что в идентичных малоазийских географических именах часто можно встретить чередование а/е, а/і, а/о, і/о, у/о и т. д.

Нельзя согласиться и с отождествлением термина Tabal с «табели», «тбели», ибо ассир. название *māt Tabalu* означало страну, а не народ, даже в форме *māt Tabalaja* подразумевается страна, а не народ (И. М. Дьяконов).

Идентичность термина Tabal с такими географическими понятиями, как Tibira, Tibar, Tīpāl — вполне допустима. Вместе с тем, *Lú tibira* имеет субстратный характер, оно — протошумерского происхождения (А. Салонен) и

переводится как «кузнец по меди» (А. Оппенхайм), «металлург» (Х. Лимэ), «ремесленник по обработке металла» (Р. Лаба). То же значение имеет и асс. термин *tabêru* (И. Гельб). Вавилонские божества *Tibal*, *Tibira* были связаны с огнем и кузнечным делом.

Согласно кн. Бытия и Езекииля, Тубал (Тубал-Каин) был этнархом народа, известного обработкой металла. Термин «Каин», не связанный с древнееврейской лексикой, стал обозначением «кузнеца». Не лишена интереса близость к нему хеттского, лувийского, микенского и греческого понятий «меди»: хетт. NA₄ *Киппа*(п)-, NA₄ *Киwapпа* (п), лув. NA⁴ *Киппайса-тар*, микен. *Киwопо*, греч. *χάλυος*. Обращает внимание и то, что фонетически близкие к «Каину» римско-византийские «Кээн», «Кэн» в позднеантичную эпоху чередуется с «халиб»-ом, «халд»-ом (Т. К. Микеладзе), а развитие обработки металла у халибов общеизвестно. Укажем также, что в грузинской этнографической действительности для обозначения стали засвидетельствован термин «Тобартини», связываемый с «Тибаренами» и «Тубал»-ом (Т. К. Микеладзе).

И тем не менее, вполне допустимая близость *Tabal* с *Tibira*, *Tibar*, *Tiral*-ом останется лишь рабочей гипотезой, пока не выясним взаимосвязь *Tibira* «каппадокийских» табличек с протошумерским термином *Tibira*, который в свою очередь увязывается с *Lú tibira*, *tabêru* и вавилонскими божествами *Tibal*, *Tibira*.

В настоящее время мы располагаем данными, позволяющими нам высказать и другое предположение. В этом отношении малоазийская (resp. хетто-лувийская) ономастика заслуживает особого внимания. В частности, в хеттских текстах упоминается *ḪUR. SAG Та-ра-ла*, *D. ḪUR. SAG Та-ра-ла* («гора Тапала» и «божество горы Тапала»), фонетически идентичные с термином *Tabal*.

Изучение хеттских текстов позволило нам предположить, что бог горы Тапала (Табала) занимал определенное место в религиозной жизни хеттов. Он упоминается, как правило, в текстах, посвященных праздничным ритуалам. Так, например, в одном из текстов (KUB, XXV, 32, 1, 19) говорится об ягненке, принесенном в жертву этому божеству.

Из других же явствует, что на горе Тапала устраивался праздник весны на котором присутствовали хеттский царь и царица (KUB, XV, 85, 1,1—6; XX, 98, VI, II).

Божество горы Тапала зачастую фигурирует в ряду таких божеств, как Aššjazi, Našameli, Kamrušera, Kalimma, Kuwappanni, Telipinus Pirwa, Malija, что указывает на его популярность в хеттском (неситском) мире.

На распространенность Tapal-Tabal-а в хеттско-неситском мире, по-видимому, говорит и его употребление в качестве собственного имени. Так, в одном из религиозных текстов говорится о какой-то вещи, принадлежащей Мануце сыну ¹ Tapalaziti (см. KBo, XIV, 142, IV, 12). Не менее интересен термин ^{Lú} tapralla встречающийся в хетто-лувийских текстах, обозначающий слугу дворцовой кухни (KBo, IV, II, 47—48), а также UURU Tapal-la-ḫi-па одного хеттского текста (KBo, XIV, 142, III, 17).

Важно, что имена с компонентом Tabala/Tapala распространены были и в Арцаве (Лувии), ономастика которой, в отличие от хеттской, не подвергалась хаттскому влиянию. В «Анналах» Мурсили II упоминается царевич Арцавы—¹ Tapalazunawali, ¹ Tapalazunauli, а в «письме Тавагалавы» — Tapala-Datta—имя «возницы» при дворе хеттского царя (KVB, XIV, 3, 38, II, 58—59).

С лувийским Tapala/Tabala связано также, по-видимому, наименование лидийского города $\tau\acute{\alpha}\beta\alpha\lambda\alpha$ (Гиерокл) и имя одного из сатрапов Лидии $\tau\acute{\alpha}\beta\alpha\lambda\omicron\varsigma$ —современника Креза и Кира (Геродот).

По мнению ряда ученых близость с вышеназванными именами проявляют и карийские топонимы: Tabai, $\tau\alpha\beta\alpha$ $\pi\epsilon\tau\tau\alpha$, Thēbe, исаврийские Tabeis, Tabēs, ликийский Tabeigepoi и др.

Таким образом, несмотря на то, что пока невозможно с точностью установить этимологию термина Tabal, можно предположить малоазийское происхождение этого термина.

В пользу такого предположения, в первую очередь, говорит распространение этого термина на территории, населенной и хеттами (неситами) и лувийцами. Особого внимания заслуживает и то немаловажное обстоятельство

во, что сама страна Табал находилась в ареале расселения хетто-лувийских племен, ономастика Табала и пантеон богов хетто-лувийского происхождения, а письменные памятники, открытые на территории этой страны составлены на лувийско-хеттско-иероглифическом языке.

Исходя из всего этого, нам кажется, что предположению относительно малоазиатского (хетто-лувийского) происхождения термина Табал должно быть дано предпочтение.

* * *

Относительно вопроса об этнической принадлежности населения Табала автор I в. н. э. Иосиф Флавий пишет: «Тобел» положил начало тобелам, которые ныне именуются иберами». Эту версию повторяют Евстафий Антиохийский епископ Теодорит, Иоанн Зонар и др.

В XIX в. в европейской и грузинской исторической литературе распространилось мнение о том, что население стран Табала, мушков и касков были предками грузин.

И. А. Джавахишвили «Табал», «Тобел». «Иабал», «Иубал» причислял к грузинским племенным названиям, а появление табалов на территории Грузии связывал «со второй волной движения грузинских племен». «Табалы», по его мнению, оттеснили абхазов и месхов к северу, а сами под именем лазов, чанов и иберов заняли их территории.

С. Н. Джанашиа по линии Табал-Тубалов происхождение грузинских племен возводил к субар — шумерам.

По мнению Г. А. Меликишвили, наряду с другими племенами, в восточной части Малой Азии можно предположить расселение и картвельских племен. Автор допускает связь «Табалов» и тибаренов, хотя и признает трудность при утверждении об их этнической идентичности. По его мнению, не исключено, что «Табал» собирательное название нескольких этнических, совершенно различных племен, в том числе и западно-грузинских (мегрело-чанских), ибо последние тибарены были непосредственными соседями этих последних и в то же время их название вполне объяснимо на основе картвельских языков («таба»-«тоба»-«тба»). Г. А. Меликишвили полагает, что под «Халиту» Адыльджевазской надписи Ру-са II подразумевается Табал, а т. к. «Халиту» («Халтик», «Халды») связывается с западно-грузинским миром, то часть

населения Табала вполне может быть отнесена к этому последнему.

И. М. Дьяконов отрицает возможность отождествления «табал»-«Халиту» и считает, что на территории Табала в основном проживали лувийцы.

В новой зарубежной литературе (Р. Д. Барнетт, П. Мериджи) табалов, как правило, отождествляют с тибаренами. Одни связывают их с лувийским этническим миром, другие — наряду с мушками считают табалов фригийцами, или восточной их ветвью (Р. Д. Барнетт).

* * *

При определении этнической принадлежности того или иного «мертвого народа» в новой научной литературе учитываются, главным образом, три фактора: физико-биологическое строение, язык и культура народа (этнуса).

О физико-биологических данных населения Табала и других соседних племен нам ничего не известно.

Как уже отмечалось, на территории Табала и соседних областях были обнаружены иероглифическо-лувийские надписи, составленные на иероглифическо-лувийском языке, входившем в лувийскую подгруппу анатолийской (хетто-лувийской) группы индоевропейских языков. О близости Табала к лувийскому миру говорит и табальская ономастика, носившая явно хетто-лувийский характер.

В пантеоне богов Табала ведущую роль играли лувийские божества Санта, Датта, Кубаба, Тархун и Арма. Материальная культура Табала (керамика, скульптура, планировка городов и основные строения) близка материальной культуре тех областей, где были распространены иероглифическо-лувийская письменность, язык, ономастика и религия.

Таким образом, несмотря на отсутствие антропологических данных уже сейчас нельзя исключить предположения, согласно которому население Табала как в культурном, так и в языковом отношении являлось частью хетто-лувийского мира. Эта мысль подтверждается и тем, что предполагаемая табальская территория и соседние области уже во II тыс. до н. э. были заселены, в основном, хетто-лувийскими племенами. Согласно сведениям письменных источников («каппадокийских» табличек) и краниологическими данными из Кюльтепе, уже к началу XIX в до н. э. наряду с местным населением здесь проживали индоевропейские, хетто-лувийские племена.

на, а позднее эти последние составляли основное ядро жителей Кюль-тепе. Не случайно и то, что именно в слое IV Кюль-тепе (XVIII — XVII вв. до н. э.) на большом пифосе обнаружены иероглифические знаки, которые ряд исследователей считает иероглифическо-лувийскими.

Надо учесть и то, что в пределах интересующей нас территории находилась и хеттская Киццуватна, население которой было в основном лувийским.

